ვერსია

ფასი 40 თეთრი

№143 (750) 14 - 16 დეკემბერი, 2012 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

„ქოთაგმა“ მუშაობა შეაჩერა!

ია მეტრეველი: „პირველი ხართ, ვისაც ამ თემაზე ღიად და საჯაროდ ვესაუბრები!“ გვ. 8

ირმა ინაშვილი ქიტოშვილს, არველაძეს, თარგამაძეს, ადეიშვილსა და ჩიქოვანს ბრალს სდებს!

დიმიტრი ქიტოშვილი საკუთარი სურვილით აძლევს გამოძიებას ჩვენებას „ჯეოსელის“ წილების წართმევის თაობაზე. ამ დროს, ეს ის დიტო ქიტოშვილია, რომელმაც, თავის დროზე, „ობიექტივის“ სიხშირე წამართვა. ქიტოშვილი მიხეილ აგლაძეს გივი თარგამაძისა და ზურაბ ადეიშვილის სახელით ემუქრებოდა. ასე, ძალით დაათმობინეს 50%, შემდეგ კიდევ 1%, სცემეს და დააყრუეს კაცი, დღეს კი ქიტოშვილი კრავის სახით დგას პროკურატურაში და ჩვენებებს იძლევა!

გვ. 5

„ბესელიას კომისიამ თავად ირაკლი ოქრუაშვილს, ჯერ კიდევ საქართველოში ჩამოსვლამდე, პოლიტპატიმართა სრული სია გადაუგზავნა!“ გვ. 2

დავით ბერძენიშვილი უხერხულ კითხვებს პასუხობს

„დროებითი საგამოძიებო კომისია ამ წლის ბოლო სასესიო კვირაში შეიქმნება!“ გვ. 3

„მე ვარ მწერალი და ვბედავ, ხმამაღლა გამოვხატო ჩემი პოზიცია!“

ვაჟა ოთარაშვილი ქართული ტელეპოლიტიკის, ტელეექსპერტებისა და ტელემოლაღატეების წინააღმდეგ! გვ. 7

გია ჭანტურია გადადგა

საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორი გია ჭანტურია თანამდებობიდან გადადგა. მიზეზი უცნობია. ცნობილია, რომ 12-13 დეკემბერს სამეურვეო საბჭო მაუწყებლის 2013 წლის ბიუჯეტის პროექტს განიხილავდა. ასევე საუბარი იყო მაუწყებლის თანამშრომელთა შემცირების შესახებ.

ჭანტურიას შემცვლელი 1 თვეში უნდა დაინიშნოს, მანამდე კი გენდირექტორის მოვალეობას ტექნიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი გიორგი ბარათაშვილი შეასრულებს.

ნინო კომახიძე
პოლიტიკა

რა მიზეზით ამოიღო პოლიტდევნილებისა და პოლიტპატიმრების სიიდან ეკა ბესელიას კომისიამ ირაკლი ოქრუაშვილი, რა დრო დასჭირდება მისთვის სტატუსის მინიჭებას, რომელ კრიტერიუმს ვერ აკმაყოფილებს 2012 წელს, 2007 წლისგან განსხვავებით, პოლიტიკური პატიმრის სტატუსის მისაღებად, რატომ არ არიან სიაში „ზილების რევოლუციის“ თანაავტორი ძმები ტერაშვილები, დავით შიუკაშვილი და შალვა საბაშვილი — ამ უპასუხო კითხვებს „ქართული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი თეო ტლაშაძე, ბესელიას კომისიის წევრებს საჯაროდ უსვამს და „ვერსიას“ რამდენიმე საინტერესო ფაქტის შესახებ უყვება:

„ბესელიას კომისიამ თავად ირაკლი ოქრუაშვილს, ჯერ კიდევ საქართველოში ჩამოსვლამდე, პოლიტპატიმართა სრული სია გადაუგზავნა!“

— თქვენი პარტიის სამი წევრი, პატიმრები — ძმები ტერაშვილები და დავით შიუკაშვილი შიმშილობენ. ისინი, ირაკლი ოქრუაშვილთან ერთად, სიიდან ბოლო დღეს ამოიღეს. თუ ოქრუაშვილზე სხვა მოტივებიც არსებობს, რა მიზეზით არაა პოლიტპატიმართა სიაში ეს სამი ადამიანი?

— ეს კითხვა, ისევ და ისევ, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტსა და სიის შემდგენელი კომისიის ხელმძღვანელობას უნდა დავუსვათ. ამ კითხვაზე პასუხის არქონის გამო დაიწყეს შიმშილობა ამ ადამიანებმა. ერთკვირიან ვადას იძლეოდნენ ის ბიჭებიც, ვინც ასევე, დევნილობაში იყვნენ ე.წ. ზილების რევოლუციის საქმის გამო, ახლა დაბრუნდნენ საქართველოში და სიაში არ არიან. ამ სიაში დაბრუნებას ისინიც ითხოვენ და მალე უვადო შიმშილობას შეუერთდებიან. ირაკლი ოქრუაშვილთან მიმართებაში, ხაზგასმით, „რაღაც“ პასუხები კი მივიღეთ, მაგრამ ყოველდღიურად ვისმენთ ურთიერთგამომრიცხავ კომენტარებსა და ახსნა-განმარტებებს.

— გედევან ფოფხაძემ თქვენს ლიდერს ავანტიურისტიც უწოდა...

— რბილად რომ ვთქვათ, ეს ძალიან უპასუხისმგებლო განცხადება იყო ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის მოადგილისგან. მე მას პირდაპირ ვადებ ხელს სასამართლოზე ზეწოლაში, რადგან ოქრუაშვილის პროცესი ახლაც მიდის! ბიძინა ივანიშვილმაც აღნიშნა უმრავლესობასთან შეხვედრისას, რომ ბევრ დეპუტატს, გამოუცდელობიდან გამომდინარე, უჭირს, გუნდთან შეთანხმებული განცხადებების გაკეთება, ან სწორი შეფასება.

— თქვენი პარტიიდან იმაზე იყო საუბარი, რომ ოქრუაშვილის სიიდან ამოღება ბესელიას ერთპიროვნული გადაწყვეტილებაა. შეგიძლიათ მითხრათ, რატომ?

— იცით, საზოგადოების ნაწილს იმის განცდა გაუჩნდა, რომ ჩვენ, რაღაც ფორმით, ახალ ხელისუფლებას ვუპირისპირდებით. ამას კატეგორიულად გამოვრიცხავთ და ვაცხადებთ:

> **ეს იყო ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარისა და მისი მოადგილის პიროვნული პოზიცია. მეტსაც გეტყვით, ჩემდა გასაკვირად, ნანა კაკაბაძე, რომელიც 3 დეკემბერს ამბობდა, რომ ირაკლი სიაში რჩებოდა, გამოგვეპასუხა, თითქოს, მსგავსი არაფერი უთქვამს! 4-ში საღამოს კი კომიტეტმა ირაკლი სიიდან ისე ამოიღო, ამის შესახებ მხოლოდ 5 დეკემბრის დილას გავიგეთ. ამის შემდეგ, გედი ფოფხაძე ამბობს: საქართველოში დაბრუნების მერე ოქრუაშვილი აღარაა პოლიტიკური დევნილი, პოლიტპატიმარია, ოღონდ მის ამ სტატუსზე კომისიაში არ გვიმსჯელიაო. ვსვამ კითხვას — მითხრან კონკრეტული დრო, რაც ოქრუაშვილისთვის ამ სტატუსის მისანიჭებლად სჭირდებათ?! ამ კითხვაზე პასუხი არ გვაქვს.**

ამ დროს, სოზარ სუბარი 2007 წელს, მისი ომბუდსმენობის დროს ამბობდა, თუკი საქართველოში ვინმეს ეკუთვნის პოლიტპატიმრის სტატუსი, ეს ოქრუაშვილია, რომელიც ყველა კრიტერიუმს აკმაყოფილებს, ამ სტატუსის მისაღებად, მსოფლიო პრაქტიკიდან გამომდინარეო. თუკი ამ კრიტერიუმებს 2007 წელს აკმაყოფილებდა, დამისახელონ ის კრიტერიუმები, რასაც 2012 წელს ველარ აკმაყოფილებს! სწორედ ესაა გედევან ფოფხაძისა და რამდენიმე დაინტერესებული პირის მიერ ჩადებული ავანტიურა ოქრუაშვილის ამ სიიდან ამოღებაში!

— მოტივი? სუბარიცა და ბესელიაც თქვენი თანამებრძოლები იყვნენ, გედევან ფოფხაძე კი ივანიშვილის აზრს ვერ გადაწონიდა — ანუ, პრემიერს სხვა აზრი რომ ჰქონოდა, ოქრუაშვილი ამ სიაში იქნებოდა და თქვენ ეს იცით!

— შესაძლოა, რაღაც ეჭვები მქონდეს, მაგრამ ამაზე ხაზგასმა არ მინდა. შესაძლოა, იყოს პიროვნული მოტივებიც, რადგან ბესელიას პარტიაში ყოფნისას, ლევან ტერაშვილი კურირებდა რეგიონებს და არაა გამორიცხული, მათ შორის რაღაც უსიამოვნება ყოფილიყო, მაგრამ ეს ჩემთვის, მაშინაც და ახლაც, უინტერესო დეტალებია. უკვე გავუგზავნეთ ოფიციალური წერილი საფრანგეთის საელჩოს და დარწმუნებული ვარ, მათი პოზიცია ფრანგული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების იდენტური იქნება. საფრანგეთი საქართველო არ არის, სადაც ფოფხაძეებს მისი პოლიტიკური გუნდისგან განსხვავებული პოზიცია შეიძლება ჰქონდეთ! ბევრჯერ ვყოფილვარ ირაკლისთან ჩასული და გამკვირვებია, ისეთი დაცვით დადიოდა. თუკი საფრანგეთის უშიშროებას რაიმე ინფორმაცია ჰქონდა მოსალოდნელ საფრთხეზე, მაშინ ოქრუაშვილს, ხშირად, 5 და 6-მანქანიანი ესკორტითაც იცავდა. დღეს კი ირაკლი აქ ჩამოვიდა, როგორც პოლიტდევნილი და უბრალო პატიმარი გახდა. რომ იცოდეთ, კომისიაში შემავალი სხვადასხვა ორგანიზაციები, ჩვენთან საუბარში, გაკვირვებას ვერ მალავენ და ხელს ადებენ ბესელიას — წარმოუდგენელია, როგორ ამოიღეს სიიდან ეს ხალხიო.

> **ჩემი ხელით მივიტანე ის სამართლებრივი შეფასება და ოქრუაშვილის განაჩენი, რასაც კომიტეტი ითხოვდა, 3 დეკემბერს, ღამის 12 საათზე. აქვე, იმასაც გეტყვით, რომ ამ კომისიაში შემავალმა ერთ-ერთმა ორგანიზაციამ თავად ირაკლი ოქრუაშვილს, ჯერ კიდევ საქართველოში მის ჩამოსვლამდე, პოლიტპატიმართა სრული სია გადაუგზავნა!**

— რომელმა ორგანიზაციამ გაუგზავნა, ან რატომ შეუთანხმეს სია ოქრუაშვილს?

— ეს იმ პატიმართა სია იყო, რომლებიც ჩვენთან იყვნენ დაკავშირებულნი. ირაკლის კითხვით მიმართეს — ვინმე ხომ არაა ამ სიაში გამორჩენილიო. ირაკლიმ ეს სია მე გადმომიგზავნა, რადგან ყველა ადამიანს ფიზიკურად არ იცნობდა. სიას გადავხედეთ და პერსონალურად დავუკავშირდით ყველას, ამ ორი კონკრეტული დოკუმენტის მოსატანად.

— და ეს ის სია არაა, რომელიც პარლამენტმა დაამტკიცა?

— რა თქმა უნდა, არ არის!

> **სია შემცირებულია და მასში, ზოგადად, ჩვენთვის სრულიად უცნობი ადამიანები არიან. ჩვენი პარტიის ჩამონათვალს კი აკლია: ძმები ტერაშვილები, დავით შიუკაშვილი და შალვა საბაშვილი. საინტერესოა ისიც, რომ ითქვა, ამ სიაში შესული ხალხი ციხეს ახალ წლამდე დატოვებსო ანუ, ერთსა და იმავე საქმის გამო გასამართლებული ხალხი, ვინც სიაშია, ციხიდან გამოვა, ვინც სიაში არაა, დარჩება ციხეში და ვისი პროცესიც ახლა მიდის, იმას ციხეს მიუსჯიან?!**

იქნებ, ეს შემთხვევა აგვიხსნან იმ იურისტებმა, ვინც იმ კომისიაშია და კვალიფიციურობის პრეტენზია აქვს!

თუმცა, არჩილ კბილაშვილის სულ ახალი განცხადების მერე, იმ პროკურორების დაკავების იმედი მოგვეცა, ვინც ოქრუაშვილისა და „ზილების რევოლუციის“, შესაბამისად, ამ ადამიანების საქმესთანაა დაკავშირებული. ამ პროკურორებმა, გოზალიშვილმა და გურგენიძემ გამოუტანეს განაჩენი ოქრუაშვილსაც!

— მანამდე, თქვენ დაგვიკონკრეტეთ, როდის აპირებს დაბრუნებას მიხეილ ქარელი, რომელიც პოლიტდევნილების სიაშია?

— სხვათა შორის, ოქრუაშვილის დოკუმენტაციასთან ერთად, ქარელის დოკუმენტებიც პირადად მე მივიტანე, რომ ის სიიდან არ გამორჩენოდათ. მიხეილ ქარელი საფრანგეთშია, იქ სწავლობს და როგორც კი რაღაც დოკუმენტებს მოაწესრიგებს, საქართველოში დაბრუნდება. თარიღი კი ზუსტად, თავადაც არ იცის. რა თქმა უნდა, მისი ყველა ბრალიც შეთითხნილია, ხოლო მის წინააღმდეგ წარმოდგენილი მოწმეების უმეტესობა ახლაც მზადაა, თავისი ცრუ ჩვენება უკან წაიღოს!

— ამბობდნენ, რომ ქარელმა და ოქრუაშვილმა 2 წლის წინ იჩხუბეს. ახლა იწერება, ქარელი ჩამოვა თუ არა, შესაძლოა, მის წინააღმდეგ საქმე გორის ბაზრობის დირექტორმა აღძრას, მიშა ქარელი კი ჩვენებას ოქრუაშვილის წინააღმდეგ მისცემს, რადგან ბიზნესების დატერორებას სწორედ ოქრუაშვილი აიძულებდაო. შეგიძლიათ, ეს ხმები უარყოთ ან დაადასტუროთ?

— არ ვაპირებ, ჟურნალისტურ სპეკულაციებზე კომენტარების გაკეთებას. ეს სრული სისულელეა! ოქრუაშვილიც გამოვა და მიშა ქარელიც და თუ რამე აქვთ სათქმელი, იტყვიან. ასეთ ბრალდებებზე, უბრალოდ, მეცინება ხოლმე. მიხეილ ქარელს საერთოდ არ უნდა იცნობდე, მასზე ასეთი რამ რომ თქვა. ვწუხვარ, რომ იმ ადამიანებს, ვინც ეს დაწერა, თავად არ ჰყავთ გვერდით ისეთი კაცი, ვის პიროვნებაშიც დარწმუნებულნი იქნებოდნენ და ვინც თავს დადებდა იმაზე, რომ ქართულად და კაცურადაა გაზრდილი! სიმართლეც რომ იყოს ეს ყველაფერი, მიხეილ ქარელი ამას მაინც არ გააკეთებს — ჩვენ ერთი გუნდი ვართ!

პატრიარქმა დავოსისა და კოჯრის დამეგობრება დალოცა

მსოფლიოში ეკოლოგიურად სუფთა ქალაქების ათეულში მყოფი ქალაქის, დავოსის მერი ჰანს პეტერ მიხელი, ბიზნესმენ თამაზ მჭედლიძის მოწვევით, თბილისს სტუმრობდა. იგი კოჯორს ეწვია იმ ზონის მოსანახულებლად, სადაც მისი მეგობარი და პარტნიორი მსოფლიო დონის გამაჯანსაღებელი კომპლექსის მშენებლობას გეგმავს. როგორც მერმა აღნიშნა, მან თამაზ მჭედლიძეს კომპლექსის შვეიცარიაში აშენებაც შესთავაზა.

ჰანს პეტერ მიხელი და თამაზ მჭედლიძე შეხვდნენ კათოლიკოს პატრიარქს ილია მეორეს. უწმინდესმა წამოწყება დალოცა, სტუმრებს მოასმენინა თავისი დაწერილი საგალობლები და დაათვალიერებინა საპატრიარქოს ზამთრის ბაღი. ამასთან, კოჯორში გაიმართა კოჯრისა და დავოსის ტყეების დამეგობრების ღონისძიება, რითიც საფუძველი ჩაეყარა კოჯრის ტყის გასუფთავებას, ახალი ნარგავებით გამდიდრებასა და გალამაზებას.

გაზაფხულზე იგეგმება საპასუხო ღონისძიების ჩატარება დავოსში. დავოსის ტყესთან დაიდგმება ისეთივე საინფორმაციო დაფა, როგორიც დაიდგა კოჯრის ტყესთან, რომელზეც დატანილია ინფორმაცია ორი ქვეყნის ტყის დამეგობრების შესახებ. მერმა კოჯრის ტყეში შვეიცარიიდან სპეციალურად ჩამოტანილი ნერგიც დარგო. ჰანს პეტერ მიხელმა საქართველოს ულამაზესი მხარეებიც დაათვალიერა. მან მოინახულა კახეთი, მთათუშეთი და სნო (პატრიარქის დაბადების ადგილი).

„ვერსიანიუსი“

რუსეთმა, შესაძლოა, გივი თარგამაძის გადაცემა მოითხოვოს

რუსეთის ფედერაციის საგამოძიებო კომიტეტი, უახლოეს მომავალში, საქართველოში თხოვნას გამოგზავნის და ქართულ მხარეს რუსეთში მასობრივი არეულობების მოწყობის მცდელობის გამოძიებაში დახმარებას სთხოვს.

ამის შესახებ, „რია ნოვოსტის“ ცნობით, რუსეთის ფედერაციის საგამოძიებო კომიტეტის წარმომადგენელმა, ვლადიმერ მარკინმა განაცხადა.

მარკინის თქმით, გამოძიებას აქვს სამხილები, რომლის მიხედვითაც, არა მარტო საქართველოს პარლამენტის წევრ გივი თარგამაძის მიერ რუსული ოპოზიციის დაფინანსება მტკიცდება, არამედ მტკიცდება მისი კონკრეტული როლიც ბალოტნის მოედანზე მასობრივი არეულობების მოწყობის მცდელობაში.

„ამასთან დაკავშირებით, საგამოძიებო კომიტეტმა უკვე მოამზადა თხოვნა დახმარების თხოვნის შესახებ, რომელიც უახლოეს მომავალში, რუსეთის გენერალური პროკურატურის მეშვეობით, საქართველოს კომპეტენტურ ორგანოებს გადაეგზავნებათ“, — აღნიშნა მარკინმა.

ფილმი „პროტესტის ანატომია 2“ ტელეკომპანია „ენ-ტე-ვეს” ეთერში ოქტომბერში გავიდა. ფილმის ავტორები ამტკიცებენ, რომ ოპოზიცია ხელისუფლების ძალის გამოყენებით ხელში ჩაგდებას აპირებს და ეს დასავლეთიდან ფინანსდება. ფილმში ასევე ასახულია კადრები, სადაც სერგეი უდალცოვი და მისი მომხრეები გივი თარგამაძეს ესაუბრებიან.

„მედიანიუსი“

„დროებითი საგამოძიებო კომისია ამ წლის ბოლო სასესიო კვირაში შეიქმნება!“

ნინო კომახიძე
პოლიტიკა

რა ხდებოდა პრემიერ ივანიშვილისა და საპარლამენტო უმრავლესობის გასაიდუმლოებულ შეხვედრაზე და რატომ არ გამოვიდა ინფორმაცია დახურული სხდომიდან, როდის შეიქმნება თინა ხიდაშელის დროებითი საგამოძიებო კომისია, რატომ აკომპლექტებენ „რესპუბლიკელები“ გამგეობებსა და საკრებულოებს უჩვეულოდ ბევრ რაიონში, რომელმა პარტიებმა და რატომ თქვეს უარი „ქართულ ოცნებასთან“ შერწყმაზე, ვისთან გააკეთებს ალიანსს რესპუბლიკური პარტია 2014 წლის ადგილობრივი არჩევნებისას და არის თუ არა დაძაბულობა კოალიციის შიგნით, ალასანია-უსუფაშვილის პარტიებს შორის — ამ კითხვებზე პასუხსა და ივანიშვილის გეგმების საინტერესო ანალიზს, ზურაბ ჟვანიასდროინდელი პოლიტიკური ცხოვრების პარალელებთან ერთად, დავით ბერძენიშვილის მიერ „ვერსიისთვის“ მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში ამოიკითხავთ:

დავით ბერძენიშვილი უხერხულ კითხვებს პასუხობს

— დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, 90-იანი წლებიდან მოყოლებული, დღევანდელი ხელისუფლება ყველაზე ზომიერი და ადეკვატურია იმის აღქმაში, რომ ის გახელისუფლდა. შეიძლება, ეს „შეშუშული“ პარლამენტის სივრციდან დანახული რეალობაა, მაგრამ ვფიქრობ, ასეთივეა საზოგადოების ხედვაც, ადეკვატური მოლოდინებით, თუმცა ეს მოლოდინები ზოგჯერ გადაჭარბებულია. წამყვან პოლიტიკურ ფიგურებს, არა მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის, ნდობის საკმაოდ მაღალი რეიტინგი აქვთ, რაც პოსტსაარჩევნო პერიოდისთვის გასაგებიცაა. „მოავტორიტარო“ ხელისუფლების უსისხლოდ, ერთ ღამეში გაშვებამ ეს ნდობა ახალი ხელისუფლების მიმართ კიდევ უფრო გაზარდა.

— „რესპუბლიკელების“ რეიტინგიც რეაბილიტირებულია, თქვენი აზრით?

— ჩვენ ამ მდგომარეობით ძალიან კმაყოფილები ვართ და ძალიან კარგად ვგრძნობთ თავს კოალიციაში. „ოცნების“ შემადგენლობაში პერსონალურად „რესპუბლიკელების“ რეიტინგი მაღალი რომ იყო, ეს ჯერ კიდევ გაზაფხულზე ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა — თბილისის 6 ოლქიდან 4 ჩვენ მოვიგეთ. ცალკე პარტიის რეიტინგი კი, ჩვენთვის ყველაზე მძიმე არჩევნებში, 2008 წელს 3,78 % იყო, ხოლო წელს, „ქრისტიან-დემოკრატებმა“ 2,3 % აიღეს, სხვებმა — 1 %-ზე ნაკლები, ასე რომ, ახლაც და მაშინაც გადაჭარბებული იყო ჩვენს განსაკუთრებით დაბალ რეიტინგზე საუბარი. თან, მაშინ ჩვენ სახელისუფლო წნეხის ქვეშ ვიყავით, ახლა კი ქდმ ამ წნეხის ქვეშ არ ყოფილა.

— ან არც თქვენ ყოფილხართ „ნაციონალების“ წნეხის ქვეშ — ყველა ახალ ოპოზიციურ ცენტრში აუცილებლად იყვნენ „რესპუბლიკელები“ და ეს ცენტრი აუცილებლად მარცხდებოდა.

— ახლანდელი პოლუსი დამარცხდა? ან 2003 წელს სააკაშვილის პოლუსი დამარცხდა? პირიქით, ყოველთვის ის პოლუსი მარცხდება, სადაც არ არიან „რესპუბლიკელები“. უბრალოდ, ჩვენ ისევე, როგორც სხვა პარტია, წამყვანი და წარმატების განმსაზღვრელი ძალა არ ვყოფილვართ.

— ამ ცენტრის წარმატება ივანიშვილმა განაპირობა და გავხსნათ ერთი ჩაკეტილი თემა — რა შენიშვნები მიიღო უმრავლესობამ წარბის აწევით ჩამოსული პრემიერისგან, იყო თუ არა ეს პერსონალური მითითებები და შეეხო თუ არა თქვენს პარტიასაც?

— შენიშვნები „რესპუბლიკელებს“ არანაირად არ მიემართებოდა. ეს ძალიან მშვიდი სხდომა იყო და ის, რომ უმრავლესობიდან ამ სხდომის დეტალებზე ხმა არ გამოვიდა, უმრავლესობის ღირსებაზე მეტყველებს. სხვათა შორის, თქვენ კარგად მუშაობთ, თქვენ — არაო, ასე, პარტიული ნიშნით, ივანიშვილს არავინ გამოურჩევია. არც პერსონალური შენიშვნები ყოფილა, როგორც ვარაუდობდნენ. ძირითადად, მაჟორიტარებს ჰქონდათ კითხვები — რომელიმე რაიონში ტექნიკუმის გაუქმებიდან დაწყებული, წყალმომარაგების საკითხით დასრულებული. ერთ-ერთი ჩვეულებრივი, მუშა შეხვედრა იყო და ივანიშვილის მხრიდან გამოითქვა ზოგადი სურვილი, მეტი კოორდინაცია იყოს თბილისში მყოფ მთავრობასა და ქუთაისში მყოფ პარლამენტს შორის.

— დღეს ივანიშვილი უცნაურ განცხადებებს აკეთებს: ის ამბობს, ოპოზიციას ვერც პარლამენტში ვხედავ, ვერც მის გარეთ და საჭიროა, შეიქმნას ოპოზიცია ხელისუფლების შიგნით, შიდაკონკურენციის გზითო. ამ შეფასებას იზიარებთ?

— დღეს ეს ასეა, მაგრამ წელიწადნახევარში თვითმმართველობის არჩევნები იქნება და ვვარაუდობ, რომ „ნაციონალების“ ამოცანა არა ხელისუფლების ალტერნატივად ქცევა, არამედ, მაგალითად, 10%-ის აღება იქნება. არა მგონია, ადგილობრივ არჩევნებზე მეორე ადგილი ჰქონდეთ გარანტირებული. მათ კონკურენცია ოპოზიციურ პარტიებთან და ძალიან მძიმე სასტარტო პირობებში მოუწევთ. ეს იქნება კონკურენცია ნინო ბურჯანაძესთან, ქდმ-თან, შესაძლოა, სხვებთანაც. დღეს IRI-ის კვლევებით, „ნაციონალებს“ 12-13% აქვთ და მგონია, კლების ტენდენცია ერთნიშნა ციფრამდე გაგრძელდება.

— „ნაციონალებს“ მოუწევთ კონკურენცია ბურჯანაძესთანო, ამბობთ, პოლიტიკურ კულუარებსა და ამომრჩევლის ნაწილში კი ნინო ბურჯანაძე დღემდე აქტიურად განიხილება ივანიშვილის საპრეზიდენტო კანდიდატად 2013 წელს. ეს რეალურია და რა იქნება ასეთ შემთხვევაში „რესპუბლიკელების“ პოზიცია?

— არა, ეს ასე ვერ იქნება. ასეთი აქცენტი კოალიციაში არასოდეს დასმულა. თუმცა დიახ, არჩევნებამდე სულ იყო იმაზე საუბარი, აი, ბურჯანაძე ივანიშვილს კანდიდატად ჰყავს შემონახულიო.

— მის მიერ არჩევნების გამოტოვება, ბადრი ბიწაძის მოხვედრა პოლიტდევნილების სიაში, ლიდერების ტრანსფერი „სახალხო კრებიდან“ „ოცნებაში“ — ეს მართლაც ჰგავს ნიადაგის მომზადებას ბურჯანაძის საპრეზიდენტო კანდიდატობისთვის.

— პირდაპირ ვამბობ — კოალიციის გარეთ საპრეზიდენტო კანდიდატად არავინ განიხილება. 2013 წელს „ოცნების“ ნებისმიერ კანდიდატი მოიგებს, როგორც 2004 წელს მოიგებდა სააკაშვილის ნებისმიერი კანდიდატი, ხოლო კოალიციის კანდიდატი განისაზღვრება იმის მიხედვით, როგორი იქნება ჩვენი კონსტიტუცია. თუკი ჩვენ საპარლამენტო რესპუბლიკა ვიქნებით, მაშინ ვახტანგ ხმალაძე, ვინც ივანიშვილმა დაასახელა, მართლაც, ოპტიმალური კანდიდატია. რაც შეეხება ნინო ბურჯანაძეს, იგი ჭკვიანურად მოიქცა, როცა ეს არჩევნები გამოტოვა, რადგან არანაირი შანსი არ ჰქონდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისიც ქდმ-ს, კუკავასა და სხვათა რიგში ჩაეწერებოდა. მე მას ასევე ვერ ვხედავ კონკურენტუნარიან კანდიდატად საპრეზიდენტო არჩევნებში, მაგრამ მის პარტიას, ან კოალიციას, რომელსაც შექმნის, სერიოზული შანსი 2014 წელს ექნება და შესაძლოა, „ნაციონალურ მოძრაობასაც“ კი გაუსწროს.

— თქვენ გამოგრჩათ ირაკლი ოქრუაშვილის პარტია, ასევე, ახალი ძალის გამოჩენის პერსპექტივა, მაგალითად, „წინააღმდეგობის მოძრაობა“, რომლის სახელი ციხის სკანდალურ კადრებს უკავშირდება და ის ვარიანტი, რომ რომელიმე ძალა, შესაძლოა, „ნაციონალებს“ შეუერთდეს.

— ბურჯანაძე-ოქრუაშვილის ერთად ყოფნას არ გამოვრიცხავ, მაგრამ ესენი სააკაშვილთან ერთად არ იქნებიან — სააკაშვილი პერსონალურად დამთავრდა! მით უმეტეს, უკვე მეორედ დაკითხვის შემდეგ, ვანო მერაბიშვილი სულ ხაზს უსვამდა „ნაციონალური მოძრაობის“ განახლებას. ანუ, ვერც პარტია ხედავს სამომავლო პერსპექტივებს სააკაშვილთან ერთად და არც ის მგონია, ვანო მერაბიშვილი იყოს მათი საუკეთესო პერსპექტივა. მგონი, უფრო მეტს ვანოს გარეშე მიაღწევენ. არც იმას გამოვრიცხავ, ისე აორთქლდნენ „ნაციონალები“, როგორც ეს „მოქალაქეთა კავშირსა“ და „აღორძინებას“ დაემართა — ამას არც მათგან ველოდით. „წინააღმდეგობის მოძრაობა“ გუშინ არ შექმნილა და რა გააკეთა გარდა იმისა, რომ რადიო „ობიექტივიდან“ გაიძახოდნენ — ძირს „რესპუბლიკელებიო“?! გამოჩნდება, რას იზამს ქუჩის ოპოზიცია, თუმცა არ ვფიქრობ, რომ ქუჩის გზა, უახლოეს მომავალში, კონკურენტუნარიანი იქნება: ვისაც ქუჩაში მართლა დაუხარჯავს ენერგია, ყველა პარლამენტშია — ნამდვილი ქუჩის ოპოზიცია ახლა არის კოალიციაში! ზვიად ძიძიგურს ქუჩაში დგომას ვერავინ ასწავლის, ჩვენც არა გვიშავდა რა. თუმცა თავს უფრო კომფორტულად დარბაზში ვგრძნობთ. რაც შეეხება კოალიციას, ბუნებრივი პროცესია, რომ თუ სახელისუფლო კოალიციის ფარგლებსგარეთ პოლიტიკური სპექტრი სუსტია, იწყება შიდაკონკურენცია. ასე მოხდა 2004 წლის მარტის არჩევნების შემდეგ, როცა „ახლებმა“ და „მრეწველებმა“ გადალახეს ბარიერი, მაგრამ არ იყვნენ „ნაციონალების“ საპირწონე ძალა პარლამენტში. სწორედ ამან განსაზღვრა ჩვენი და „კონსერვატორების“, ანუ სახელისუფლო სამი პარტიიდან ორის ოპოზიციაში წასვლაც.

— ეს იყო თქვენი ბლოკიდან წამოსვლის მიზეზი და არა, პირადად თქვენი და ზურაბ ჟვანიას ურთიერთობის გაფუჭება?

— არ ვამბობ, რომ ჩვენი გამოყოფა მარტო ამან განაპირობა. თუმცა დიახ, ჟვანიას, 2004 წლის თებერვალში, პირადად ჩემი და „რესპუბლიკელების“ მიმართ პრეტენზიები ჰქონდა და ჩვენი პარტიის კოალიციიდან გარიყვა მოსინჯა, რაც არ გამოუვიდა. საერთოდ, ჟვანიასთან კარგი ურთიერთობა მქონდა, როცა ოპოზიციაში იყო და ცუდი — ხელისუფლებაში ყოფნისას. შესაძლოა, მას მიაჩნდა, რომ პარლამენტში მისთვის უხერხული პარტნიორ-კონკურენტი ვიქნებოდით, მაგრამ მალე გაიაზრა, რომ სააკაშვილის მიერ შეთავაზებულ უფუნქციო პრემიერობას არ უნდა დათანხმებოდა. გართულებული ურთიერთობის მიუხედავად, მე და ჟვანია ერთმანეთს მაინც შევხვდით, რაღაც წინააღმდეგობები მოიხსნა და მახსოვს, ვეხუმრე — სანამ შევარდნაძის პარლამენტის თავმჯდომარე იყავი, ვისკი გქონდა, ახლა, ყავაც აღარ გაქვსმეთქი. ვფიქრობ, მისი მძიმე შეცდომა სწორედ საკუთარი პარტიის გაუქმება იყო სააკაშვილის მოთხოვნით. ჩვენ კი ეს არ გავაკეთეთ და, როგორც ჩანს, მას ეს დისკომფორტს უქმნიდა.

— შეგვიძლია, მშვენიერი პარალელი გავავლოთ დღევანდელ სიტუაციასთან — ბიძინა ივანიშვილი ახლაც ხშირად იმეორებს, კოალიციაში პარტიები ისე კარგად გრძნობენ თავს, საკუთარი პარტიების გაუქმება და „ოცნებასთან“ შეერთება სურთ, მე კი არ ვაძლევ ამის საშუალებასო. თქვენს პოზიციებს გადახედეთ და ის, რაც შეცდომა იყო 2004 წელს, ახლა შეცდომა აღარაა?

— მართალს ამბობს ივანიშვილი — კოალიციაში შემავალ რამდენიმე პარტიას ღია მცდელობა ჰქონდა, „ოცნებას“ შეერთებოდა. მეც ღიად ვამბობ — არასდროს, არც ერთ ეტაპზე, „რესპუბლიკელები“ ამის გაკეთებას მინიშნებითაც კი არ ვაპირებდით — ეს არ გაგვიკეთებია 34 წლის წინ, გუშინ და არც ხვალ გავაკეთებთ!

დასასრული მე-4 გვერდზე

FINANCIAL TIMES „ქართველ ხალხში დასავლეთის თვალთმაქცად აღქმას, შესაძლოა, ზიზღიც მიემატოს“

უცხოური გამოცემა Financial Times საქართველოში ექსჩინოვნიკების დაკავებებთან დაკავშირებით, დასავლეთის სახელმწიფოთა ხელისუფლებების რეაქციების შესახებ სტატიას აქვეყნებს და აღნიშნავს, რომ დასავლეთის ამ რეაქციამ, შესაძლოა, ქართველ ხალხში უარყოფითი რეაქციები გამოიწვიოს.

სტატიის ავტორი ნილ ბაკლი აღნიშნავს, რომ ერთი შეხედვით, ოქტომბრის არჩევნების შემდეგ საქართველოში მოვლენები პოსტსაბჭოთა ქვეყნების ჩვეული ლოგიკით — „გამარჯვებულს ყველაფერი“ — ვითარდება.

„ეს ჰგავს იმას, როგორ მოექცა სააკაშვილის მთავრობა მისი წინამორბედის, ედუარდ შევარდნაძის ყოფილ მოკავშირეებს და უკრაინის ხელისუფლების მიერ განხორციელებულ დევნას ყოფილი პრემიერის, იულია ტიმოშენკოსა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ. ფაქტია, რომ რამდენიმე კვირის განმავლობაში გამოძიებებმა უკვე ისეთი სიმაღლეები დაიპყრო, როგორიცაა ყოფილი პრემიერი ვანო მერაბიშვილი. იგი გამომძიებლებმა ახირებული ბრალდებით დაკითხეს, რომლის მიხედვითაც, მერაბიშვილი საზღვარგარეთ ყალბი პასპორტით გაემგზავრა. სააკაშვილის პარტიის მოკავშირეები არ ამტკიცებენ, რომ 20-ზე მეტი დაპატიმრებული ადამიანიდან ყველა უდანაშაულოა, მაგრამ მიაჩნიათ, რომ ივანიშვილის მთავრობა დაპატიმრებებსა და დაკითხვებს კრიტიკულად განწყობილი „ნაციონალების“ დასადუმებლად იყენებს, რათა მოუსპოს შესაძლებლობა, პარლამენტში ოპოზიციის კუთვნილი როლი ეფექტურად შეასრულონ“, – აღნიშნულია სტატიაში.

თუმცა, ნილ ბაკლი იმასაც აღნიშნავს, რომ „მართლმსაჯულების სისტემა დიდი ნაპრალი იყო მიხეილ სააკაშვილისა და მისი მთავრობის დემოკრატიულ კურსში, რომლებსაც ხანდახან „მარკეტინგის ბოლშევიკებს“ ეძახდნენ.

„თავიანთ ლიბერალურ მისწრაფებებში, ისინი არ თაკილობდნენ, მართლმსაჯულებისა და სისხლის სამართლის სისტემა საკუთარი მიზნების მისაღწევად გამოეყენებინათ. ქართველთა ნაწილი, რომელმაც იცოდა, როგორ ფუნქციონირებდა სისტემა, დასავლეთის განცხადებებს, რომ სააკაშვილის ადმინისტრაცია პოსტსაბჭოთა სივრცეში დემოკრატიის შუქურას წარმოადგენდა, უკვე ცინიზმად და თვალთმაქცობად აღიქვამდა. სწორედ ამას ეფუძნება ივანიშვილის ბანაკის განცხადება, რომ რიგით ქართველებს სისტემის ბოროტად გამომყენებელ ყოფილ ხელისუფალთა დასჯა სურთ. იმის მიუხედავად, რომ პოლიტიკურ ანგარიშსწორებაზე თვალის დახუჭვა შეუძლებელია, სააკაშვილის ბანაკმა „ქართული ოცნების“ რეაქცია საკუთარ თავს, გარკვეულწილად, თავადვე დაატეხა. „ივანიშვილსა და მის ალიანსს არჩევნების დროს ჯარიმებით და დაპატიმრებებით ავიწროებდნენ. ტექნიკური მიზეზების გამო, მას საქართველოს მოქალაქეობაც კი ჩამოართვეს, მისი „ქართუ ბანკი“ დაარბიეს და დროებით, სხვას გადასცეს. ყოველივე ამის გათვალისწინებით, დასავლეთის ხელისუფლებების მოწოდებებმა „ქართული ოცნების“ მთავრობისადმი, „შეაჩერონ“ ყოფილ ადმინისტრაციასთან დაკავშირებული თანამდებობის პირების დაპატიმრებები, შესაძლოა, საქართველოში დასავლეთის თვალთმაქცად აღქმას ზიზღიც მიუმატოს. შესაძლოა, სჯობდეს იმის მოთხოვნა, რომ თითოეული ბრალდება უნდა იყოს მტკიცებულებებით გამაგრებული, პროცესები სათანადო დონეზე წარიმართოს და ყველა საქმე სავსებით გამჭვირვალე იყოს. მხოლოდ მაშინ შეიძლება კანონის უზენაესობის განმტკიცებაზე საუბარი, ახლა კი განხილულ საქმეთა გარკვეულ ნაწილს ბევრი უკლია ამ სტანდარტებამდე. თუმცა, შესაძლოა, სხვა გამოსავალიც არსებობდეს. მაგალითად მოსაზრება, რომელიც თომას დე ვაალმა და ანა დოლიძემ გამოთქვეს. ასეთმა მიდგომამ, შესაძლოა, არა მარტო პოსტ „ვარდების რევოლუციური“ დემოკრატიის ხარვეზები გამოასწოროს და ივანიშვილი პროდემოკრატობის „სიგელებით“ შეამკოს, არამედ, კვლავ შეუნარჩუნოს საქართველოს დემოკრატიის შუქურის რეპუტაცია პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის“, — ნათქვამია Financial Times-ის სტატიაში

„მედიანიუსი“

დავების განხილვის საბჭოს არასამთავრობო ორგანიზაციების წევრებიც დაემატებიან

მაია მიშელაძე
ეკონომიკა

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საგადასახადო დავების განხილვის საბჭოს გამჭვირვალობის მიზნით, საზოგადოებას ახალ ინიციატივას სთავაზობს. ამიერიდან, ეკონომიკურ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს საშუალება აქვთ, საგადასახადო დავების განხილვის საბჭოს მუშაობაში ჩაერთონ. შესაბამისად, 2012 წლის 25 დეკემბრამდე, არასამთავრობო ორგანიზაციებმა ფინანსთა სამინისტროში უნდა წარადგინონ საბჭოს წევრების სავარაუდო კანდიდატურები და ინფორმაცია მათი საქმიანობის შესახებ.

ფინანსთა სამინისტრო ჯარიმებს ამცირებს

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილემ, დავით ებრალიძემ სამინისტროში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, რომ 11 დეკემბერს გამართულ მთავრობის სხდომაზე უკვე გაიტანეს საგადასახადო დავების საბჭოს ახალი წევრების დამტკიცების საკითხი. შესაბამისად, უახლოეს მომავალში, დავების განხილვა განახლდება:

„იმისთვის, რომ საგადასახადო დავების საბჭო უფრო ტრანსფარანტული იყოს, მივმართავთ იმ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც ეკონომიკური პროფილით მუშაობენ და ვთავაზობთ, წარმოადგინონ მათ მიერ შერჩეული კანდიდატურები, რომლებსაც დავების საბჭოში შევიყვანთ. პირველ ეტაპზე, არასამთავრობო სექტორის ორ წარმომადგენელს შევარჩევთ, მაგრამ ამ პროცესში უფრო მეტი არასამთავრობო ორგანიზაციის ფართო სპექტრის მონაწილეობის მიზნით, ყოველ ექვს თვეში ერთხელ, ეს ორი წევრი როტაციის პრინციპით შეიცვლება“, — აღნიშნა დავით ებრალიძემ.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, საგადასახადო დავების განხილვის საბჭო ფინანსთა სამინისტროსთან არსებული ორგანოა, რომლის შემადგენლობას საქართველოს მთავრობა განსაზღვრავს. საქართველოს მთავრობამ საბჭოს ახალი 9 წევრი სამშაბათს, 11 დეკემბერს გამართულ მთავრობის სხდომაზე უკვე დაამტკიცა. საგადასახადო დავების განხილვის საბჭოს წევრები არიან: ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური, ფინანსთა მინისტრის მოადგილე დავით ებრალიძე, საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი მამუკა ბარათაშვილი, იურიდიული დეპარტამენტის უფროსი გიორგი ბარათაშვილი, დავების საბჭოს ხელმძღვანელი დავით ქევხიშვილი, სამართალწარმოების სამმართველოს უფროსი ზვიად კორძაია, საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი შალვა თადუმაძე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი გოგა გუგავა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი ირაკლი ლიჩელი.

დავით ებრალიძემ აღნიშნა, რომ ახლა მთავარია, მთავრობის სხდომის გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, საგადასახადო დავების განხილვის საბჭო ვერ შეიკრიბება. მისი თქმით, ფინანსთა სამინისტროს მიზანია, დავების საბჭოს წევრები პროფესიონალ არბიტრებად ჩამოყალიბდნენ, რომლებიც საგადასახადო დავებს განიხილავენ:

„ჩვენი მიზანია, სამართალწარმოება საგადასახადო დავების განხილვის მიმართულებით დაიხვეწოს და კვალიფიციური კადრები შევქმნათ. შესაბამისად, დავების საბჭოში შევიყვანეთ ისეთი ახალგაზრდები, რომლებიც პერსპექტივაში ან მოსამართლეებად, ან კვალიფიციურ არბიტრებად ჩამოყალიბდებიან. რაც შეეხება დამოუკიდებელი არბიტრაჟის შექმნის იდეას, პირადად, მე, წინააღმდეგი ვარ, რადგან გარკვეულწილად, დამოუკიდებელი არბიტრაჟი ელიტური დავების განხილვის ცენტრის შექმნას გულისხმობს. ეს იმას ნიშნავს, რომ მეწარმე, რომელსაც ფინანსური საშუალება აქვს, შეძლებს ადვოკატების დაქირავებას და საკუთარი პოზიციის დაცვას, მაგრამ ყველა მეწარმე ამას ვერ გააკეთებს. ჩემი აზრით, ეს არასწორი პრაქტიკაა, ამიტომ დავების განხილვის მიმართულებით, ისეთი სასამართლო სისტემა უნდა შევქმნათ, რომელიც ყველა მეწარმისთვის ხელმისაწვდომი იქნება. მაქსიმალურად ვეცდებით, მთლიანი სისტემა გაჯანსაღდეს როგორც ჩვენი უწყების, ასევე — სასამართლოს ფარგლებში“.

მას შემდეგ, რაც 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა და პრემიერ-მინისტრმა მთავრობის ახალი შემადგენლობა წარადგინა, ფინანსთა სამინისტროში საგადასახადო დავების განხილვის საბჭომ მუშაობა დროებით შეაჩერა. მიუხედავად ამისა, დავების საბჭოში მეწარმეთა საჩივრების მიღება არ შეწყვეტილა და როგორც დავით ებრალიძემ „ვერსიას“ განუცხადა, რამდენიმე ასეული საქმე დაგროვდა. როგორც კი დავების საბჭო შეიკრიბება, ამ საქმეების განხილვა დაიწყება.

წინა ხელისუფლების პირობებში, დავების განხილვის საბჭოზე ერთგვარი პრაქტიკაც კი ჩამოყალიბდა — მეწარმეების პრობლემების მიხედვით, ფინანსთა სამინისტროს ინიციატივით, საგადასახადო კოდექსში გარკვეული ცვლილებები შედიოდა. სულ სხვა საკითხია, რამდენად იყო ამ ცვლილებებში მეწარმეთა ინტერესები გათვალისწინებული, მაგრამ ფაქტია, რომ ასეთი მცდელობა არსებობდა. ხშირ შემთხვევაში, საგადასახადო კოდექსში ცვლილებებს მაშინდელი ბიზნეს-ომბუდსმენის, გიორგი პერტაიას რეკომენდაციითაც ამზადებდნენ, რომელიც ამ საბჭოს ერთ-ერთი წევრი იყო. საინტერესოა, ძალაში დარჩება თუ არა წინა ხელისუფლების პრაქტიკა, როდესაც მაგალითად, საგადასახადო ადმინისტრირების შერბილების მიზნით, კოდექსში გარკვეული ცვლილებები მზადდებოდა. „ვერსიის“ ამ კითხვას დავით ებრალიძემ ასე უპასუხა:

„პირდაპირ გეტყვით, რომ საგადასახადო ადმინისტრირება არ შერბილდება, მაგრამ ეს აუცილებლად სამართლიანი გახდება. მეტიც, საგადასახადო ჯარიმები ჰუმანური ხდება, მაგრამ ეს დავების საბჭოს არ ეხება. ფინანსთა სამინისტრომ უკვე მოამზადა საკანონმდებლო ინიციატივების პაკეტი, რომელიც მთავრობას წარვუდგინეთ და უახლოეს მომავალში პარლამენტშიც შევიტანთ. ამ ცვლილებების პაკეტში, საჯარიმო სანქციების კუთხით, ჰუმანური ნაბიჯები გადავდგით და ერთ-ერთი ცვლილება საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენებასთან დაკავშირებულ ჯარიმას ეხება. ახალი ინიციატივით, 500-ლარიანი ჯარიმა საგრძნობლად შემცირდება, მაგრამ ამასთან დაკავშირებით დეტალურ ინფორმაციას, უშუალოდ, ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური მოგაწვდით. მინისტრის ბრიფინგი ამ თემაზე მომდევნო კვირაში გაიმართება“.

„დროებითი საგამოძიებო კომისია ამ წლის ბოლო სასესიო კვირაში შეიქმნება!“

მე-3 გვერდიდან

ამ პარტიებიდან ერთ-ერთი, „ეროვნული ფორუმი“ შერწყმის შესახებ უკვე საუბრობს, მაგრამ ჩვენ, ირაკლი ალასანია და, დიდი ალბათობით, ზვიად ძიძიგური ამას არ ვაპირებთ. სხვათა შორის, ძიძიგურს ვგულშემატკივრობდით, დამოუკიდებელი ფრაქცია შეექმნა, რაც შეძლო კიდეც. სხვა პარტიების ხელმძღვანელები კი გამუდმებით ეუბნებოდნენ ივანიშვილს, რომ მზად იყვნენ შერწყმისთვის და ვადასტურებ, ივანიშვილი ამბობდა, პარტია თუ ხარ, პარტიად გადარჩი, იმუშავე და მე ხელს შეგიწყობო. ნათელია ისიც, რომ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ბიძინა ივანიშვილმა წინ სწორედ ორი ძალა „რესპუბლიკელები“ და „თავისუფალი დემოკრატები“ წამოგვწია. პარლამენტში ჩვენ გვაქვს მყარი პოზიციები, მთავრობაში — ირაკლის.

— ჯამში, სადაა მეტი ბერკეტი?

— ყველაზე მეტი ბერკეტი აქვს ბიძინა ივანიშვილს!

— სად არის თინა ხიდაშელის დროებითი საგამოძიებო კომისია, როგორც დამატებითი ბერკეტი „რესპუბლიკელებისთვის“ — რატომღაც, კოალიციის სხვა პარტიები ამბობენ, რომ ამ კომისიის შექმნა წელს ვერ ესწრება და ეს დიდად არც უნდა სწყინდეთ...

— ცნობილია, რომ ხალხი ელოდება თინა ხიდაშელს, საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარედ. ვფიქრობ, ამ კომისიის შექმნა სწორედაც, წელს მოესწრება და მეტსაც გეტყვით — დროებითი საგამოძიებო კომისია ამ წლის ბოლო სასესიო კვირაში შეიქმნება!

— გასაგებია — ანუ ოპოზიციის ხელისუფლების შიგნით გაძლიერება ნიშნავს თქვენი და ალასანიას პარტიების გაძლიერებას ივანიშვილის ფულით, რეიტინგით და ამის მერე, კიდევ ქდმ-ს უნდა ვეძახოთ, სატელიტი ხარო?

— როცა თვითმმართველობის არჩევნები გაიმართება, მაღალი ალბათობით, კოალიცია ერთი პარტიული სიით არ მიიღებს მონაწილეობას ამ არჩევნებში, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იმ მომენტისთვის პარლამენტში ჩვენი კოალიციის ერთიანობას საფრთხე დაემუქრება. 2014 წელს კოალიციაში შემავალი 6-ვე პარტია არჩევნებში მონაწილეობას ერთი სიით არ მიიღებს. თუმცა „ოცნებაში“ შემავალი სუბიექტები ერთმანეთთან უფრო მჭიდრო ურთიერთობაში იქნებიან, ვიდრე სხვა პარტიებთან. პრინციპში, 2014 წელს პოლიტიკური სპექტრი თავიდან დალაგდება და უკვე მომავალი საპარლამენტო არჩევნებისთვის, გამოიკვეთება ის 4-5 დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტია, ვინც შევა საკანონმდებლო ორგანოში.

— ე.ი. ამბობთ, რომ ივანიშვილის „ორთქლმავალი“ 2014 წელს აღარ დაგჭირდებათ საკრებულოებში მოსახვედრად — როგორ აპირებთ, პარლამენტში ერთად იყოთ და თან ადგილობრივ არჩევნებში ერთმანეთი დახოცოთ?

— ამის საჭიროება არ იქნება, მაგრამ თუ მაინც იქნა, იმის ნიშანი იქნება, რომ პოლიტიკური სისტემა შეფერხებულია. როცა ივანიშვილი წელიწადნახევარში პოლიტიკიდან წასვლაზე საუბრობს, სავარაუდოდ, სწორედ ამას გულისხმობს. 2014 წლის არჩევნები საინტერესო იქნება — ერთმანეთს არ დავხოცავთ, მაგრამ პოლიტიკური ტემპერატურა აიწევს.

— ზოგიერთ რაიონში, ადგილობრივ დონეზე, თქვენი და ალასანიას პარტიები უკვე ხოცავთ ერთმანეთს და რატომღაც, ახალ გამგებლებად, ბევრგან, სწორედ „რესპუბლიკელები“ ინიშნებიან...

— გეტყვით, რატომ ჩანან თვითმმართველობებში სწორედ „რესპუბლიკელები“ — ბევრ რაიონში, ჩვენ თითო წევრი მაინც გვყავდა 2010 წლის არჩევნებზე და ამის შემდეგ, ეს ორი წელი, მთელ რიგ რაიონებში, ფაქტობრივად, „რესპუბლიკელი“ იყო ერთადერთი ოპოზიციური პარტიის წევრი. ამიტომ, ჩვენი ხალხი 1-ლი ოქტომბრის მერე, ბუნებრივად გახდა მიზიდულობის ცენტრი საკრებულოს სხვა წევრებისთვის, რადგან მათ მანამდე ოპოზიციად იცნობდნენ. შესაბამისად, საწყის ეტაპზევე, ზოგი „რესპუბლიკელი“ საკრებულოს თავმჯდომარე, ზოგი — თავმჯდომარის მოადგილე, ზოგიც — მოზრდილი ფრაქციის ლიდერი გახდა. ამ პროცესს, პარტიაში, მე ვხელმძღვანელობ და მიხარია, რომ ახალქალაქში, ადიგენსა და ისეთ რაიონებში შევდივართ, სადაც აქამდე ოპოზიციას ფეხი არ ჰქონდა მოკიდებული. ზოგადად, რა თქმა უნდა, ყველა პარტია ცდილობს, ყველა რაიონში საკუთარი პოლიტიკური გუნდი წარმოაჩინოს და ადგილობრივ ხელისუფლებაში გარკვეული პოზიცია დაიკავოს. ამ საკითხში, ჩვენ და „თავისუფალი დემოკრატები“ კარგად ვთანამშრომლობთ ისევე, როგორც ჩვენი ფრაქციები პარლამენტში. მინდა გითხრათ, ალასანიას პარტიასთან გადასარევი ურთიერთობა გვაქვს — ჩვენ ვჭირდებით ერთმანეთს და ამას ორივე ვაცნობიერებთ!

— შეიძლება, თქვენ და „თავისუფალი დემოკრატები“ არა ერთმანეთის, არამედ „ოცნების“ კონკურენტებად გიხილოთ?

— თვითმმართველობის არჩევნებამდე პარლამენტში არანაირი სერიოზული გადანაწილება არ იქნება.

— და შემდეგ? 2014 წელს ალასანიასთან მეორედ გააკეთებთ ალიანსს თუ ეს პრესტიჟის არჩევნებია და „რესპუბლიკელები“ მარტო იქნებით?

— 2013 წელი რეფორმირების წელი იქნება და თვითმმართველობის ორგანოები ბევრად გაძლიერდება, ისინი ორდონიანი გახდება, არჩეული მერი კი არა მარტო თბილისში, არამედ ყველა ქალაქში გვეყოლება. შესაბამისად, ის შედეგები, რაც ადგილობრივ არჩევნებზე დადგება, კარგი სასტარტო პოზიციები იქნება საპარლამენტო არჩევნებისთვის. არ გამოვრიცხავ, 2014 წლისთვის ალიანსის გაკეთებას „თავისუფალ დემოკრატებთან“. შესაბამისად, სულაც არ ვხოცავთ ერთმანეთს და ღირებულებებითაც და პრაგმატულადაც ახლოს ვართ — ვიმეორებ, ამ კოალიციაში ჩვენ ერთმანეთი გვჭირდება!

ნინო კომახიძე
პოლიტიკა

„ძალიან მალე დიმიტრი ქიტოშვილის, გიორგი არველაძის, გივი თარგამაძის, ზურაბ ადეიშვილისა და ირაკლი ჩიქოვანის პასუხისმგებლობის საკითხი დადგება“!

ე.წ. ციხის სკანდალი, როგორც მთავარმა პროკურორმა 1 კვირის წინ გვითხრა, დაახლოებით 10 დღეში, ბოლომდე გაიხსნება. უცნაურია, რომ კბილაშვილის უწყებამ ირმა ინაშვილი, ალექსანდრე ლომია და ამ სკანდალში ჩართული სხვა ადამიანები დაკითხვაზე არ დაიბარა, თუმცა „ობიექტივის“ დამფუძნებელი საკუთარი ინიციატივით შეხვდა არჩილ კბილაშვილს, მას ციხის კადრების სრული ჩანაწერები და დამატებითი მასალები გადასცა. რა არის ის კადრები, რაც ეთერში არ გასულა და რა იქნება მეორე სკანდალური საქმე, რაზეც „ობიექტივის“ დამფუძნებელი პროკურატურაში სარჩელს შეიტანს — „ვერსიას“ ირმა ინაშვილი ესაუბრება:

ციხის რა კადრები არ გასულა ეთერში და რა იქნება მეორე სარჩელი, რომლითაც ირმა ინაშვილი პროკურატურას მიმართავს

— იმ დამატებით მასალებში, რაც პროკურატურას გადავეცით, ციხის სასულიერო პირები, ასევე, სხვა პირები, ახალი სახეები ჩანან და დიალოგები ისმის. როგორც ტელეჟურნალისტები ვეძახით, იქ ძალიან ბევრი „შავი“ კადრია, რომელიც საჯარო ჩვენებისთვის არ გამოგვიყენებია, მაგრამ არ გამოვრიცხავ, ეს მასალები გამოძიებისთვის საინტერესო აღმოჩნდეს. პროკურორები ციხიდან გამოტანილმა დოკუმენტებმაც დაინტერესა — იქ არის სიები, გვარები, თანამშრომელთა მონაცემები, პირადი წერილები და სხვა უამრავი მასალა. აკობია და ფარულავა ნამდვილად რისკავდნენ, როცა ეს მასალები გამოჰქონდათ. ვლადიმერ ბედუკაძე კი, გარკვეული ძალების ხელში, იარაღად იქცა ირმა ინაშვილისა და „ობიექტივის“ წინააღმდეგ.

— თქვენ თქვით, ეს ძალები შეიძლება იყვნენ მიხეილ მაჭავარიანი და გია ხუხაშვილი. განსაკუთრებით საინტერესოა, „ოცნების“ მხარდამჭერი ხუხაშვილი რით შეიძლება, უკმაყოფილო ყოფილიყო?

— აქ არც რუსული მხარის ინტერესებს გამოვრიცხავ, რადგან ამ პროცესში ხომერიკის, ებრალიძის გვარებმაც გაიჟღერა, თავად ბედუკაძისა და მისი გარემოცვის მხრიდან. უბრალოდ, ციხის სკანდალი იმდენად სერიოზული საქმე იყო, ბევრს სურდა, მას ზედ მიკერებოდა და რაღაც დივიდენდები მიეღო, ჩვენ კი ყველას მოგერიება გვიწევდა. რაც შეეხება გია ხუხაშვილს, ჩემთვისაც გაუგებარია, რატომ უნდა შედიოდეს მის ინტერესებში ჩვენს წინააღმდეგ პიარის დაგეგმვა. ჩვენ კარგი პირადი ურთიერთობა გვაქვს, არც კომუნიკაციის პრობლემა გვქონია ოდესმე, თუმცა გასათვალისწინებელია, ათობით ჟურნალისტის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, სადაც სწორედ ხუხაშვილის გვარი სახელდება. არ ვიცი, ვის სჭირდებოდა ჩვენთვის ტალახის სროლა!

— და როგორ ფიქრობთ, ხუხაშვილი თუ არა, მიხეილ მაჭავარიანი იჯდა და ირმა ინაშვილისთვის ტალახის სროლაზე ფიქრობდა, შურისძიების მიზნით?

— დიახ, შურისძიება სააკაშვილის რეჟიმის წარმომადგენელთა მიზანია, რადგან მათთვის დღეს ბაჩო ახალაია უფლებაშელახული პატიმარია, ჩვენთვის კი ის კაცი, ვის სეიფშიც წამების არდაწუნებული კადრები ინახებოდა. სხვათა შორის, დღეს ისიც გასარკვევია, არის თუ არა ეს კადრები საქართველოში, ან გაანადგურეს თუ კომპრომატებად შეინახეს პატიმრების ოჯახების წინააღმდეგ!

— კონკრეტულ პატიმარზე, ირაკლი ოქრუაშვილზე ვისაუბროთ — შემიფასეთ საქართველოში დაბრუნებიდან დღემდე მის გარშემო მიმდინარე მოვლენები.

— ჯერ ერთი, ცუდია, რომ ოქრუაშვილი ამ სიაში არ არის. სამართლიანობა მოითხოვდა, ვისაც ეკუთვნოდა ეს სტატუსი ან ყველასთვის მიეცათ, ან — არავისთვის. ჩემი აზრით, ოქრუაშვილის მთავარი მიზანია სააკაშვილი, მერაბიშვილი და ახალაია გასამართლდნენ. ირაკლი ძალიან მიზანდასახული კაცია და, ვფიქრობ, იმიტომ ჩამოვიდა, რომ იყოს მოწმე ხელისუფლების ამ მაღალჩინოსნების წინააღმდეგ.

— თუმცა, რაც ჩამოვიდა, მას მერე, „ჯეოსელის“ წილებისა და „ზილების რევოლუციის“ გარდა, სხვა არაფერზე იკითხება.

— ჩემი აზრით კი, ძალიან ბევრ ისეთ საქმეზეც იკითხება, რაც მედიისთვის ჯერ უცნობია. ყველაფერს ხომ არ გაასაჯაროებენ, რა მიმართულებითაც ოქრუაშვილთან მიდის მუშაობა. ვფიქრობ, ის მნიშვნელოვან ჩვენებას მისცემს სააკაშვილი-მერაბიშვილის წინააღმდეგ. მეტიც, ჩემი ინფორმაციით, მას საიტერესო მასალები აქვს!

მან იცის, რა ხდებოდა სააკაშვილის ხელისუფლების წიაღში, თავდაცვის სისტემაში, შეიარაღებულ ძალებში, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ვითომდა დაცვის პროცესში, როცა, სინამდვილეში, მიწებს კარგავდნენ. მას ბევრი რამ აქვს შემოტოვებული მაშინდელი ხელისუფლების წინააღმდეგ, თუმცა ბევრ რამეზე, მათთან ერთადაც მოუწევს პასუხისგება და ეს თავადაც იცის. საერთოდაც, მივესალმები ფაქტს, რომ ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნებმა ერთმანეთის წინააღმდეგ ჩვენებები მისცენ.

ამას, მაგალითად, 10 დეკემბერს შევესწარი პროკურატურაში —

თურმე, დიმიტრი ქიტოშვილი საკუთარი სურვილით აძლევს გამოძიებას ჩვენებას „ჯეოსელის“ წილების წართმევის თაობაზე. ამ დროს, ეს ის დიტო ქიტოშვილია, რომელმაც, თავის დროზე, „ობიექტივის“ სიხშირე წამართვა. როცა კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარე იყო, ქიტოშვილი თავად მიდიოდა კაბინეტში ჩვენი ტელევიზიის დირექტორთან, მიხეილ აგლაძესთან და ევაჭრებოდა, ეს სიხშირე დათმეო. ქიტოშვილი აგლაძეს გივი თარგამაძისა და ზურაბ ადეიშვილის სახელით ემუქრებოდა. ასე, ძალით დაათმობინეს 50%, შემდეგ კიდევ 1%, ცემეს და დააყრუეს კაცი, დღეს კი ქიტოშვილი კრავის სახით დგას პროკურატურაში და ჩვენებებს იძლევა!

— მერე, ამ ყველაფერს რომ ყვებით, პროკურატურაში ქიტოშვილის გვერდით თუ იდექით, მის წინააღმდეგ თავად ვერ მიეცით ჩვენება?

— ყველაფერს ერთად ხომ ვერ გავაკეთებთ? გამოძიებაა დასაწყები მარეგულირებელი კომისიის სხვა თავმჯდომარის, გიორგი არველაძის წინააღმდეგ, რომელმაც „ობიექტივის“ ლიცენზია უკანონოდ ჩაიბარა, რადგან იცოდა, რომ ეს არხი წართმეულია! რაზეც ახლა ვსაუბრობთ, ანუ საკუთრების წართმევა დაშინებისა და ზეწოლის გზით, სისხლის სამართლის დანაშაულია! თქვას ქიტოშვილმა, ვისი დავალებით წაგვართვა სიხშირე, რატომ გადაეცა ეს სიხშირე შს სტრუქტურადქცეულ „ალანიას“, მერე „რეგიონ ტივის“, მერე „პიკს“.

— ამასობაში, გივი თარგამაძე რევოლუციით აქეთ იმუქრება...

— გივი თარგამაძის დროც დადგება, კონკრეტულად, ამ საქმესთან დაკავშირებით. ამ საკითხს ძალიან მალე მე დავაყენებ: როგორც კი ციხის საქმის გამოძიება დასრულდება, დაიწყება მეორე საქმე — „ობიექტივისთვის“ წართმეული სიხშირის დაბრუნება, რის გამოც დიტო ქიტოშვილის, გიორგი არველაძის, გივი თარგამაძის, ზურაბ ადეიშვილისა და ირაკლი ჩიქოვანის, მარეგულირებელი კომისიის ახლანდელი თავმჯდომარის, ანუ მინიმუმ, 5 კაცის პასუხისმგებლობის საკითხი დადგება!

მათ უკან კიდევ ბევრი ხალხია — უკანონო წამრთმევები, მესაკუთრეები, მათი კლანები და გარემოცვა. თავს ძლივს ვიკავებდი, როცა ქიტოშვილი პროკურატურაში დავინახე. იქვე იყო ნანა ანდრონიკაშვილი, რომელსაც ასევე ქიტოშვილმა წაართვა 33-ე სიხშირე. ანდრონიკაშვილი სწორედ ამ თემაზე გამოძიების დასაწყებად იყო მოსული და საინტერესო კომპოტი მივიღეთ — ორი დაზარალებული და შუაში — დამნაშავე!

— პოლიტპატიმრებისა და დევნილების სიაზე რას ფიქრობთ, თქვენი აზრით, ვინ აკლია ამ სიას?

— მე, პირადად, ვწუხვარ, რომ ამ სიაში ვერ მოხვდა ირაკლი დოკვაძე, რომლის მასალები კომისიაში მიტანილი იყო. თუმცა, როგორც მისმა დედამ მითხრა, ირაკლის საბუთები კომისიაში დაუკარგავთ. ამ სიაში არ არის ნორა კვიციანი და ეს შესასწავლი თემაა! რადგან ნორა კვიციანი და მაია თოფურია ადრე გათავისუფლდნენ, ეს სია კი 5 დეკემბერს მიიღეს, ამის გამო სტატუსი არ უნდა მიენიჭოთ? ვფიქრობ, მოუწევს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტს დამატებითი დადგენილების შემუშავება, რადგან დღევანდელი ვითარება უსამართლოა!

— ასეთივე სიტუაციაა ამნისტიის კანონსა და უკვე დაწყებულ ამნისტიებზეც?

— ჩემი აზრით, ქვეყანაში ფართო ამნისტია უნდა გამოცხადდეს, რომლის ფარგლებში, მხოლოდ 6 500 კი არა, გაცილებით მეტი ადამიანი გამოვა ციხიდან. საერთაშორისო სტანდარტების გათვლით, საქართველოში 5 500 პატიმარზე მეტი არ უნდა იყოს და ამ რიცხვს ჩვენი მოსახლეობის მცირე რაოდენობა გვკარნახობს. არ შეიძლება, ჩვენ იმაზე მეტი კრიმინალი გვყავდეს, ვიდრე ნორვეგიას, უკრაინას, პოლონეთს.

დღესაც მიდის კამათი პატიმრების რეალურ რიცხვზე — ვიღაც ამბობს, რომ 25 000 პატიმარი გვყავდა, ჩვენ კი ვამბობთ, რომ — 48 000! ამ ფონზე, ფართო ამნისტიის გამოცხადების გარდა, სხვა გამოსავალი არ არის! სრული იდიოტობაა იფიქრო, რომ თუ პატიმრებს გაათავისუფლებ, ქვეყანაში კრიმინოგენული ვითარება დაიძაბება. ეს ვითარება არანაირად არ შეიცვლება!

— შეწყალებული პატიმრები მკვლელობის მცდელობისა და სხვა დანაშაულებისთვის ციხეში პანტა-პუნტით ბრუნდებიან, ბიძინა ივანიშვილი კი გაგებით მოკიდებისკენ მოგვიწოდებს.

— მერე, რა, ეგ ერთეული შემთხვევებია. რაც შეეხება გაგებასა და შეგუებას — ჯერ გაეცნონ საერთაშორისო გამოცდილებას! დიდი ხანია, ყველაფერი დაწერილი და გაანალიზებულია, ჩვენზე ჭკვიან ადამიანებს აქვთ დასკვნები გამოტანილი — ჩვენ, ასეთ პატარა ერს, არ შეიძლება, 5 500-ზე მეტი პატიმარი გვყავდეს. არავის უნდა უკან შებრუნება, ერთეული შემთხვევების გარდა. ისიც უნდა ითქვას, რომ ამნისტიის შესახებ კანონ-პროექტისა ყველა მთავრობას ეშინია: ამის ეშინოდა სააკაშვილსაც, ეშინია ახალ ხელისუფლებასაც, ამიტომ მათ მეტი გაბედულებისკენ მოვუწოდებ!

ვერსიანიუსი

მართლმადიდებლები ანჩისხატის ხატის ტაძარში დაბრუნებას ითხოვენ

მართლმადიდებელთა საორგანიზაციო კრებული მთავრობისაგან ხელოვნების მუზეუმში მოხვედრილი ანჩისხატის დედნის ტაძარში დაბრუნებას ითხოვს. შესაბამისი მიმართვა, ხელმოწერასთან ერთად, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს გურამ ოდიშარიას გადაეცემა. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სხვადასხვა ტაძრის სასულიერო პირები და მრევლი ხელოვნების მუზეუმში მოხვედრილი ანჩისხატის დედნისთვის სახატის პროექტის დროულ განხორციელებას შესაბამისი დაცვის პირობების გათვალისწინებით და ამ უდიდესი სიწმინდის ისტორიის დაუმახინჯებლად თავის ტაძარში დაბრუნებას. **„ასევე ვითხოვთ ხელოვნების მუზეუმში – იმავე ყოფილ სასულიერო სემინარიაში საეკლესიო ქონებისა და სიწმინდეების თავისი ისტორიული მეპატრონის, ეკლესიისთვის გადაცემას და ამ შენობაშივე ლოცვის სახით, სიწმინდეებისთვის ეკლესიური პატივის აღდგენას. საქართველოსა და უცხოეთში მყოფი ქართული სიწმინდეების და ძეგლების ეკლესიური პატივის აღდგენას. აგრეთვე, დღევანდელი ქართული საგანძურისა და სიწმინდეების მდგომარეობის სასწრაფო გამორკვევას და აღრიცხვას, თუ რა დარჩა წლების განმავლობაში და რისი მფლობელებიღა ვართ“,** — ნათქვამია მიმართვაში.

მართლმადიდებლები ასევე მოითხოვენ, მკაცრად მოხდეს რეაგირება და გამოძიება ბოლო წლებში საეჭვოდ დაკარგულ საგანძურზე, რომლის რაოდენობაც, როგორც პროკურატურა წლების მანძილზე იტყობინებოდა, 300 ერთეულს სცილდება. **„მთავრობა, რომელიც ერს ანჩისხატს არ უბრუნებს — აფხაზეთსა და სამაჩაბლოს დაუბრუნებს?!“ ეს მხილება, წინა მთავრობების დროს გაჟღერდა და ვიმედოვნებთ, საქართველოს ახალ ხელისუფლებას აღარ შეეხება“,** — ნათქვამია მიმართვაში.

„მედიანიუსი“

მაია მიშელაძე
ეკონომიკა

ზურაბ ადეიშვილს კახეთის რეაბილიტაციის პროექტს გადააყოლებენ?

მეთოდი, რომლითაც სტიქიის შედეგად დაზარალებულ ოჯახებს კომპენსაციებს მისცემენ

კახეთის რეაბილიტაციის პროექტი — „კახეთის ახალი სიცოცხლე“, მთლიანად კახეთის რეგიონის სარეაბილიტაციო სამუშაოებს გულისხმობდა. ეს ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ბოლო პროექტი იყო, ლაზიკას თუ არ ჩავთვლით. მართალია, სარემონტო სამუშაოები — ქუჩებისა და გარეფასადების შეკეთება, სახლების გადახურვა, გარეგანათების დამონტაჟება წინა ხელისუფლებამ დაიწყო, მაგრამ 1 ოქტომბრის შემდეგ გაირკვა, რომ ამ პროექტში სახელმწიფო თანხები არამიზნობრივად გაიხარჯა. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა, დავით ნარმანიამ უამრავი დარღვევა აღმოაჩინა, შესაბამისი მასალები კი ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურსა და მთავარ პროკურატურას გადასცა. კახეთის რეაბილიტაციის ფარგლებში, დავით ნარმანიას უწყება კიდევ ერთი მიმართულებით მუშაობს და ესაა სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარება. დარღვევები ამ მხრივაც უხვადაა, მაგრამ კონკრეტული პირების ბრალეულობის დადგენაზე მეტად, სამინისტრო იმ დაპირების ასრულებაზე მუშაობს, რაც სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის კომპენსაციების გაცემასა და მათი სახლების შეკეთებას გულისხმობს.

კახეთის რეაბილიტაციის პროექტს რეგიონული განვითარების მუნიციპალური ფონდი ახორციელებს. პროექტის პირველი ეტაპის სამუშაოებისთვის, 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან, მსოფლიო ბანკიდან და კერძო ფონდებიდან 120 000 000 ლარი გამოიყო, რათა მთლიანად რეგიონის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაწყებულიყო. პროექტის ფარგლებში, თელავისა და ყვარლის ისტორიული ნაწილის სრული რეაბილიტაცია დაიგეგმა, რაც შენობების, პარკების, სკვერების, გზების, გარეგანათებების, მიწისქვეშა კომუნიკაციებისა და სხვა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობას გულისხმობს.

აღდგენითი სამუშაოების გარდა, ტურისტული ინფრასტრუქტურა მოეწყობა დართლოს, ძველი და ახალი შუამთის, იყალთოს, უჯარმის, ნინოწმინდის, დავით გარეჯის, გურჯაანის, ალავერდისა და ბოდბეს მიმდებარე ტერიტორიებზე. კონკრეტულად, თელავის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში, დაგეგმილი იყო 140-მდე შენობის რესტავრაცია, მათგან 134 საცხოვრებელი სახლის, ასევე ერეკლე ბატონიშვილის სასახლისა და ნადიკვარის პარკის რეაბილიტაცია, ქუჩებისა და გარეგანათებების კეთილმოწყობა და ასე შემდეგ.

რა დარღვევები აღმოჩნდა თელავის რეაბილიტაციის პროექტში, ამ თემაზე „ვერსია“ უკვე წერდა. მხოლოდ ერთ ფაქტს შეგახსენებთ, დოკუმენტური მასალების შესწავლის შემდეგ, დადგინდა, რომ მუნიციპალური განვითარების ფონდმა ნადიკვარის რეაბილიტაციაში, ნაცვლად 3 900 000 ლარისა, 4 600 000 ლარი გახარჯა ანუ 700 000 ლარით მეტი. მართალია, დავით ნარმანიას უწყებამ შესაბამისი დოკუმენტები ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურსა და მთავარ პროკურატურას უკვე გადაუგზავნა, მაგრამ დოკუმენტების შესწავლა და დაგეგმილი აღდგენითი სამუშაოები ახლაც გრძელდება. „ვერსია“ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილეს, **შოთა მურღულიას** დაუკავშირდა:

„ზოგადად, კახეთის რეაბილიტაციის პროგრამა ყველაზე ცუდად გაკეთებული პროგრამა იყო, რადგან უამრავი პრობლემა დარჩა და მათ მოგვარებას ვცდილობთ. იმის გამო, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოები დაჩქარებულ ვადებში შესრულდა, უკვე დასრულებული სამუშაოები უხარისხო აღმოჩნდა. პრობლემაა ამ პროექტის არაორგანიზებულობა, დაჩქარებულ ვადებში დასრულება და შესრულებული სამუშაოს ხარისხი. ეს ეხება როგორც შენობა-ნაგებობების, მათ შორის საცხოვრებელი სახლების რემონტს, ასევე ქუჩების რეაბილიტაციასაც. სიჩქარის გამო, თითქმის ყველგან შეცდომებია დაშვებული. გარდა ამისა, დაჩქარებულ და ცუდად შესრულებულ სამუშაოებში, საბაზრო ფასებთან შედარებით, გაცილებით დიდი თანხებია გადახდილი. რეალურად, ცუდ საქმეში, საკმაოდ დიდი თანხა გადაიხადეს, რასაც გამოსწორება და დამატებითი თანხები სჭირდება“.

შოთა მურღულია ამბობს, რომ შესასწავლია საკითხი, კონკრეტულად, ვისი ბრალია კახეთის რეაბილიტაციის პროგრამაში დაშვებული შეცდომები — დამკვეთის, საპროექტო ფირმის თუ უშუალოდ, სამშენებლო კომპანიის. მისი თქმით, ეს საკითხი შესაბამისმა სამსახურებმა უნდა გამოიძიონ, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს კი მხოლოდ იმის თქმა შეუძლია, რომ სახელმწიფომ ძალიან ცუდ ხარისხში საკმაოდ ძვირი თანხა გადაიხადა.

„უდანაშაულობის პრეზუმპციიდან გამომდინარე, ნამდვილად არ გავაჟღერებ იმ ადამიანების გვარებს, ვინც ამ პროექტს ხელმძღვანელობდა, რადგან მათი ბრალეულობა შესაბამისმა სამსახურებმა უნდა დაადგინონ. ერთი რამ კი შემიძლია გითხრათ, რეალურად, ამ სამუშაოებს მთავარი პროკურატურა კურირებდა“, — განუცხადა „ვერსიას“ შოთა მურღულიამ.

კახეთის რეაბილიტაციის პროექტი რომ ყოფილი მთავარი პროკურორის, ზურაბ ადეიშვილის იდეაა, ეს ფაქტი საზოგადოებას საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, თელავის განვითარების პროექტის პრეზენტაციის დროს ამცნო. თავის დროზე, სიღნაღის რეაბილიტაციის პროექტის იდეის ავტორიც ზურაბ ადეიშვილი იყო. მართალია, შოთა მურღულია დამნაშავე პირების გვარებს არ ასახელებს, მაგრამ ფაქტია, რომ კახეთის რეაბილიტაციის პროექტის მასალებით, არჩილ კბილაშვილის უწყებას სრული საფუძველი აქვს, საქართველოს ფარგლებს გარეთ მყოფი ზურაბ ადეიშვილი დაკითხვაზე დაიბაროს.

კახეთის რეაბილიტაციის ფარგლებში, დავით ნარმანიას უწყება კიდევ ერთ პროექტს კურირებს, რაც რეგიონში, სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის საცხოვრებელი სახლების აღდგენასა და მათთვის კომპენსაციების გაცემას გულისხმობს. ამ სამუშაოებს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის კიდევ ერთი მოადგილე, **თენგიზ შერგილაშვილი** ხელმძღვანელობს, რომელმაც „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა:

„სწორედ ახლა ვბრუნდები კახეთიდან და ხუთივე რაიონი დავათვალიერე, რომლებიც სტიქიის შედეგად დაზიანდა. ადგილზე ვნახე, კონკრეტულად, რომელი სახლია გადახურული, რომ მოსახლეობამ ზამთარი ნორმალურად გადაიტანოს. ყველა განცხადება, რომელიც ჩვენს სამინისტროში კახეთის ხუთივე რაიონიდან შემოვიდა, შევისწავლეთ, ადგილზე ვნახეთ და მათი ნაწილი ფონდ „ქართუს“ გადავეცით, ნაწილი კი იმ კომპანიას, რომელმაც თავის დროზე, სტიქიის შედეგად დაზიანებული სახლების სახურავები უხარისხოდ შეაკეთა. ახლა, პირველი ეტაპის სამუშაოები, ანუ ამ სახურავების შესწორება-გადახურვის პროცესი მიმდინარეობს. მეორე ეტაპზე, უშუალოდ, ზარალს დავითვლით, ანუ რა ზიანი მიადგა სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს. შევიმუშავეთ გარკვეული მეთოდოლოგია, რომლის საშუალებითაც თითოეულ სოფელში, ზარალის აღწერას დავიწყებთ, ადგილობრივი ჯგუფების მიერ შესაბამისი დოკუმენტაცია მომზადდება და დაახლოებით, 10 დღეში, პირველადი მონაცემები გვექნება. ამ პროცესში სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროც ჩართულია, რათა ზუსტი ზარალის დადგენაში დაგვეხმაროს. მას შემდეგ, რაც ზარალს აღვწერთ, პირველად მონაცემებს გადავამუშავებთ და სპეციალურ ბაზას შევქმნით, რათა კომპენსაციების გაცემა დავიწყოთ, რომ ეს ზარალი ავანაზღაუროთ. მეტ-ნაკლებად სრული სურათი კი დეკემბრის მესამე დეკადაში გვექნება“.

თენგიზ შერგილაშვილის თქმით, კომპენსაციები „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ შემუშავებული კატეგორიების მიხედვით კი არა, ინდივიდუალურად, იმ მეთოდის მიხედვით გაიცემა, რომელიც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ შეიმუშავა:

„ზარალის დათვლის დროს, აუცილებლად გავითვალისწინებთ დაზიანების პროცენტულ მაჩვენებელს, წინასწარ გაცემულ კომპენსაციას, ასევე საშუალო მოსავლიანობის საბაზრო ფასებს, რაც სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურის მიხედვითაა დადგენილი და მხოლოდ ამის მიხედვით დავითვლით, რა მოცულობის ზიანი მიადგა თითოეულ ოჯახს. აქედან გამომდინარე, ინდივიდუალურად, კონკრეტული ოჯახების მიხედვით გავცემთ კომპენსაციას. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ ინდივიდუალურად ვმუშაობთ და არა იმ კატეგორიების მიხედვით, რომელიც წინა ხელისუფლებამ შეიმუშავა. გახსოვთ, რომ პირველი კატეგორიის ზარალის დროს 1 500 ლარი, მეორე — 1 000 ლარი და მესამე — 500 ლარის კომპენსაცია გასცეს“.

თენგიზ შერგილაშვილმა „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ სტიქიის შედეგად, 30 000-მდე ოჯახი დაზარალდა. დაზარალებული მოსახლეობა ღია ცის ქვეშ ნამდვილად არ არის, რადგან წინა ხელისუფლების პირობებში, დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სახურავების შეკეთება დაიწყო, ოღონდ ეს სახლები უხარისხოდ გადახურეს. სამწუხაროდ, წვიმის დროს, ამ სახლებში წყალი ჩადის და ესაა მიზეზი, რის გამოც უკვე გადახურული სახლების ხელახლა გადახურვა უწევთ.

აღსრულების ეროვნულმა ბიურომ ბიძინა ივანიშვილის 80 000 000 ლარზე ყადაღა უკვე მოხსნა და ეს თანხა პრემიერ-მინისტრს დაუბრუნა. ბიძინა ივანიშვილის 80 000 000 ლარი, სტიქიის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობას უნდა მოხმარებოდა, მაგრამ თენგიზ შერგილაშვილმა დასძინა, რომ მას შემდეგ, რაც ზარალს დაითვლიან და ზუსტ მონაცემებს დადებენ, გამორიცხული არ არის, რომ საკომპენსაციო თანხამ 80 000 000 ლარს გადააჭარბოს კიდეც. საინტერესოა, რა რესურსი არსებობს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ზარალის ასანაზღაურებლად, ან კომპენსაცია ბიუჯეტიდან გაიცემა, თუ არა:

„ამოცანა დასახულია და ეს არის სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის სრულად ანაზღაურება. როდესაც სრული სურათი გვექნება, დაფინანსების წყაროებს შემდგომში განვსაზღვრავთ, მაგრამ ახლავე შემიძლია გითხრათ, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებთან ეს დაკავშირებული არ იქნება. მაგალითად, სახურავების შეკეთებაზე უკვე მუშაობს და ამ სამუშაოებს ფონდი „ქართუ“ აფინანსებს, სავარაუდოდ, კომპენსაციების პროცესშიც ფონდი „ქართუ“ ჩაერთვება. რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტს, როგორც იცით, 2013 წლის ბიუჯეტში, ამ მიმართულებით ცალკე, მსხვილი მუხლი განსაზღვრული არ არის, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ზარალი არ ანაზღაურდება“.

ვერსიანიუსი

ირაკლი ღარიბაშვილი: „ოპონენტები ცდილობენ, დაკავებები პოლიტიკურად მოტივირებულად მონათლონ, თუმცა ვერ დავეთანხმებით“

შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი გამორიცხავს, რომ ბოლოდროინდელი დაკავებები პოლიტიკურად მოტივირებულია. ამის შესახებ ღარიბაშვილმა სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ მიმდინარე უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ კონფერენციაზე გამოსვლისას განაცხადა.

ღარიბაშვილის თქმით, ბოლო პერიოდში საერთაშორისო პრესაში ჩნდება მინიშნებები იმის თაობაზე, რომ აღნიშნული დაკავებები შესაძლოა, პოლიტიკური ნიშნით იყოს მოტივირებული, თუმცა აღნიშნულს მინისტრი კატეგორიულად გამორიცხავს.

„ჩვენ ყველა დაკავებას ძალიან ფრთხილად ვეკიდებით. როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური მედია და ასევე საზოგადოება ძალიან დიდი ყურადღებით აკვირდება მიმდინარე დაკავებებს. სამწუხაროა, რომ ჩვენი ოპონენტები ყოველთვის ცდილობენ, ბოლოდროინდელი დაკავებები მონათლონ, როგორც პოლიტიკურად მოტივირებული, თუმცა ჩვენ ამაში ვერ დავეთანხმებით და მზად ვართ, ნებისმიერ კითხვაზე პასუხი გავცეთ. კიდევ ვიმეორებ, რომ ჩვენ ადამიანის ბედს მაქსიმალურად ფრთხილად ვეკიდებით და ის მთავარი პრინციპი, რომელიც ჩვენ მუშაობისას დავსახეთ, რომ ვიქნებოდით სამართლიანები, კანონიერები და ჰუმანურები, ჩვენთვის მნიშვნელოვანია და ამას მაქსიმალურად მკაცრად დავიცავთ“, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

„პირველი“

მესაზღვრეებმა თევზჭერის წესების დარღვევის ფაქტზე გემი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის ოპერაციების მართვის მთავარი სამმართველოს, II სამმართველოს საპატრულო კატარღა **P-001**-ის ეკიპაჟმა, ქობულეთის საზღვაო რაიონში, თევზჭერის წესების დარღვევის ფაქტზე თევზსაჭერი გემი **ALBATROS-3** დააკავეს.

სასაზღვრო პოლიციის პრესსამსახურის ინფორმაციით, გემის კაპიტანს, დავით ფილიას ბრალი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 86-ე მუხლის II ნაწილით წაუყენეს, რაც 500 ლარის ოდენობით ჯარიმის გადახდას ითვალისწინებს.

„ნიუსპრესი“

„მე ვარ მწერალი და ვბედავ, ხმამაღლა გამოვხატო ჩემი პოზიცია!“

ნათია ვასაძე

საქართველოში პოლიტიკურ გარემოს თითქმის მთლიანად ქმნიან ქართული ტელეარხები, რომელთა საშუალებით ხდება პოლიტიკური აზრისა თუ სოციალური პრობლემების წარმოჩენა, წინა პლანზე წამოწევა და ფართო საზოგადოებისთვის გაცნობა. საინტერესოა, რამდენად აისახა ხელისუფლების ცვლილება ქართულ ტელევიზიებზე და რჩება თუ არა სატელევიზიო გარემო კვლავაც პოლიტიზირებული. ახალ პოლიტიკურ რეალობაში, სატელევიზიო პოლიტიკის თავისებურებებზე „ვერსიას“ პოეტი, ვაჟა ოთარაშვილი ესაუბრება:

ვაჟა ოთარაშვილი ქართული ტელეპოლიტიკის, ტელეექსპერტებისა და ტელემოლაპარაკეების წინააღმდეგ!

— 90-იან წლებში, როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა დაიწყო, ქართული ტელეარხები ქართული სულიერებისა და ქართული ცნობიერებისთვის ბრძოლას ემსახურებოდნენ. რატომ მოხდა, რომ დროთა განმავლობაში, მათ ეს ფუნქცია დაკარგეს და ანტიქართულ პროცესებში აღმოჩნდნენ ჩართულები?

— დღევანდელი ტელეპოლიტიკა აბსურდამდე მიდის. ავიღოთ, თუნდაც, ყოფილი ოპოზიციური ტელევიზიები — იქაც ერთი და იგივე ტელეექსპერტების ჯადოსნური წრე ტრიალებს, ანუ ხდება საზოგადოების ზომბირება. ყველაზე დიდი დამნაშავეები ის ტელეარხებია, რომელთაც ვანო მერაბიშვილი გმირად გამოჰყავთ, ბაჩო ახალაია — ცოტნე დადიანად და მეხაჭაპურე თეა თუთბერიძეს საზოგადოებისთვის ცნობადს ხდიან. გამოდის „პირველ არხზე“ კვესიტაძე, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროში „ნაციონალური“ ხელისუფლების მიერ ჩანერგილი შოთა უტიაშვილის მეუღლეა და გამოცდილი გესტაპოელივით დაკითხვას უწყობს ნებისმიერ რესპოდენტს. საქმე ის არის, რომ ეს დაკითხვები ანტიქართულ ხასიათს ატარებს და ჩვენი ეროვნული ცნობიერების, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ღირებულებების წინააღმდეგაა მიმართული. როგორი დახვეწილი ჟურნალისტიც უნდა მუშაობდეს ნებისმიერ არხზე, გადაცემათა დაახლოებით, 90% ანტიქართულია. „რუსთავი 2“, „იმედი“, ხშირად „მეცხე არხიც“ და „მაესტროც“, არაეროვნული სულისკვეთებით გამოირჩევა.

— „იმედი“ ახსენეთ, იქნებ გაიხსენოთ ის პერიოდი, როცა ტელეკომპანიას ბადრი პატარკაციშვილი ფლობდა. განსხვავდებოდა თუ არა მაშინდელი „იმედი“ დღევანდლისგან?

— ბადრი პატარკაციშვილის პერიოდი მართლაც, იყო „იმედის“ რენესანსის ეპოქა. პოლიტიკური თოქ-შოუები, აზრთა გაზიარება თუ დისკუსიები იყო ის საწყისი მიმართულება, საითკენაც ქართული ტელევიზიები უნდა წასულიყვნენ. ბატონმა ბადრიმ, „იმედში“ მოღვაწეობის დროს, სწორედ ასეთი, პროქართულად მოაზროვნე ტელევიზიის ჩამოყალიბებას ჩაუყარა საფუძველი. სამწუხაროდ, არ დასცალდა. 2007 წლის 7 ნოემბერს, რუსთაველის პროსპექტსა და რიყეზე გამოსული მოსახლეობის მთელი სისასტიკით დარბევის შემდეგ, სააკაშვილის „ზონდრების ხროვა“ სწორედ „იმედს“ გაუსწორდა.

ჩვენმა ტელევიზიებმა ის კი არ უნდა აკეთონ, რაც ამერიკას, ევროპას ან რუსეთს აწყობს, არამედ ის, რაც ქართველი ერისთვისაა უკეთესი. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენს უკან ჩვენი წინაპრების სისხლით გაჟღენთილი ქართული მიწა-წყალია — „ვეფხისტყაოსნისა“ და „ვეფხისა და მოყმის“ ქვეყანა, რომელიც შაგრენის ტყავივითაა გალეული.

საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნებაც“ კი, რომელსაც როგორც მოარული ხმები ამბობენ, სააკაშვილის მიერ დანიშნული ეპისკოპოსი პეტრე ცაავა განაგებს, იმის ნაცვლად, რომ წმინდა მამათა გამონათქვამებს ავრცელებდეს და განმარტავდეს, ხშირად, არაფრისმთქმელი გადაცემებით „ართობს“ მაყურებელს. სამარცხვინოა, რომ ერს დღესაც „ნაციონალების“ მიერ დანიშნული ის ეპისკოპოსები მოძღვრავენ, რომლებიც დოლგარმონით დაჰყვებოდნენ სააკაშვილს უკან და ღვთისმშობლის ხატის ნაცვლად, კედელზე მისი სურათები ეკიდათ, ხოლო ეკლესია-მონასტრების მისასვლელებს „ნაციონალების“ ლოზუნგებით რთავდნენ.

გავიხსენოთ, როგორი შეურაცხყოფა მიაყენეს ფოთში ჟურნალისტს სააკაშვილის ხელდასხმულმა მოძღვრებმა, ანდა ქუთაისში, მიშას დავით წინასწარმეტყველთან შედარების ამაზრზენი კადრები... სააკაშვილი იყო და არის ქართველი ერის გენოციდის რვაწლიანი შავ-ბნელი პერიოდის მთავარი ხელმძღვანელი და მისი მოქმედება ჰგავდა აფხაზეთში გენერალ ბაგრამიანის სომხური ბატალიონის მიერ მოწყობილ სისხლიან კალოებს... სწორედ ამ სიმართლეზე უნდა მოუთხრონ მსოფლიოს დემოკრატიულ სახელმწიფოებს ქართულმა ტელეარხებმა, თუ გვინდა, ქვეყანა პროგრესული გზით განვითარდეს.

— თუმცა, ამაზე ხმამაღლა საუბარს ვერავინ ბედავს, რადგან საქართველოში განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებიან რელიგიასთან დაკავშირებულ საკითხებს.

— მე ვარ მწერალი და ვბედავ, ხმამაღლა გამოვხატო ჩემი პოზიცია ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით. რაც შეეხება რელიგიურ თემას, წავიკითხოთ თუნდაც, ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში დაწერილი, მღვდელ ილარიონ ჯაშის წერილი იმის შესახებ, თუ რამ გაყო ქართველი ერი და ბერი ერთმანეთისგან. თუმცა დღეს ისეთი დროა, თუ ერი და ბერი ერთად არ დადგა, თუ ყველა ეროვნული, ჭეშმარიტად პატრიოტული ძალა არ გაერთიანდა, ძნელი იქნება ბრძოლა უხილავ მტერთან. რადგანაც, როგორც ჩვენი ტელეარხებიდან ჩანს, ჩემი ლექსით რომ ვთქვა, „საქართველო ყველასია ქართველების გარდა“. ჩვენ თუ ივერიისა და მართლმადიდებლობის დასაცავად რამეს ვიტყვით, ქსენოფობები და ანტიდემოკრატები გამოვდივართ და მერე დაუსრულებლად ვიცავთ თავს ჩვენი ტელეაგენტებისგან...

— თქვენი მხრიდან მიკერძოება ხომ არ არის, როცა ანტიქართულ ტელევიზიებზე საუბრობთ და ჩამონათვალში არ ასახელებთ მხოლოდ მედიაკავშირ „ობიექტივს“, სადაც ერთ-ერთი გადაცემის წამყვანი ბრძანდებით?

— ყოველგვარი მიკერძოების გარეშე ვამბობ, რომ ერთადერთი ტელეარხი, საიდანაც დღეს სიმართლეს გაიგებ, მედიაკავშირი „ობიექტივია“, მაგრამ სამწუხაროდ, მას ყველა ვერ უყურებს და ვერ უსმენს, რადგან მისი გავრცელების არეალი შეზღუდულია, ტექნიკური საშუალებები კი — მწირი. თუმცა დათო თარხან-მოურავისა და ირმა ინაშვილის სახელმწიფოებრივი აზროვნება და მამულიშვილური დამოკიდებულება საქმისადმი მისაბაძია. სწორედ მათი დამსახურებაა ციხის კადრების გავრცელება, რამაც გამოიწვია საპარლამენტო არჩევნების შედეგები და ქვეყანაში დღეს არსებული პოლიტიკური რეალობა.

— რაში ხედავთ გამოსავალს და საჭიროა თუ არა, კონსტიტუციური ნორმის მიღება არსებული ტელეპოლიტიკის მოსაგვარებლად?

— ეს საკითხი სასწრაფოდაა მისახედი, ე.წ. ტელეექსპერტებისა და ტელემოღალატეების ჯადოსნურ წრესაც მალე უნდა დაესვას წერტილი. ეს ეტაპი, თავის დროზე, ევროპის ქვეყნებმაც გაიარეს. იტალიამ ლამის, კონსტიტუციურ ნორმადაც კი მიიღო — ტელეჟურნალისტი, რომელიც იტალიის ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ ნავა, პასუხს აგებს იტალიელი ერის წინაშე. საქართველოში კი არავითარი ნორმა არ არსებობს. ქართული ტელეარხები, ვისაც უნდათ შეურაცხყოფენ, ხოლო ვისაც უნდათ გმირად აქცევენ. დღეს ჩვენს სამშობლოს ვერ დაიპყრობენ ვერც ტანკებით, ვერც იარაღით, მხოლოდ ანტიქართული ტელეეთერით თუ მოახერხებენ ამას. არ დავაკონკრეტებ სახელმწიფოებს, მაგრამ ვიტყვი, რომ საქართველო არის პოლიგონი ყველა ანტიქართული ძალისა, დაწყებული ჩვენი უახლესი, მცირე თუ დიდი მეზობლებით, დამთავრებული შორეული მეზობლებითა და პარტნიორებით. ყველა ცდილობს, თავისთვის სასარგებლო მოგლიჯოს ჩვენს ქვეყანას.

— მიგაჩნიათ, რომ ურთიერთობები არც ერთ ჩვენს მეზობელ ქვეყანასთან არ გვაქვს მოწესრიგებული?

— სამწუხაროდ, ასეა და ეს პრორუსული ორიენტაციის „ნაციონალური“ ხელისუფლების დამსახურებაა. ზოგიერთს ავიწყდება, რომ პრეზიდენტის ბიძა თემურ ალასანია ცნობილი კაგებეშნიკი და სამხრეთ კავკასიის საკითხებში პუტინის მრჩეველი იყო. ალბათ, ბევრი ჯილდოც აქვს მიღებული რუსული იმპერიის გაძლიერებისთვის. ავიწყდებათ ისიც, რომ „ნაციონალური“ მთავრობა პირველად, რუსთაველის პროსპექტზე ჟვანია-ბურჯანაძე-სააკაშვილთან ერთად ხელგადახვეულმა, ივანოვმა დალოცა და „თბილისოც“ იმღერა.

ასე რომ, „ნაციონალური“ ხელისუფლება არის ის მეძავი, რომელიც დღე წევს ამერიკასთან და ღამე — რუსეთთან. სწორედ სააკაშვილის ხელისუფლების მეძავური პოლიტიკის გამოა, მისი დამქაში ტელეარხები ანალოგიურ პოლიტიკას რომ ატარებენ, თავგზას უბნევენ მაყურებელს ფსევდოღირებულებებით და სიყალბეთა „ბრწყინვალებით“.

— ეს ტელევიზიები ქვეყანაში პოლიტიკური რეალობის შეცვლის შემდეგაც, კვლავ წინა ხელისუფლების ინტერესების გამტარებლად რატომ რჩებიან?

— იმიტომ, რომ სხვადასხვა სფეროში მაღალ თანამდებობებზე ისევ ძველი „ნაციონალური“ სახეები რჩებიან. საზოგადოებრივ არხს რომ 68 მილიონი ჰქონია ბიუჯეტის ვალი, განა ეს მისი ხელმძღვანელობის ბრალი არ არის? ეს ფული ჩვენი ჯიბიდანაა ამოღებული და გია ჭანტურია ისევ თანამდებობაზე არ უნდა იჯდეს.

მოვუწოდებ ბიძინა ივანიშვილს, მიიღოს რადიკალური გადაწყვეტილება — დახვეტოს და გადაყაროს ეს „ნაციონალური“ „ღორ-ხბო“, რომელიც ახლა ახალ ხელისუფლებაში გადმოსახლდა უსირცხვილოდ. უნიკალური ნაწარმოები დაგვიტოვა პოლიკარპე კაკაბაძემ „ყვარყვარე თუთაბერის“ სახით. ის, რაც მან 80 წლის წინ დაწერა, პირდაპირ მიესადაგება დღევანდელობას. ქალიშვილი რომ საქალწულე აპკს გაიკერავს და ჰგონია, ამით ყველა ცოდვა მიეტევება, ისე სახელდახელოდ ჩაანაცვლეს წითელი მაისურები ლურჯით. ამისი იდენტიფიკაცია უნდა მოახდინოს ბიძინა ივანიშვილმა, რომლისაც ქართველ ერს სჯერა და რომლის იმედიც აქვს.

— ფიქრობთ, რომ ტელევიზიას შეუძლია, საითაც მოესურვება, იქით წარმართოს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები?

— ტელევიზია ყველაზე მძლავრი იარაღია, რომელიც შეიძლება ანტიქართულმა ძალებმა საქართველოს წინააღმდეგ გამოიყენონ. მეშინია, ტელეპოლიტიკის საშუალებით შეიძლება მოსახლეობაში დეზორგანიზაცია, დებოში და გულგატეხილობა გამოიწვიონ. მჯერა, საქართველოს მთავრობა ბიძინა ივანიშვილის მეთაურობით, უფრო გაბედულად შეუტევს „ნაციონალ“ კრიმინალებს, ესაა ქართული საზოგადოების დაკვეთა და იმედია, არ მოუსმენენ ოკეანისგაღმელთა კრემლისმაგვარ დირექტივებს... მჯერა ასევე, რომ აშშ-ს ადმინისტრაციას ან სრული ინფორმაცია არ გააჩნია საქართველოს ყოფილ კრიმინალ ხელისუფლებაზე ან გარკვეული პიროვნებები საეჭვოდ არიან დაინტერესებულნი ამერიკელი და ქართველი ხალხის ურთიერთობის გაფუჭებით, განსაკუთრებით, ეს ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს ეხება და ეხერხება.

აშკარაა, ბიძინა ივანიშვილს სრულად მუშაობის საშუალებას არ აძლევენ კოალიციაში არსებული ის ძალები, რომლებიც, თავის დროზე, „ნაციონალური“ ფრთის განაყოფები იყვნენ ბოლშევიკ-მენშევიკებივით, რომელთა დროშაზეც თავისუფლების ინსტიტუტის თავზე სოროსის სურათი ფრიალებდა, როგორც ნოე ჟორდანიასა და სერგო ორჯონიკიძის დროშებს ეხატა მარქსი და ენგელსი. მე ვავლებ მხოლოდ პარალელებს, დანარჩენს მკითხველიც მიხვდება. ხოლო ეს ყველაფერი ქართულმა ტელევიზიებმა პირუთვნელად უნდა წარმოაჩინონ და არ შეასრულონ უცხო ქვეყნების ტელეაგენტების როლი. სწორედ ქართველმა ტელეარხებმა უნდა გააშუქონ, რომ ბიძინა ივანიშვილმა და მისმა გუნდმა ისტორიული საქმე უკვე გააკეთა, „ნაციონალთა“ ანტიქართულ ხროვას სახელისუფლებო საჭე უკვე ჩამოართვა. ახლა საჭიროა ამ ხროვის დასამარება — სამართლიანი „ნიურნბერგის“ პროცესი და ქვეყნის სწორი ეროვნული, დემოკრატიული გზით წაყვანა.

დიმიტრი გაბუნია, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში საჩივრის შეტანას გეგმავს

ადვოკატი დიმიტრი გაბუნია, რიგი მოსამართლეების მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების მოთხოვნით, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში საჩივრის შეტანას გეგმავს. როგორც გაბუნიამ განაცხადა, საჩივარი შეეხება ყველა იმ მოსამართლეს, რომელიც „მაესტროს“ საქმის წარმოების გაჭიანურებაში მონაწილეობდა, ასევე მათ, ვინც ტელეკომპანიის ერთ-ერთი დამფუძნებლის, მაკა ასათიანის მიმართ უკანონო გადაწყვეტილებები გამოიტანა.

გაბუნია აცხადებს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ „მაესტროს“ საქმის განსახილველად საპროცესო კოდექსით დადგენილი ვადა შვიდი თვით გააჭიანურა. მისივე თქმით, ის ვერ მიიღებს პრეტენზიას საქმიანი რეპუტაციის შელახვასთან დაკავშირებით იმ სასამართლოსგან, რომელიც შერჩევით მართლმსაჯულებას ახორციელებს.

ადვოკატმა საჯარო მოხელეებს თმენის მაღალი ვალდებულება შეახსენა და აღნიშნა, რომ ისინი კრიტიკას უნდა იტანდნენ, მით უფრო, რომ გადაცემა „არგუმენტებში“ მის მიერ გაკეთებული განცხადებები შეურაცხმყოფელი არ ყოფილა. **„კუზიანს სამარე გაასწორებს და რაც შეიძლება, სწრაფად უნდა გათავისუფლდნენ კონკრეტული მოსამართლეები, რომელთაც უკანონო გადაწყვეტილებების გამოტანაში მიუძღვით ბრალი“,** — განაცხადა გაბუნიამ.

შეგახსენებთ, რომ ადვოკატმა დიმიტრი გაბუნიამ გადაცემა „არგუმენტებში“ თბილისის საქალაქო სასამართლო ტელეკომპანია „მაესტროს“ საქმის განხილვის გაჭიანურებაში დაადანაშაულა. აღნიშნულის პასუხად, სასამართლომ საგანგებო განცხადება გაავრცელა, რომელშიც მხარეებს სასამართლოს საქმიანი რეპუტაციის შელახვისგან თავის შეკავებისკენ მოუწოდა.

„პირველი“

სახელმწიფო დაზღვევისთვის საჭირო თანხის რაოდენობა საზოგადოებისთვის 19 დეკემბერს გახდება ცნობილი

ამის შესახებ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ ჟურნალისტებს, მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განუცხადა.

მისი თქმით, 2013 წელს სახელმწიფო დაზღვევისთვის საჭირო თანხის რაოდენობა უკვე დათვლილი და ცნობილია.

„თუმცა, პირველი წარდგენის უფლება პარლამენტს აქვს. პარლამენტში პირველი წარდგენა სწორედ 19 დეკემბერს მოხდება და სათანადო თანხის რაოდენობა საჯარო და ხელმისაწვდომი ამის შემდეგ გახდება“, — აღნიშნა დავით სერგეენკომ.

შეგახსენებთ, რომ მთავრობის გადაწყვეტილებით, 2013 წლის თებერვლიდან სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევა მოსახლეობის იმ ნაწილსაც შეეხება, რომელიც აქამდე დაზღვეული არ ყოფილა.

„მედიანიუსი“

ლაშა მაქაცარია: „ადგილობრივ თვითმმართველობებზე ზეწოლა ხორციელდება“

იმერეთის ყოფილი გუბერნატორის, ლაშა მაქაცარიას განცხადებით, მთელი საქართველოს მასშტაბით ადგილობრივ თვითმმართველობებზე ზეწოლა ხორციელდება. ამის შესახებ მაქაცარიამ „პრაიმ-ტაიმის“ პრეს-კლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მაქაცარიას თქმით, რეგიონებში საკრებულოების გამგებლებისა და იქ მომუშავე ადამიანების დაკითხვები და დაკავებები მიმდინარეობს.

„ახალი ხელისუფლების მხრიდან ადგილობრივ თვითმმართველობებზე, სადაც მათი გავლენა არც ისე ძლიერია, ზეწოლა მიმდინარეობს. მინდა, გამოვეხმაურო ზესტაფონის გამგებლისა და ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტის დაკავებას. ეს ყველაფერი დასაგმობია და გაგრძელებაა სწორედ იმ ზეწოლისა, რაც ახლა ხორციელდება. ზესტაფონის გამგებლის დაკავება პოლიტიკურადაა მოტივირებული და მას სამართალთან არანაირი კავშირი არ აქვს“, — განაცხადა მაქაცარიამ.

ყოფილი გუბერნატორი გამოეხმაურა გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ მასა და ზესტაფონის გამგებელს შორის უთანხმოება არსებობდა.

„არანაირი უთანხმოება არ ყოფილა. ჩვენ ერთი გუნდის წევრები ვართ და თუკი 2 წლის წინ რაღაც მოხდა, ამას ახლა არანაირი მნიშვნელობა არ აქვს“, — აღნიშნა მაქაცარიამ.

„პირველი“

საქველმოქმედო ფონდმა „ქომაგი“ მუშაობა შეაჩერა!

ია მეტრეველი: „პირველი ხართ, ვისაც ამ თემაზე ღიად და საჯაროდ ვესაუბრები!“

ნელი თორდია

1 ოქტომბრის არჩევნებში კოალიცია „ქართული ოცნების“ გამარჯვებიდან 2 თვის შემდეგ, საქველმოქმედო ფონდი, რომელიც დაარსების დღიდან, ბიძინა ივანიშვილის სახელთან ასოცირდება, მუშაობას წყვეტს. ლვოვის #50-ში მდებარე „ქომაგის“ ოფისის კარზე გაკრული განცხადება იუწყება, რომ საქველმოქმედო ფონდი დროებით აჩერებს მუშაობას და დეტალებზე საზოგადოებას მოგვიანებით ამცნობენ. რამდენი ბენეფიციარის დახმარება მოახერხეს არსებობის მანძილზე, რატომ შეწყვიტეს და რა შემთხვევაში განაახლებენ მუშაობას, „ვერსიას“ ფონდის ხელმძღვანელი ია მეტრეველი უამბობს:

— სანამ ფონდის მუშაობის შეჩერების მიზეზებზე ვისაუბრებდეთ, გეტყვით, რომ დაახლოებით ორი კვირაა, რაც ანგარიშებზე ყადაღა მოგვეხსნა და წინა ხელისუფლების წართმეული ფული დაგვიბრუნდა. თანხის ოდენობა იყო 75 000 ევროს ეკვივალენტი, ანუ თუ არ ვცდები, 151 800 ლარი.

— ეს 75 000 ევრო ბიძინა გიორგობიანის მიერ გერმანიიდან გამოგზავნილი 90 000 ევროს ნაწილია?

— რა თქმა უნდა. ჩვენ სხვა თანხა არც გვქონია. თანხის ნაწილი ოფისს დასჭირდა, კომპიუტერებისა და საჭირო ნივთების შესაძენად, 75 000 ევრო დარჩა. ყადაღის მოხსნის შემდეგ დავიწყეთ ფულის გადანაწილება ჩვენს ბენეფიციარებზე, რომლებიც, მთელი რიგი პრობლემების გამო, 4-5 თვის მანძილზე ელოდნენ დახმარებას. საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ ყველა იმ ადამიანს, რომელიც ჩვენგან დახმარებას ითხოვდა, ვერ დავეხმარეთ სერიოზული პრობლემების გამო, რაც „ქომაგს“ შეუქმნეს, ამიტომ თანხის ჩარიცხვისთანავე შევუდექით მის გადანაწილებას.

ჩვენთან დახმარების მსურველთა 2000-ზე მეტი განცხადება იყო შემოსული, მაგრამ კომისიის შესწავლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ 1000-ზე მეტი განცხადება არა პოლიტიკური ნიშნით დაზარალებულს, არამედ სოციალურად შეჭირვებულს ეკუთვნოდა. ამ ბოლო დროს, დახმარებისთვის სოციალურად დაუცველები მოდიან, მაგრამ ვინაიდან ნახევარი საქართველო ამ კატეგორიას მიეკუთვნება, ფონდი ყველას დახმარებას ვერ შეძლებს. სანამ ქვეყანა ფეხზე არ დადგება და ფაბრიკა-ქარხნები არ ამუშავდება, მეეჭვება, იმ რაოდენობით სოციალურად დაუცველ ადამიანს, რაც საქართველოშია, ასეთი სახის დახმარებით რამე ეშველოს. ამიტომ პოლიტიკური ნიშნით დაზარალებულები შევარჩიეთ და ამ კატეგორიის 1000 ადამიანს დავეხმარეთ. „ქომაგი“ აპირებდა პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან გათავისუფლებული ადამიანებისთვის ყოველთვიურად ჩაერიცხა მათი ხელფასის ოდენობის თანხა, მაგრამ მიზეზთა გამო, ესეც ვერ მოხერხდა, ამიტომ, ფულის ჩარიცხვისთანავე, შეძლებისდაგვარად, გადავანაწილეთ. მიუხედავად იმისა, რომ თანხის ოდენობა დიდი არ იყო, შევეცადეთ, დაახლოებით მაინც, მოგვეყვანა შესაბამისობაში ხელფასებთან. „ქომაგმა“ გააკეთა ძალიან კარგი საქმე იმითაც, რომ ფაქტობრივად, ყველა პოლიტპატიმრის ოჯახს გადასცა სოლიდური დახმარება.

— რამდენად სოლიდური?

— მაგალითად, უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი პოლიტპატიმრების 5-6-სულიანი ოჯახებიდან ერთმა 5000 ლარი მიიღო, მეორემ — 6000 ლარი. სხვათა შორის, ბენეფიციარებისთვის ჩარიცხულ თანხაზე ყადაღის მოხსნის შემდეგ შევამჩნიეთ, რომ რიგ შემთხვევაში ბანკები იტყუებოდნენ და თანხებს იტოვებდნენ. გვიმტკიცებდნენ, ყადაღა ახსნილია, მაგრამ თანხა არ არისო, მაგრამ გაპროტესტების შემდეგ აბრუნებდნენ. ასეთი შემთხვევები ნამდვილად გვქონდა.

> **მოკლედ, პოლიტიკური ნიშნით დაზარალებულმა ყველა ადამიანმა, რომელმაც სექტემბრამდე მოგვმართა, დახმარება მიიღო. სექტემბრიდან უკვე თანხა აღარ გვეყო და დღეისთვის, დახმარების გაცემა შეწყვეტილია იმიტომ, რომ ფაქტობრივად, ანგარიშზე თანხა აღარ გვაქვს.**

ამჟამად, ვიმყოფებით გარდამავალ ეტაპზე და ვფიქრობთ, რა ფორმით გავაგრძელოთ მუშაობა. რადგან, ჩვენს ქვეყანას აღარ უნდა ჰყავდეს პოლიტიკური ნიშნით დაზარალებულები, „ქომაგი“ უნდა გადავიდეს სხვა მიმართულებით მუშაობაზე. ახლა სწორედ ამაზე ვმსჯელობთ. განიხილება სხვადასხვა პროექტები. დიდი სურვილი გვაქვს, პატიმრების რეაბილიტაციაზე დავიწყოთ მუშაობა, მით უფრო, რომ ციხიდან ამდენი ადამიანი გამოდის. ამ ხალხს სჭირდება სამედიცინო დახმარება და რეაბილიტაცია. ყველამ ვიცით, იქ რა გადაიტანეს და უკეთესი მდგომარეობა არც გარეთ გამოსულებს ხვდებათ. უმეტესობას აღარც სამსახური აქვს და აღარც — სახლი იმიტომ, რომ გააყიდვინეს და სიღარიბის ზღვარსმიღმა დატოვეს ეს ადამიანები. გვინდა, მოვახდინოთ ბიზნესმენებისა და კერძო სექტორის ინფორმირება, რომ მათი კეთილი ნების შემთხვევაში, შევძლოთ ამ ადამიანების რეაბილიტაცია. ახლა ამ ეტაპზე ვართ და თუ თანხებს მოვიძიებთ, „ქომაგი“ ისევ გააგრძელებს მუშაობას.

— ცხადია, წინა ხელისუფლების მიერ სამსახურიდან დათხოვნილი ადამიანების უკან დაბრუნება, ამჟამად დასაქმებულების გათავისუფლებას გამოიწვევს, რასაც „ნაციონალები“ სავარაუდოდ, პოლიტიკურ ანგარიშსწორებად შერაცხავენ.

— „ქომაგი“ შეიქმნა ზუსტად იმიტომ, რომ რეჟიმისგან დაჩაგრულ ადამიანებს თავი მიტოვებულად არ ეგრძნოთ. კარგად გვესმის, რომ „ნაციონალები“ საკუთარ წარმომადგენლებს, თუნდაც ისეთი კრიმინალი და დამნაშავე იყოს, როგორიც ბაჩო ახალაიაა, პოლიტპატიმარს უწოდებენ, მაგრამ ვერავითარ შემთხვევაში ვერ გავიზიარებ ამ სისულელეს. მეტიც, ახალი ხელისუფლება ზედმეტად ლოიალურად და დემოკრატიულად ექცევა იმ რეჟიმის წარმომადგენლებს, რომელმაც ადამიანები ქუჩებსა და ციხეებში გაუჟუჟა. მადლობა ღმერთს, ბიძინა ივანიშვილმა ქართველ ხალხთან ერთად მოახერხა რეჟიმის დასრულება.

> **რაც შეეხება ამჟამად დასაქმებულების სამსახურიდან გაშვებას, სკოლის დირექტორების მაგალითზე გეტყვით: მიმაჩნია, რომ ისინი არიან დამნაშავეები, რადგან ძალიან დიდი წვლილი შეიტანეს უსამართლობის დამკვიდრებაში. იმის გათვალისწინებით, როგორც ეს ადამიანები იქცეოდნენ არჩევნებზე, როგორც ატერორებდნენ და აშინებდნენ მასწავლებლებს, მიმაჩნია, რომ ასეთი ადამიანები სკოლებში არ უნდა მუშაობდნენ და ასეთი მსოფლმხედველობით ბავშვებს არ უნდა ზრდიდნენ. მე ვიცი სკოლები, სადაც „ნაციონალი“ დირექტორები თანამშრომლებზე ზეწოლასა და მუქარას ძველებურად განაგრძობენ. ჩემი აზრით, ასეთი ზონდერ-დირექტორები, რომლებიც უშუალოდ იყვნენ ჩართულები რეჟიმის განმტკიცების საქმეში და დანაშაული ჩაიდინეს ქვეყნის, თანამშრომლებისა და ბავშვების წინაშე, არ უნდა იყვნენ სკოლებში, როცა ისეთი ღირსეული ადამიანები, რომლებიც უსამართლობის წინააღმდეგ იბრძოდნენ, უმუშევრები არიან.**

სამსახურიდან უკანონოდ დათხოვნილი ადამიანები ყველა ნორმალური ხელისუფლების პირობებში უბრუნდებოდნენ თავიანთ ადგილებს, მიუხედავად იმისა, ვისი გაშვება გახდება საჭირო მათ დასაბრუნებლად. სხვათა შორის, გარდა ფინანსური დახმარებისა, პოლიტიკური ნიშნით დაზარალებულ ადამიანებს ჩვენ ვატანდით „ქომაგის“ რეკომენდაციებს. ზოგი, ამ რეკომენდაციების წყალობით, სამსახურში დაბრუნდა. მე ვესაუბრე განათლების მინისტრსაც და ვიცი, რომ ჩვენი რეკომენდაციებით კმაყოფილები არიან და ასეთი თანამშრომლობის გაგრძელების სურვილი აქვთ. უახლოეს დღეებში ვაპირებთ, გადავხედოთ პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებული პედაგოგებისა და სკოლის დირექტორების საბუთებს და, განათლების სამინისტროსთან ერთად, განვიხილოთ სამსახურში მათი დაბრუნების პერსპექტივა.

— „ქომაგის“ მუშაობის დროებით შეჩერებას დავუბრუნდეთ. გადაწყვეტილება როდის მიიღეთ?

— ფაქტობრივად, ჩვენ ამის შესახებ ჯერ ღიად არსად გვისაუბრია იმიტომ, რომ არ ვიცით, რა და როგორ იქნება. უბრალოდ, როცა თანხების გადარიცხვა დავასრულეთ, გადავწყვიტეთ, ყველაფერი შეგვეჩერებინა — ხალხის განცხადებები ჩავიბაროთ და ვერაფერი გავაკეთოთ, მოტყუება გამოვა. სანამ ჩამოვყალიბდებით, რა მიმართულებით გააგრძელებს მუშაობას „ქომაგი“, გავჩერდებით და შემდეგ უკვე, ტელევიზიით ვაცნობებთ ხალხს. თქვენ ახლა პირველი ხართ, ვისაც ამ თემაზე ვესაუბრებით. თვის ბოლოსთვის გარკვეული გვექნება, რას ვაპირებთ და თუ მუშაობას გავაგრძელებთ, ეს იანვრიდან მოხდება. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, შევძლებთ თუ არა, სერიოზული და მუდმივი დონორები გავიჩინოთ. ასეთ შემთხვევაში, შეიძლება სამედიცინო კუთხითაც ვიმუშაოთ. მოგეხსენებათ, სამედიცინო დახმარება რა ხარჯებთან არის დაკავშირებული. ერთი სამედიცინო გამოკვლევა 1000 ლარი ისე ჯდება, როგორც არაფერი და პროექტი უნდა გაკეთდეს ისე, რომ აქციები მოაწყონ თვითონ საავადმყოფოებმა. ხალხს შეღავათიან ფასებში ან საერთოდ, უფასოდ ჩაუტარონ გამოკვლევები. შეიძლება, ობოლ ბავშვებს დავეხმაროთ, არის პროექტები ემიგრაციასთან მიმართებაშიც, მაგრამ, პირველ რიგში, მაინც პატიმრებია მისახედი და თუ მუშაობა გავაგრძელეთ, აუცილებლად ამ კუთხით დავიწყებთ.

— იმის გათვალისწინებით, რომ ბიძინა ივანიშვილს აღარავინ უკრძალავს „ქომაგის“ დაფინანსებას, ვფიქრობ, მუდმივი და სერიოზული დონორის მოძიება არ უნდა გაგიჭირდეთ.

— ბატონ ბიძინას იმდენი სიკეთე აქვს გაკეთებული, რომ ალბათ „ქომაგის“ დახმარების სურვილიც ექნება, მაგრამ მარტო მას ვერ „ჩამოვეკიდებით“. მილიონი ორგანიზაციაა, რომელსაც შეუძლია ფონდის დაფინანსება. ვფიქრობ, ყველამ უნდა გამოიჩინოს კეთილი ნება და, დარწმუნებული ვარ, ნელ-ნელა ყველაფერი დალაგდება, ჩადგება ნორმალური რეჟიმის პირობებში და ქვეყანა ფეხზე დადგება.

ვერსიანიუსი

ბუტა რობაქიძის მეგობრებს ბრალდებას მოუხსნიან

თბილისის საქალაქო სასამართლოში, 2004 წლის 24 ნოემბერს მოკლული ბუტა რობაქიძის მეგობრების — გიორგი ქურდაძის, აკაკი ბართაიასა და კახა აზარაშვილის სასამართლო პროცესი გადაიდო.

როგორც ადვოკატები აცხადებენ, სხდომა ტექნიკური მიზეზების გამო გადაიდო და ის 17 დეკემბერს, 15.00 საათისთვის ჩაინიშნა.

სხდომა ერთ-ერთი ბრალდებულის, აკაკი ბართაიას გამოუცხადებლობის გამო გადაიდო, თუმცა ბრალდების მხარემ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა, რის შედეგადაც იარაღის უკანონო შეძენისა და მოხმარებისთვის ბრალდებულებს ბრალს მოუხსნიან.

„დღევანდელ პროცესზე დადასტურდა ჩვენი ვარაუდი, რომ სახელმწიფო ბრალდება უარს იტყოდა ბრალდებაზე. ფორმალური მიზეზით, კერძოდ, რომ ერთ-ერთმა განსასჯელმა ვერ შეძლო პროცესზე მოსვლა, გადაიდო და ორშაბათს ეს პროცესი დასრულდება, მიუხედავად იმისა, გამოცხადდებიან თუ არა განსასჯელები, დადგება გამამართლებელი განაჩენი, ვინაიდან პროკურატურა ეთანხმება შუამდგომლობას და ხსნის ბრალდებას“, — განაცხადა გიორგი ქურდაძის ადვოკატმა, არჩილ ჩოფიკაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ გიორგი ქურდაძეს, აკაკი ბართაიასა და კახა აზარაშვილს ბრალად ედება ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-ტარება.

„მედიანიუსი“

შესაძლებელია თუ არა დემოკრატიზაცია კანონის უზენაესობის გარეშე? საქართველო, ამ მხრივ, საინტერესო მაგალითია

არის თუ არა კანონის უზენაესობა დემოკრატიზაციის აუცილებელი კომპონენტი?

მოლი კორსო

EURASIANET.org

ქვეყანამ, დემოკრატიზაციის თვალსაზრისით, 2012 წელს მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. ბოლო დროს, „საერთაშორისო გამჭვირვალობამ“ საქართველო შეაქო, როგორც ერთადერთი ქვეყანა კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში, რომელმაც კორუფციასთან ბრძოლის საქმეში მნიშვნელოვან წინსვლას მიაღწია. და რა თქმა უნდა, ოქტომბერში, საქართველომ დასავლური დედაქალაქების აპლოდისმენტები დაიმსახურა საპარლამენტო არჩევნების ჩატარებისა და შემდგომი პოლიტიკური გარდაქმნებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ ზოგიერთი მიმართულებით წარმატებებს მიაღწია, კანონის უზენაესობა ჯიუტად პრობლემურ საკითხად რჩება. განსაკუთრებით, თბილისში 2007 წლის ნოემბერში ოპოზიციონერ მომიტინგეებთან ძალადობრივი კონფრონტაციის შემდეგ, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ადმინისტრაცია უწყვეტი კრიტიკის ობიექტად იქცა თვითნებური ქმედებებისა და გადაწყვეტილებათა მიღების გაუმჭვირვალე სტილის გამო.

ელექტორალურმა გარღვევამ, რომელიც დაუშვა სააკაშვილის ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ ოქტომბრის არჩევნებში, თითქოს, გააჩინა იმის შესაძლებლობა, რომ კანონის უზენაესობის საკითხი საქართველოს დემოკრატიზაციის პროცესის სხვა ასპექტების რიგში მოქცეულიყო. მაგრამ წინასწარი ინდიკატორების თანახმად, პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის მთავრობა ცდილობს არა პრობლემის გამოსწორებას, არამედ ძველ პრაქტიკას განაგრძობს.

იმ ფონზე, როდესაც პროკურორების სამიზნეებად ქცეული ყოფილი ქართველი ჩინოვნიკების სია დღითიდღე იზრდება, ჩნდება კითხვები იმასთან დაკავშირებით, ესმის თუ არა ივანიშვილის მთავრობას კანონის უზენაესობის არსი. პასუხი აუცილებლად აისახება საქართველოს გაწევრიანების შანსებზე, როგორც ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში, ასევე ევროკავშირში.

კანონის უზენაესობის საფუძველი სასამართლოს დამოუკიდებლობაა. „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის დროს, როგორც საერთაშორისო, ასევე ქართველი კრიტიკოსები, როგორც წესი, სასამართლო სისტემას აკრიტიკებდნენ იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი მთავრობის ნებას ემორჩილებოდა; შესაბამისად, განაჩენები ხშირად, მწირ მტკიცებულებებს ეფუძნებოდა. შეუძლია თუ არა ივანიშვილის მთავრობას ამ მემკვიდრეობასთან გამკლავება? სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები და პოლიტოლოგები ფიქრობენ, რომ მიუხედავად საქართველოს ასე ნაქები დინამიკისა დემოკრატიული რეფორმების მიმდინარეობის თვალსაზრისით, პასუხი იმაზე, თუ როგორ ესმით ქვეყნის ახალ ლიდერებს კანონის უზენაესობა, ჯერ კიდევ მომავალში გველოდება.

დღევანდელი ტენდენციით, ქართული საზოგადოება კანონის უზენაესობას მოქმედი ხელისუფლების პოლიტიკურ დღის წესრიგთან აერთიანებს, აღნიშნავს უფლებადამცველი ნაზი ჯანეზაშვილი, არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ აღმასრულებელი დირექტორი.

ჯანეზაშვილის თქმით, გაუგებრობა თავად მოსამართლეებს უკავშირდება, რომლებსაც პრეზიდენტი ნიშნავს. ის დასძენს, რომ ისეთი სასამართლო სისტემის პირობებში, რომელიც არ არის „გამჭვირვალე და დამოუკიდებელი“, ამ გაუგებრობის გამოსწორების შანსი ძალიან მცირეა. **„თუკი ჩვენ პრობლემა გვაქვს სასამართლო სისტემასთან დაკავშირებით, პრობლემა გვაქვს მოსამართლეებსა და იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ესმით მათ კანონის უზენაესობა, როგორ შევძლებთ იმის თქმას, რომ საზოგადოებას ადეკვატურად ესმის კანონის უზენაესობის არსი?“**

უცხოელი დონორები დიდი ხნის განმავლობაში უწყობდნენ ხელს კანონის უზენაესობის განმტკიცებას საქართველოში. 2012 წელს, შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტომ (**USAID**) მისი ბიუჯეტის 38%, ან $19.9 დახარჯა დემოკრატიისა და მმართველობის გაუმჯობესების პროგრამებზე. თუმცა რამდენად მოხმარდა აღნიშნული დაფინანსება კანონის უზენაესობის არასწორი აღქმის გამოსწორების მცდელობას, გაურკვეველია.

საბჭოთა მემკვიდრეობამ ხელი შეუწყო იმ წარმოდგენის ჩამოყალიბებას, რომ მართლმსაჯულება საქართველოში პოლიტიკური იარაღია, და რომ სასამართლოებს შურისძიების ინსტრუმენტად იყენებენ, ამბობენ დამკვირვებლები. ბევრისთვის, ეს წარმოდგენა განამტკიცა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მთავრობის მხრიდან ოპოზიციონერი ლიდერების და აქტივისტების წინააღმდეგ წარსულში, ჯერ კიდევ 2007 წელს განხორციელებულმა სამართლებრივმა დევნამ ისეთი ბრალდებებით, როგორებიცაა სახელმწიფო გადატრიალების დაგეგმვა და რუსეთის ჯაშუშობა.

ამ ისტორიის გათვალისწინებით, ბევრ ქართველს ვერ გაუგია, რა ხდება დღეს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერების თავს. ის, რასაც სააკაშვილის მოკავშირეები დღეს „დევნას“ უწოდებენ, ბევრი ქართველისთვის სამაგიეროა, ზოგიერთი კი სააკაშვილის მომხრე 21 ყოფილი ჩინოვნიკის დაპატიმრებას აპლოდისმენტებით ხვდება. „ქართული ოცნების“ ბევრ მხარდამჭერს შორის, როგორც ეს ჩანს მათი მოწოდებით სააკაშვილის გადადგომისკენ, „შურისძიების სურვილი“ გაერთიანებულია „სამართლიანობისკენ სწრაფვასთან“, — ამბობს ტიმოთი ბლაუველტი, თბილისში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში საბჭოთა და პოსტსაბჭოთა კვლევების ასოცირებული პროფესორი. სამართლიანობისა და შურისძიების გაერთიანებული სურვილი შეიძლება ამოძრავებდეთ მთავრობის ჩინოვნიკებსაც. ის, რომ მინისტრები გმობენ სააკაშვილის მოკავშირეებს ვიდრე სასამართლო პროცესები გაიმართება და ზოგჯერ, მათ დაპატიმრებამდეც კი, იმაზე მიუთითებს, რომ ისინი საკმარისად ვერ აცნობიერებენ პროცესს, — ამბობს ჯანეზაშვილი. საყვედურები ისმის სწრაფ დაკავებებთან დაკავშირებით.

„ყველამ იცის, რომ ზოგიერთმა ადამიანმა ჩაიდინა დანაშაული მაგრამ ყველაფერი უნდა გამოიძიოს მთავარმა პროკურატურამ და არა ხალხმა, ან მაღალჩინოსნებმა“, — განაცხადა ჯანეზაშვილმა, — **„საზოგადოებას არ ესმის ის, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ასეთი პროცედურები“.**

მთავრობა, თავის მხრივ, უარყოფს კრიტიკას იმის თაობაზე, თითქოს მისი დაკავებები და გამოძიებები პოლიტიკური შურისძიების სურვილით არის მოტივირებული. იუსტიციის მინისტრმა, თეა წულუკიანმა უკვე განაცხადა სასამართლო სისტემის რეფორმირების ზოგიერთი გეგმის შესახებ, მათ შორის სისხლის სამართლის კოდექსის ცვლილებისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეორგანიზაციის თაობაზე. ეს უკანასკნელი საქართველოს სასამართლო სისტემას ზედამხედველობს. მისი თქმით, მოსამართლეებს თანამდებობებიდან არ გაათავისუფლებენ.

მტკიცებულებების ნაკლებობის გამო, ბრალდებები მოეხსნა და სამართლებრივი დევნა შეწყდა ასევე დაახლოებით, 30 ადამიანის მიმართ. ივანიშვილის მთავრობისთვის პოლიტიკური გამოწვევა იმაში მდგომარეობს, რომ როგორმე პასუხი აგებინოს დამნაშავე ყოფილ ჩინოვნიკებს ისე, რომ ეს შურისძიებად არ იყოს აღქმული. ასეთ გზაზე უარი კი, კიდევ უფრო დაანგრევს ნდობას სისტემის მიმართ, — ამბობს პოლიტოლოგი მარინა მუსხელიშვილი.

„ერთადერთი გზა მომავლისკენ ნაბიჯის გადადგმისა და ყველაფრის წარსულში დატოვებისა, არის პირველ რიგში გამოძიება, და დასჯაც, გარკვეული დოზით“, — ამბობს მუსხელიშვილი.

foreignpress.ge

სენატორები საქართველოს პრემიერ-მინისტრს მოუწოდებენ, არ მიმართოს პოლიტიკურ ანგარიშსწორებას

ჯოშ როგინი

FP Foreign Policy

აშშ-ს სენატორების ორპარტიულმა ჯგუფმა, გასული კვირის ბოლოს, ბიძინა ივანიშვილს წერილით მიმართა, სადაც საქართველოს პრემიერ-მინისტრს მოუწოდებდა, დაუმტკიცოს მსოფლიოს, რომ საქართველო არ იყენებს სასამართლოს პოლიტიკური ანგარიშსწორებისთვის პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ყოფილი მთავრობის ჩინოვნიკებზე.

„ჩვენ შეწუხებულნი ვართ საქართველოს ოპოზიციურ პარტიასთან ასოცირებული ადამიანების დაკავებების, დაპატიმრებებისა და სავარაუდო დევნის შესახებ ცნობებით“, — წერენ სენატორები ჯინ შაჰინი (დემოკრატი, ნიუ-ჰემპშირი), ჯო ლიბერმანი (დამოუკიდებელი სენატორი – კონექტიკუტი), ჯეიმს რიში (რესპუბლიკელი, აიდაჰო), ლინდსი გრეჰემი (რესპუბლიკელი, სამხრეთ კაროლინა) და ჯონ მაკკეინი (რესპუბლიკელი, არიზონა). 6 დეკემბერს ეს წერილი **The Cable**-მ მოიპოვა. **„ჩვენ გწერთ დღეს, რათა გამოვხატოთ ჩვენი მზარდი შეშფოთება იმით, რომ ეს ნაბიჯები შეიძლება იყოს პოლიტიკურად მოტივირებული და მათ მიზანს ბოლოდროინდელი არჩევნების შემდეგ პოლიტიკური ანგარიშსწორება წარმოადგენდეს. ჩვენ მოგიწოდებთ, რომ თქვენმა ადმინისტრაციამ გააკეთოს ყველაფერი, რათა თავიდან აიცილოს თუნდაც აღქმა იმისა, რომ წინა მთავრობის წევრების წინააღმდეგ შერჩევითი სამართალი გამოიყენება“.**

ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც „ქართულმა ოცნებამ“, რომელსაც სათავეში უდგას მილიარდერი ბიძინა ივანიშვილი, საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა, მაღალი რანგის ოფიციალურმა პირებმა აშშ-დან და ევროპიდან გამოთქვეს შეშფოთება იმის გამო, რომ სასამართლო დევნა პოლიტიკურადაა მოტივირებული – წინა მთავრობის 23 წარმომადგენელი დაპატიმრებულია სავარაუდო დანაშაულის, მათ შორის, კორუფციისა და წამების გამო.

შაჰინი და რიჩი არჩევნების დროს საქართველოში იმყოფებოდნენ და იმ მომენტისთვის, ორივე მხარე შეაქეს. მაგრამ ახლა ისინი აფრთხილებენ საქართველოს და აცხადებენ, რომ საქართველოს ურთიერთობა ზოგადად, მსოფლიოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებთან კერძოდ, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად გააგრძელებს ახალი მთავრობა დემოკრატიულ რეფორმებს და უზრუნველყოფს კანონის უზენაესობას, პოლიტიკურ პლურალიზმსა და ოპოზიციასთან თანამშრომლობის პოლიტიკურ კულტურას.

სენატორები პირდაპირ ციტირებენ **The Cable**-ში გასულ თვეს გამოქვეყნებულ ინტერვიუს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ მაია ფანჯიკიძესთან, როგორც დასტურს იმისა, რომ ახალი მთავრობა არ ასრულებს თავის დაპირებას სასამართლო სისტემის პოლიტიკური გავლენისგან გათავისუფლების შესახებ.

„ჩვენ მივესალმებით თქვენს განცხადებებს იმის შესახებ, რომ შერჩევითი სამართალი გამორიცხულია, თუმცა ძალიან ვწუხვართ დღემდე განვითარებული მოვლენების გამო. განსაკუთრებით, შემაშფოთებელი იყო თქვენი საგარეო საქმეთა მინისტრის, მაია ფანჯიკიძის ბოლოდროინდელი კომენტარი, სადაც მან განაცხადა, რომ საქართველოს ყოფილი ოფიციალური პირები „კრიმინალები და დამნაშავენი“ არიან“, — წერენ სენატორები. „ბრალეულობა და უდანაშაულობა უნდა დაადგინოს მიუკერძოებელმა სასამართლომ, სხვაგვარად მოქმედება ძირს უთხრის კანონის უზენაესობას“.

„წლევანდელი საპარლამენტო არჩევნები ნამდვილად კონფლიქტური იყო, მაგრამ კამპანია დასრულდა“, — წერენ სენატორები.

foreignpress.ge

ვერსიანიუსი

პრეზიდენტისთვის ჩამორთმეულ თვითმფრინავზე ინფორმაცია გრიფი „საიდუმლოს“ მოხსნის შემდეგ გასაჯაროვდება

საქართველოს პრეზიდენტის თვითმფრინავების „ბორტი №1“-ის და „ბორტი №2“-ის შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია მას შემდეგ გასაჯაროვდება, რაც საქმეს გრიფი „საიდუმლო“ მოეხსნება.

ამის შესახებ თავდაცვის მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ბურჭულაძემ ჟურნალისტებს მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განუცხადა. რაც შეეხება გავრცელებულ ინფორმაციას, რომლის თანახმადაც, ხსენებული თვითმფრინავებით არა მხოლოდ პრეზიდენტი, არამედ მთავრობის წევრებიც სარგებლობდნენ, ბურჭულაძის თქმით, აღნიშნულ შესყიდვას, ჯერჯერობით, საიდუმლო გრიფი ადევს. ნებისმიერი ინფორმაციით, გასაჯაროება კი მანამდე შეუძლებელია, სანამ საიდუმლო გრიფის მოხსნის პროცედურები არ იქნება დაცული.

„ამ საკითხის გარკვევა ძალიან იოლად შეიძლება. ამას ის მარტივი გარემოება განაპირობებს, რომ ნებისმიერი ფრენა, რომელიც „ბორტი №1“-ით და „ბორტი №2“-ით შესრულდა, ასევე კონკრეტულად, რა რიცხვში და სად იმყოფებოდა ეს თვითმფრინავები, არის აღნუსხული“, — აღნიშნა ალექსანდრე ბურჭულაძემ. მინისტრის მოადგილის განმარტებით, პრეზიდენტისათვის თვითმფრინავის ჩამორთმევის გადაწყვეტილება იმიტომ მიიღეს, რომ სამინისტრო არ მიიჩნევდა მიზანშეწონილად რამდენიმე ათეული მილიონი ლარის კიდევ რამდენიმე წლით გადახდა მაშინ, როცა თავდაცვის უწყებას თავადვე აქვს საკმაოდ სერიოზული დეფიციტი. **„ჩვენ ვზრუნავთ და ვიზრუნებთ ჯარისკაცების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. როცა ერთი თვითმფრინავი არსებობს, მეორე რაში გვჭირდება?“,** — აღნიშნა ალექსანდრე ბურჭულაძემ.

მინისტრის მოადგილის ინფორმაციით, საიდუმლო გრიფის მოხსნას შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება და მისი აღსრულება სჭირდება. იგი ვარაუდობს, რომ გადაწყვეტილების აღსრულება ორი კვირის განმავლობაში გახდება შესაძლებელი. ამასთან, გადაწყვეტილების მხოლოდ თავდაცვის უწყება ვერ მიიღებს.

„მედიანიუსი“

ვის ლობირებს ჯანდაცვის სამინისტრო და რა შედეგებს გამოიწვევს მედიკამენტების ცალობით გაყიდვის აკრძალვა

ნინო ხარშილაძე
საზოგადოება

საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ხალხს დიდი იმედი ჰქონდა, რომ მედიკამენტები გაიაფდებოდა. მიუხედავად დაპირებისა, წამლებზე ხელმისაწვდომობა კიდევ უფრო შეუძლებელი გახდება. საქმე ეხება ჯანდაცვის სამინისტროს ინიციატივას, რომლის მიხედვითაც, აფთიაქებს მედიკამენტები ცალობით გაყიდვას უკრძალავს და ადამიანი ვალდებული ხდება, გარკვეული წამლები მთელი შეკვრა იყიდოს. ჯანდაცვის სამინისტროს რეგულირების სააგენტოს უფროსი დავით მაჭარაშვილი „ბიზნეს კურიერთან“ განმარტავს, რომ საკანონმდებლო ცვლილება, რომლის ამოქმედებასაც სამინისტრო წამლების ცალობით გაყიდვას აფთიაქებს უკრძალავს, ახალი არ არის. კანონში ცვლილება 2009 წლის 15 ოქტომბერს შევიდა. წამლების გადაფუთვა-შეფუთვა ითვლება წარმოების პროგრამად — იმ დაწესებულებებს, ვინც ახორციელებს ფარმაცევტული პროდუქციის შეფუთვას, აუცილებლად უნდა გააჩნდეს ნებართვა ფარმაცევტულ წარმოებაზე. უკანონობა იყო, როცა წამლებს ცალობით ყიდდნენ. „ვერსია“ დაინტერესდა, რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამ რეგულაციის შემოღებას და ამის გასარკვევად, არასამთავრობო ორგანიზაცია „ჯანმრთელი სამყაროს“ თავმჯდომარეს, ზურაბ ფუტკარაძეს ესაუბრა:

—ის რეგულაციები, რომლებიც წამლისა და ფარმაციის სფეროში შემოდის, არასწორია, ვინაიდან ხელს შეუშლის სამედიცინო მომსახურეობის გაუმჯობესებას. ჯანდაცვის სამინისტრო „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ კანონს“ ეყრდნობა, თითქოსდა, იქ მითითებულია მუხლები, რომელთა თანახმადაც, აკრძალულია აბებისა და კაფსულების ცალობით გაყიდვა. სინამდვილეში, ასეთი ჩანაწერი ამ კანონში არ არის. კანონის მე-11 პრიმა მუხლი, წამლის რეგისტრაცია ეხება — თუ როგორ შეფუთვაში უნდა მოხდეს შემოტანის დროს ამა თუ იმ წამლის რეგისტრაცია. რეგულაციის ამოქმედების ინიციატორები ამტკიცებენ, რომ თითქოსდა წამალი, რომელიც ცალობით გაიყიდება, დიდი ალბათობით, ქიმიურად და ბაქტერიოლოგიურად დაბინძურდება და რეალიზაციის ვადა მნიშვნელოვნად შეუმცირდება. ეს არგუმენტები არასწორია, რადგან დღეს ჩვენს ქვეყანაში ყველა აფთიაქი ლიცენზირებულია. ლიცენზირებული აფთიაქები კი წამლის შენახვისა და რეალიზაციის პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს. ამ შემთხვევაში, აბები და კაფსულები ბაქტერიული და ქიმიური დაბინძურებისგან დაზღვეულია. მით უმეტეს, ეს არ არის სტერილური მედიკამენტები, რომლთაც განსაკუთრებული შენახვა სჭირდება. მეორე საკითხი ეხება ვადების შემცირებას. კი, ბატონო, როცა ფლაკონი იხსნება, მისი ვადა 2-3 თვით მცირდება, მაგრამ სწორედ ამიტომაცაა რეგულაციის სპეციალური სამსახური. სწორედ მან უნდა გააკონტროლოს ეს ყველაფერი.

წამლების ცალობით გაყიდვაზე აკრძალვის დაწესება უარყოფითი შედეგების მომტანია ჩვენი ქვეყნისთვის. ძალიან ბევრი სიდუხჭირეში ცხოვრობს და იმის ფუფუნება არ აქვს, წამლები ფლაკონებით იყიდოს. ადამიანები პენსიიდან პენსიამდე ცხოვრობენ. ხშირად, ექიმი ავადმყოფს 5 აბს უწერს, რომელიც 5 ლარი ჯდება, ფლაკონში კი 50 ცალია, რატომ უნდა გადაიხადოს 45 ლარით მეტი, ეს ხომ გადაყრილი ფულია?! მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია „ჯენერიკების“ გაყიდვის რეკომენდაციას იძლევა, ვინაიდან ის უფრო იაფი ჯდება. ჩვენთან კი პირიქითაა. შესაძლოა, ეს ყველაფერი სააფთიაქო კომპანიებს შორის კონკურენციითაა გამოწვეული, რაც დამღუპველია ჯანდაცვის სისტემისა და პაციენტებისთვის.

— ანუ, ამ რეგულაციის შემოღებით, იმ ფარმაცევტულ კომპანიებს ურტყამენ, ვინც „ჯენერიკების“ რეკლამირებას ეწევა?

— „ჯენერიკები“ ყველა აფთიაქში იყიდება. „ჯენერიკები“ მედიკამენტის საფირმო დასახელებაა. 5-6 წლის შემდეგ ნებისმიერ წამალს სახელი ეცვლება, ხოლო ქიმიური შემადგენლობა იგივეა. როდესაც ფირმას დიდი რაოდენობით შემოაქვს მედიკამენტი, უფრო იაფი უჯდება და იაფადაც ყიდის, ამდენად, ეს წამლები ცალობით რომ გაიყიდოს, უარყოფით შედეგს არ გამოიწვევს, თუ ლიცენზირების ელემენტარულ პირობებს დააკმაყოფილებს. მაინც მგონია, რომ ფარმაცევტულ კომპანიებს შორის არის ბიზნესინტერესები და ეს იწვევს ამ რეგულაციის შემოღებას. ბიზნესკომპანიებს შორის უნდა იყოს ჯანსაღი კონკურენცია და არა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება, რაც უარყოფითად იმოქმედებს ისედაც მძიმე მდგომარეობაში მყოფ ხალხზე.

რა შემთხვევაში გადადგება პრეზიდენტი სააკაშვილი 5 იანვარს



თამარ მელქაძე

რუსეთი საქართველოს ხელისუფლებასთან ორმხრივი მოლაპარაკებების დაწყებაზე თანხმობას აცხადება. კრემლის პოზიცია საგარეო საქმეთა მინისტრმა, სერგეი ლავროვმა მას შემდეგ გააჟღერა, რაც ზბიგნევ ბჟეზინსკისა და ჰილარი კლინტონის განცხადებები გაკეთდა. პრემიერის სპეციალური წარმომადგენლის, ზურაბ აბაშიძის თქმით, ხელისუფლება მზადაა დიალოგზე, ყოველგვარი წინაპირობის გარეშე და ამასვე ითხოვს რუსული მხარისგან. გრიგორი კარასინისა და ზურაბ აბაშიძის პირველი შეხვედრა, გავრცელებული ინფორმაციით, გაცნობითი ხასიათის იქნება და შვეიცარიაში გაიმართება. „ვერსიის“ მკითხველისთვის პოლიტიკურ პროცესებს პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე შეაფასებს:

— პრემიერ-მინისტრმა რუსეთში სპეციალური წარმომადგენელი რამდენიმე კვირის წინ დანიშნა, თუმცა რუსულმა მხარემ შეხვედრაზე თანხმობა მხოლოდ ახლახან განაცხადა.

— რუსეთის ხელისუფლებამ დადებითად შეაფასა ზურაბ აბაშიძის დანიშვნა, მაგრამ საინტერესოა არა ლავროვის თანხმობა დიალოგზე, არამედ ის, თუ რატომ იყო კარი აქამდე ჩაკეტილი. ერთი კვირით ადრე გაკეთდა საკმაოდ ცივი განცხადებები, იგივე ლავროვის მხრიდან და უეცრად, შეცვალა ტონი. რა მოხდა ამ პერიოდში, ძნელი სათქმელია. ალბათ, რუსულ სინამდვილეში დევს ამ ცვლილების გასაღები, თუმცა ამ პირველი ნაბიჯებით იმის თქმა, რომ საკითხები ნორმალური ტემპით წავა, შეუძლებელია. რუსეთი კი არა, აგერ, მეგობარი ნატო კარს გვიღებს რამდენი ხანია, მაგრამ შიგნით არ გვიშვებს. ანალოგიურად, შესაძლებელია, რუსეთმა მიიღოს მისიები, წარმომადგენლები, რეალური პროცესები კი დაამუხრუჭოს. ოკუპანტი ქვეყნის როლი რუსეთისთვის უფრო და უფრო დამამძიმებელი იქნება იმის პროპორციულად, რაც მეტად დაუახლოვდება დასავლეთს.

— ამ რეალობის გათვალისწინებით, რუსეთი წავა დეოკუპაციაზე თუ საქართველოსგან მოითხოვს არსებული რეალობის აღიარებას?

— რუსეთი არასოდეს წავა ისეთ ნაბიჯზე, რაც მის უკანდახევად აღიქმება. ერთადერთი, თეორიული გზა, ოკუპირებული ტერიტორიები საქართველოს იურისდიქციაში დაბრუნდეს, იქნება თანხმობა კონფედერაციული სახელმწიფოს მოწყობაზე. რამდენად შესაძლებელია ეს რეალურად, არ ვიცით.

— ამ ეტაპზე, ქართული მხარე არც კი განიხილავს ამ საკითხს.

— საზოგადოების დიდი ნაწილისთვის მიუღებელია კონფედერაცია, მაგრამ აქ დასაფიქრებელია, რა დევს სასწორის მეორე მხარეს. ყველანაირი შანსი არსებობს, ეს ტერიტორიები რუსეთის ნაწილად იქცეს და უნდა გადავწყვიტოთ, რა გვირჩევნია. გვაქვს კი, რუსეთთან დაპირისპირების შემთხვევაში, გამარჯვების შანსი?

— საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერა უშუალო კავშირშია, რა პოლიტიკას გაატარებს ახალი ხელისუფლება ქვეყნის შიგნით. პრემიერ-მინისტრი, როგორც ჩანს, საკუთარი გუნდით არცთუ კმაყოფილია, ამის დასტურია დაუგეგმავი შეხვედრა საპარლამენტო უმრავლესობასთან...

— ჩემთვის მისაღებია, რომ განსხვავებით სააკაშვილისგან, პრემიერმა თავისთან კი არ დაიბარა, იქით ეახლა უმრავლესობას, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი ამდენ ადამიანზე მაღლა არ აყენებს თავს. უმცირესობას სჩვევია, ყველაფერი უარყოფითად შეაფასოს, მაგრამ რამდენად აზრიანია, ამას არ უყურებს. შენიშვნების ტირაჟირება, არ იგრძნობა ლოგიკური სიმყარე, რაც მსმენელების ნდობას განაპირობებდა... თუნდაც, ის განცხადება უმცირესობის მხრიდან, რომ ივანიშვილს სურს ერთპარტიული პარლამენტის შექმნა, უბრალოდ, არადამაჯერებლად ჟღერს. მით უფრო „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლისგან.

— საქართველოს პრეზიდენტმა, პოლონეთში ვიზიტისას, პრემიერთან შეხვედრის მზადყოფნა გამოთქვა, თუმცა ივანიშვილი შეხვედრის აუცილებლობას ვერ ხედავს...

— ასეთი შეთავაზება, უცხოური მედიის გავლით, სასაცილოა. არის თუ არა ასეთი შეხვედრისა და კოჰაბიტაციის ასეთი რაუნდის აუცილებლობა? არ მესმის, ამ ეტაპზე, რა საკითხია მოსაგვარებელი, რომ პრემიერის დონეზე გაიმართოს შეხვედრა.

— შეიძლება, ეს იყოს თუნდაც, ელჩების გამოწვევის საკითხი...

— ნებისმიერი საკითხი კონკრეტული სფეროს წარმომადგენლებთანაა გადასაწყვეტი. უმჯობესია, ელჩების საკითხზე პრეზიდენტი შეხვდეს საგარეო საქმეთა მინისტრს. როგორც გენშტაბის უფროსის დანიშვნისას შეხვდა ირაკლი ალასანიას. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ფანჯიკიძეს მხოლოდ ფიქტიური თანამდებობა უკავია.

— პრეზიდენტი საერთაშორისო პარტნიორების დაკარგვის საფრთხეზე ალაპარაკდა. ქვეყანაში 200-ზე მეტი პოლიტპატიმარი და პოლიტდევნილია. რა გავლენას მოახდენს ეს ფაქტი პარტნიორ ქვეყნებსა თუ საერთაშორისო თანამეგობრობაზე?

— ქვეყანაში ამდენი პატიმარი არსებობდა, ხოლო გამამართლებელი განაჩენი მხოლოდ 0.02%-ია, რაც იმის მანიშნებელია, რომ გვქონდა ავტორიტარული მმართველობა. დასავლეთმა ყველაფერი კარგად იცის, ამას ხაზს ვერ გადაუსვამს და ამიტომაც შეარბილა ტონი. სავალდებულო, ფორმალური განცხადებები პოლიტიკურ დევნასთან დაკავშირებით, რეალობას არ ასახავს. დიტერ ბოდენმა, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნების კრიტიკული შეფასების გამო, ფაქტობრივად, პერსონა ნონ-გრატად გამოაცხადეს „ნაციონალებმა“, საერთაშორისო კულუარებში აღშფოთება გამოთქვა დასავლეთის მიერ სააკაშვილის რეჟიმის დაცვაზე და მისნაირი ადამიანები, მათ შორის ნატო-ს გენერალური მდივნის ახლო ნათესავი, მრავლად არიან დასავლეთში, ვინც კარგად იცის, რა ხდება.

— „ნაციონალური მოძრაობა“ ხშირად გვახსენებს 6-თვიან ვადას, რის შემდეგაც პროცესები შეიცვლება. რას უნდა ველოდეთ ამ პერიოდის გასვლის შემდეგ?

— ყველგან ისმის „ნაციონალების“ დაკვეთა, რომ 6 თვეში მოვლენ ხელისუფლებაში. რის საფუძველზე უნდა დაბრუნდეს სათავეში პარტია, რომლის რეიტინგიც მხოლოდ 13%-ია? საზოგადოებრივი აზრი ამ 6 თვეში, „ნაციონალების“ სასარგებლოდ, რადიკალურად მაინც არ შეიცვლება. არ არის გამორიცხული, „ოცნების“ რეიტინგი დაეცეს. შესაძლებელია, ეს პერიოდი რეალურად მარცხიანი აღმოჩნდეს, მაგრამ „ნაციონალების“ 9-წლიან შეცდომებს საქართველოს მოსახლეობა ასე იოლად არ დაივიწყებს. დარჩება მხოლოდ ძალადობრივი გზა, მაგრამ თუ ძალადობრივი პროცესები დაიწყო, ისინი, როგორც მოსახლეობის, ასევე დასავლეთის მხრიდან, დიდ წინააღმდეგობას წააწყდებიან.

— ხელმოწერები გროვდება პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით. მოსახლეობის ნაწილი მიიჩნევს, რომ მან პირველი პირის სავარძელი 5 იანვარს უნდა დატოვოს. ეს რეალურად მიგაჩნიათ?

— გადადგება მხოლოდ ერთ შემთხვევაში, თუ სააკაშვილი აღმოაჩენს, რომ ამ ნაბიჯის დასავლეთისთვის მიყიდვა შესაძლებელი იქნება, როგორც პოლიტიკური დევნა, ამიტომაც ამ ტიპის ზემოქმედება დაუშვებელია. რეალობა ყოველთვის არ არის პოლიტიკისთვის სწორი გზა. „ნაციონალების“ ხშირი აპელირება ტიმოშენკოსა და უკრაინის მაგალითით, უკვე მიუთითებს, რომ მათ პოლიტიკაში ჩადებულია ის მიმართულება, რომ დასავლეთს ტიმოშენკოდ მიჰყიდონ თავი. ნებისმიერ დაჭერას თუ შეიძლება მოეძებნოს სამართლებრივი საფუძველი, ამ ტიპის ზემოქმედება პრეზიდენტზე შეფასდება პოლიტიკურ ნაბიჯად დასავლეთის მხრიდან. არ ჩანს, რომ პრეზიდენტი რეალური მოწინააღმდეგეა არსებული ხელისუფლებისა, ამიტომ მიზანშეწონილად მიმაჩნია ივანიშვილის ვერსია, მოხდეს საკონსტიტუციო ცვლილებები ისე, რომ პრეზიდენტი ფორმალურ მმართველად დარჩეს.

ვერსიანიუსი

ბიძინა ივანიშვილი: „ჩინოვნიკებს აგარაკები ჩამოერთმევათ“

პრემიერ-მინისტრმა სოციალურად დაუცველებთან შეხვედრისას განაცხადა, რომ ყველა ჩინოვნიკს აგარაკი ჩამოერთმევა და დაწყებული მშენებლობები შეჩერდება.

„ყველანაირი აგარაკები, მშენებლობები და ყველანაირი პრივილეგიები, რაც ჩინოვნიკებს ჰქონდათ, ჩამოერთმევათ და ამას გამოვაქვეყნებთ. არავითარი აგარაკები და მშენებლობები, ყველაფერი გავაჩერეთ, ეს ყველაფერი თქვენსკენ წამოვა, მაგრამ საკმარისი მაინც არ იქნება, რომ ადამიანურად და ნორმალურად თქვენი ოჯახების რჩენა შეგეძლოთ“, — განაცხადა ივანიშვილმა.

„ვერსიანიუსი“

ადგილობრივ თვითმმართველობებში მიმდინარე პროცესებიდან ანარქიამდე ერთი ნაბიჯია!

მერაბ ბერიძე

ადგილობრივ თვითმმართველობებში ხმაურიანი პროცესები გრძელდება. საპროტესტო გამოსვლების ფონზე, „ნაციონალი“ გამგებლები და საკრებულოს თავმჯდომარეები თანამდებობებს რიგ-რიგობით ტოვებენ. საპარლამენტო ოპოზიცია ხელისუფლებას „მიზანმიმართულ პოლიტიკურ დევნაში“ ადანაშაულებს, რასაც კოალიცია „ქართული ოცნება“ კატეგორიულად უარყოფს.

თავდაპირველად, მოკლედ იმ პერიპეტიებზე, რაც ბოლო დღეებში, ადგილობრივ ხელისუფლებაში მიმდინარეობს. საზოგადოებრივი მოძრაობის წარმომადგენლები ზუგდიდის გამგებლის, ალექსანდრე ქობალიას და საკრებულოს თავმჯდომარე ლევან კონჯარიას გადადგომას ითხოვენ. ხოლო წალენჯიხის გამგებელმა, მამუკა ქარდავამ გამოცხადდება კონკურსი თუ პირდაპირი წესით დაინიშნება გამგებელი. ამ თანამდებობაზე მოჭიდავე დავით ქევხიშვილის კანდიდატურა მოიაზრება, რომელიც 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი იყო.

ლაგოდეხის გამგებლის თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში 106 კანდიდატი მიიღებს მონაწილეობას. კონკურსი მას შემდეგ დაინიშნა, რაც ყოფილმა გამგებელმა, დიმიტრი ლოლაძემ საკრებულოს თანამდებობიდან გათავისუფლების თხოვნით მიმართა. გურჯაანში საკრებულოს სხდომა ხმაურიანი იყო. პროტესტი თავმჯდომარის თანამდებობაზე ფრაქცია „ქართული ოცნება – რესპუბლიკელების“ წევრის, ავთანდილ ზარდიაშვილის კანდიდატურამ გამოიწვია, მაგრამ საბოლოოდ საქმე სწორედ მის სასარგებლოდ გადაწყდა.

კოალიცია „ქართული ოცნების“ აქტივისტები მარნეულის მუნიციპალიტეტის თანამშრომლებს ფიზიკურად გაუსწორდნენ. დაშავდა თავად გამგებელი, რომელიც დანარჩენ 5 თანამშრომელთან ერთად, სასწრაფო დახმარების ბრიგადამ ადგილობრივ საავადმყოფოში მოათავსა. როგორც ჟურნალისტებს ერთ-ერთმა დაზარალებულმა განუცხადა, შეხლა-შემოხლა მას შემდეგ დაიწყო, რაც კოალიციის აქტივისტებმა გამგეობის შენობის პიკეტირება სცადეს და თვითმმართველობის ორგანოში შეიჭრნენ. „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ ისინი გამარჯვებულ პარტიას წარმოადგენდნენ და თანამშრომლებს გამგეობის შენობის დატოვებას სთხოვდნენ. ვითარების განმუხტვა ადგილზე გამოძახებულმა საპატრულო პოლიციამ შეძლო.

ნალკის მუნიციპალიტეტის გამგებელი მიხეილ ცქიტიშვილი თანამდებობიდან გადადგა და აღნიშნა, რომ გადაწყვეტილება ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილის მიერ გამართული საპროტესტო აქციების გამო მიიღო. მისივე თქმით, ბოლო პერიოდში სისტემატური ზეწოლის ქვეშ უწევდა მუშაობა, რადგან ორი კვირის განმავლობაში, ნალკის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობასთან საპროტესტო აქციებს მართავდნენ ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილი და კოალიცია „ქართული ოცნების“ აქტივისტები. ბოლო ინფორმაციით, ნალკის გამგეობაში ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა შემოწმება დაიწყო.

ამ ფონზე, პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი თვითმმართველობებში მიმდინარე პროცესების შეფასებისას აცხადებს, რომ ის პროცესები, რაც გამგეობებში მიმდინარეობს, ნორმალურია მიუხედავად იმისა, რომ ზოგან შეიძლება აჟიოტაჟი მოხდეს. პრემიერის თქმით, მან მოუწოდა საკუთარი გუნდის წევრებს, რომ ძალა და კანონსაწინააღმდეგო ქმედება არც ერთ შემთხვევაში არ იყოს გამოყენებული:

> **„არავინ უნდა გათამამდეს იმის გამო, რომ დღეს უმრავლესობაში ვართ. თვითონ პროცესი, რომ ცვლილებები ადგილობრივ დონეზე ხდება, ნორმალურია“.**

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა კი ადგილობრივი თვითმმართველობის წევრების დაკავებისა და დაკითხვის ფაქტებს აპროტესტებს.

დასასრული მე-12 გვერდზე

„მოგეცი, თუ არ გინდა, ძალით ნაგართვა“...

ხელისუფლების შეცვლის მიუხედავად, გარემოვაჭრეები კვლავ ზედამხედველთა ტერორის ქვეშ იმყოფებიან. ამ დღეებში ისინი კვლავ დაარბიეს, დააჯარიმეს და საქონელი წაართვეს. წინასაახალწლო დღეებში თვითორგანიზებული ყიდვა-გაყიდვის აკრძალვა, ბევრ გაუგებრობას იწვევს. პარტია „თავისუფალი საქართველო“ და „გარე ვაჭრობის ლიგა“ მთავრობას პრობლემის ცივილური გადაწყვეტისკენ მოუწოდებს. ამისთვის სახელმწიფო კანცელარიას სპეციალური განცხადებითაც მიმართეს და ადეკვატურ რეაქციას ელოდებიან.

„მოგმართავთ თხოვნით, ადამიანებს 15 იანვრამდე გარევაჭრობის ნებართვა მისცეთ. რათა ელემენტარული, პურის ფულის შოვნა შეძლონ და აღებული სესხები დროულად გაისტუმრონ. დავეხმაროთ მშრომელ ადამიანებს, რომლებიც საკუთარი ოჯახის წევრების ფიზიკური გადარჩენისთვის იბრძვიან. კორუმპირებული მერი გიგი უგულავა კი, ბაზრის მოვაჭრეების და გარე მოვაჭრეების დაპირისპირებას ცდილობს“.

„თავისუფალი საქართველოს“ გენერალური მდივნის, ალეკო შალამბერიძის განცხადებით, გარემოვაჭრეებს არსებობის ელემენტარული წყარო წართმეული აქვთ. მისივე თქმით, ეს საკითხი, ერთხელ და სამუდამოდ, უნდა მოწესრიგდეს. შალამბერიძის თქმით, ხელისუფლების ცვლილების პირობებში, ყველაფერი ერთბაშად არ მოხდება; მაგრამ რისი გაკეთების საშუალებაც არის, უმალვე უნდა განხორციელდეს: „იმედი მაქვს, ამ ადამიანებს აღარ დაარბევენ მაინც, რასაც „ნაციონალები“ სჩადიოდნენ. ბაზრებში არსებული მდგომარეობა გასარკვევია, ასევე, სად მიდის აკრეფილი გადასახადები. ყველა გარე მოვაჭრეს, პროფესიული ნიშნით ერთობის საშუალება უნდა ჰქონდეს. საკითხები უნდა დადგეს მერიაში, მთავრობაში, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებში. ქვეყანაში ხიდების, გზების, სასტუმროებისა და გასართობი ცენტრების მშენებლობა მისასალმებელია, მაგრამ ყოველივე ადამიანებსა და მათ საჭიროებებს უნდა ემსახურებოდეს“.

„გარემოვაჭრეთა ლიგის“ წარმომადგენელ ჯემალ გაგნიძეს ყიდვა-გაყიდვა ნავთლუღის ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე აუკრძალეს: „უკიდურესად მძიმე სოციალურ პირობებში ვიმყოფებით. დღეს ნებისმიერ ადგილზე გარევაჭრობა შეუძლებელია. საპატრულო პოლიცია კანონს იცავს. ოქმები იწერება და ნებისმიერ მოვაჭრეს საქონელს ართმევენ. ბაზარში ვერ შევალთ, რადგან ათასობით ლარი არ გვაქვს ვაჭრობის დასაწყებად. თანაც, იქ ისეთი ადგილებია დარჩენილი, კაციშვილი არ შემოდის და ჩეკისა და შენახვის ფულსაც კი ვერ ვიხდით. დილით საბითუმოდან აღებული რამდენიმე ყუთით თავს ვირჩენთ და ამის უფლებასაც ნუ წაგვართმევენ“.

მაია ცარციძე ბოლო დარბევამდე, მეტრო „სამგორის“ მიმდებარე ტერიტორიაზე ლიმონსა და ბანანს ყიდდა: „საქონელი ცოტა მქონდა დარჩენილი და „მეჩეკემ“ ლარი არაფრით დამიკლო. იძულებული გავხდი, ქუჩაში გამოვსულიყავი. გარეთ კუდში დაგვდევენ და არსად გვაყენებენ. სახლში პურის ფულიც ვეღარ მიგვაქვს. დაჯარიმებით არ დაუჯარიმებივარ, მაგრამ მერიის ზედამხედველობის თანამშრომლებმა პროდუქტი წამართვეს. ჩაყარეს მანქანაში და წაიღეს ისე, რომ საბუთიც არ მოუციათ“.

ეთერ ჩოგანაიძეს, საბანკო დავალიანების გამო, ბინა წაართვეს და ქუჩაში აღმოჩნდა. ამბობს, რომ ბაზარში შევიდოდა, სავაჭროდ სამასი-ოთხასი ლარი მაინც რომ ჰქონოდა: „ბავშვები ცის ქვეშ მყავს დატოვებული. ავადმყოფი ქალი გარეთ იმისთვის ვარ გამოსული, რომ საახალწლოდ საჭმელი ჰქონდეთ. საბითუმოდან დილით ორი ყუთი ბანანი გამომქონდა. საპატრულო პოლიციას ჩემთვის ჯარიმა არ დაუწერია, მაგრამ გვერდით მდგომი დააჯარიმეს ოცი ლარით და საქონელიც წაართვეს. თავიდან ბაზარში ვმუშაობდი. ცუდად ვიყავი, რვა დღე გავაცდინე და ამის გამო 88 ლარი გადამახდევინეს. ადგილზე ხარ თუ არა, შენი ანგარიში მიმდინარეობსო, მითხრეს. უსახლკაროს, ახლა, შიმშილისთვისაც მწირავენ. ბაზარში 11 ლარი, ყოველდღიური გადასახადია. ტაქსით შესვლას 7 ლარი სჭირდება. მანქანა ათჯერ რომ შეიყვანო, ამდენჯერვე ლარიანი, „მეტაჩკეს“ კიდევ ცალკე ფული უნდა. ამდენი თანხა საიდან უნდა ვიშოვოთ?“

ინგა ბერიძე ბაზარში ადგილის გარეშე ოთხი წლის წინ დარჩა, როდესაც სავაჭრო ცენტრ „ქარვასლა 2003“-დან გამოუშვეს და პროტესტის ნიშნად, ამავე შენობის წინ დასხდნენ: „ასე შემოვრჩით ამ ადგილს. ახლო ტერიტორიაზე სხვა ბაზარი არ არის; არადა, მიგვითითებენ, ბაზარში შედითო. ვცადეთ მეორე ბაზარში შესვლა, მაგრამ ქუჩაში უფრო გაჩერდები, ვიდრე იმ ბუნაგში, სადაც ელემენტარული სანიტარული პირობები არ არის. ექვსსულიან ოჯახში ერთი პენსიონერი მყავს, მამა ავადმყოფია, მეუღლე და ორი შვილი — დაუსაქმებლები. მითხარით, რა გავაკეთო? ოჯახში ერთადერთი ადამიანი ვარ, ვინც გარევაჭრობით ორ კაპიკს ვშოულობდი. მთავრობამ, კეთილი ინებოს და, ეს საკითხი მოაგვაროს. გარევაჭრობა კი არ უნდა აიკრძალოს, უნდა მოწესრიგდეს“.

59 წლის **ნონა ხუციშვილიც** უმაღლესი განათლებითაა, მაგრამ, მისი თქმით, საქართველოში 40 წელს ზემოთ არავის სჭირდები: „დღე და ღამე კი არ უნდა დაგვდევდნენ, ჯერ უნდა გაერკვნენ, საიდან გაჩნდა ამდენი გარემოვაჭრე. დედოფლისწყაროდან ვარ ჩამოსული, სადაც ყველაფერი განადგურებულია. არც ტექნიკა გვაქვს და არც სხვა რაიმე. ხუთი ჰექტარი ვენახი გვქონდა. ყველაფერი რომ მოიშალა, მათხოვრებად ვიქეცით. ხომ შეიძლება, დაგვასაქმონ და გარეთ ქუჩაში გამოკიდებულნი არ ვიყოთ?“ ქალბატონი ნონაც ადრე „ქარვასლას“ მოვაჭრე იყო, სანამ ბაზარი არ დაანგრიეს და მის ადგილზე გასართობი ცენტრი „მაქსბეტი“ არ გახსნეს: „150 ადამიანი იქიდან გამოგვყარეს. მიმდებარე ტერიტორიიდანაც აგვყარეს და სხვა ბაზარში შეგვიყვანეს. ასოცი ლარით შევედი და ოცდაათი რომ დამრჩა, იძულებული გავხდი, გარეთ გამოვსულიყავი. სამი უმუშევარი შვილი მყავს; თვითონ ჯანმრთელობა შერყეული მაქვს, სიმსივნური დაავადებით ვარ ავად. წამლის ფულის შოვნის საშუალება მაინც ხომ უნდა მქონდეს? აგერ, გამოკვლევებიც თან მაქვს. თვენახევრის წინ ჯანდაცვის პოლისებიც გაგვიუქმეს. ანალიზების ფულს მახდევინებენ, როცა ექიმის ფულიც არ მაქვს. დღესაც, ერთი თვის შემდეგ გამოკვლევაზე ვარ წასასვლელი, ვერ მივდივარ. ექიმს მათხოვრად ხომ ვერ გამოვეცხადები? ძირითადად, მწვანილზე ვვაჭრობ, ისიც რომ წამართვან, რა ვქნა? ცოტა ხანს მაინც ნება დაგვრთონ, რომ წამლების ფული გავაკეთო. საახალწლო სუფრაზე უკვე აღარაფერს ვამბობ. მორწმუნე ვარ და იმედი მაქვს, რომ ეს ხელისუფლება მაინც მოგვხედავს. გაითავისონ ის ტკივილი, რაც სოციალურად დაუცველებს გვაქვს. მოაწესრიგონ ეს სფერო. მოგვცენ ლიცენზია; დილით მივალ, საღამოს ამ ადგილს თვითონვე დავასუფთავებ. ბაზარში ხუთასი ლარის საქონლის შეტანის საშუალება არ მაქვს. ოცი ლარით კი ვერაფერს გააკეთებ. მოგვხედონ, მომავლის იმედს ნუ წაგვართმევენ".

აი, ასეთია რეალობა, რომელიც თბილისსა თუ სხვა დიდ ქალაქებში ფეხის ყოველ ნაბიჯზე გვხვდება. კონფლიქტი სახეზეა — დედაქალაქის მერია გარევაჭრობის ნებართვის გაცემას არ აპირებს, ხოლო ქუჩაში დარჩენილ ადამიანებს, ბაზრებში დაწესებული გადასახადების გადახდა არ შეუძლიათ. წინა ხელისუფლება ამ პრობლემის გადასაწყვეტად დარბევებსა და აქტივისტთა დაკავებებს ახორციელებდა. თუმცა ქვეყანაში გამეფებული მასობრივი უმუშევრობის ფონზე, ასეთი ქმედებები სასურველ შედეგს ვერ მოიტანდა და არც მოუტანია. ადამიანები კვლავ გარეთ არიან და ფიზიკური არსებობისთვის იბრძვიან. გარემოვაჭრეების ბოლო მოთხოვნები, რეალობის ადეკვატურია. ისინი ნებართვას, პირველ რიგში, 15 იანვრამდე, საახალწლო დღეებში მოითხოვენ; ამის შემდგომ პრობლემის შესწავლასა და ადეკვატური გადაწყვეტილებების მიღებას ელიან. შეუძლებელია, ბედნიერი ახალი წელი გაგითენდეს მაშინ, როცა გვერდით, შენივე თანამოქალაქეს შია და იყინება. ახალ რეალობაში, შექმნილი მდგომარეობიდან ადამიანური გამოსავალი აუცილებლად უნდა მოიძებნოს. ბურთი ახალი მთავრობის მოედანზეა.

მერაბ ბერიძე

„საზოგადოებრივი მაუწყებლიდან“ 600 თანამშრომელი გათავისუფლდება

2013 წლის იანვარში „საზოგადოებრივ მაუწყებელში“ საშტატო ერთეული შემცირდება, ცვლილებები თანამშრომელთა ხელფასებსაც შეეხება. „თაიმერის“ ინფორმაციით, უკვე გადაწყვეტილია, რომ იანვარში საზოგადოებრივი მაუწყებლიდან 600 თანამშრომელი გაათავისუფლონ, ხოლო დარჩენილ კადრებს ხელფასი 10-20 პროცენტით შეუმცირონ.

კულუარული ინფორმაციით, მაუწყებლის ხელმძღვანელობის ეს გადაწყვეტილება უწყებაში აუდიტის სამსახურის შესვლასა და დარიცხულ დავალიანებას უკავშირდება. „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ხელმძღვანელის, გია ჭანტურიას, განცხადებით, მომავალი წლიდან უწყებიდან თანამშრომელთა გარკვეული ნაწილი გათავისუფლდება, თუმცა, მათი რაოდენობა 600 ნამდვილად არ იქნება, მაგრამ გასათავისუფლებელ თანამშრომელთა რაოდენობას ამ ეტაპზე არ ის ახმაურებს.

„რა თქმა უნდა, გარკვეული ოპტიმიზაცია დაგეგმილია, მაგრამ 600 კაცი ნამეტანი დიდი ციფრია. ზუსტ ციფრს ვერ გეტყვით, მაგრამ ახალი წლის დასაწყისში გარკვეული რაოდენობის თანამშრომელთა შემცირება მოხდება. რაც შეეხება იმას, რომ ჩვენი ბიუჯეტი მომავალი წლიდან უფრო მწირი იქნება, ეს პირველ რიგში, სხვა ხარჯებზე აისახება, კადრების ოპტიმიზაცია კი ნებისმიერ შემთხვევაში განხორციელდებოდა“, — განაცხადა გია ჭანტურიამ.

მისივე თქმით, შედარებით მწირი ბიუჯეტის მიუხედავად, მომავალი წლიდან თანამშრომლებს ხელფასები არ შეუმცირდებათ და, საჭიროების შემთხვევაში, ანაზღაურების კლება შესაძლოა, მხოლოდ ხელმძღვანელი პირების ხელფასზე აისახოს.

„ხელფასის შემცირება გამორიცხულია, თუ რამოდენიმე პიროვნება პოზიციას შეიცვლის, მხოლოდ მაგ შემთხვევაშია შესაძლებელი, ისე, პირიქით, რაღაც პოზიციებზე ხელფასის მატებაც მოხდება. თუ ვინმეს ანაზღაურება შეუმცირდება, ეს, საჭიროების შემთხვევაში, მე და ჩემი მოადგილეები ვიქნებით“, — დასძინა ჭანტურიამ.

„ვერსიანიუსი“

ადგილობრივ თვითმმართველობებში მიმდინარე პროცესებიდან ანარქიამდე ერთი ნაბიჯია!

მე-11 გვერდიდან

როგორც პარლამენტარი სერგო რატიანი აცხადებს, აღნიშნული ფართომასშტაბიანი პროცესი პრემიერ-მინისტრის განცხადებებმა წაახალისა: **„ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური განცხადებების ფონზე, დღესაც მიმდინარეობს თვითმმართველობის ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრების დაპატიმრება, დაკითხვა და სასამართლო პროცესები. ეს პროცესები მიმდინარეობს ქუთაში, ჭიათურაში, ვანსა და თბილისში. ეს არის კონსტიტუციური მოწყობის დანგრევაზე მიმართული პროცესი. ბიძინა ივანიშვილს განზრახული აქვს ერთიანი, უკონტროლო სივრცის შექმნა და სისტემის ჩამოყალიბება საქართველოში“.**

საპარლამენტო უმცირესობის წევრი, ჩიორა თაქთაქიშვილი „ქართულ ოცნებას“ ადგილობრივ თვითმმართველობებზე „ზეწოლისთვის“ აკრიტიკებს. როგორც დეპუტატმა განაცხადა, საჯარო მოხელეებისა და თვითმმართველობების წარმომადგენლების დაშინება იმის მაჩვენებელია, რომ ქვეყანა მიდის უფსკრულისკენ, სადაც ადამიანის უფლებები და კანონი არ არსებობს:

> **„გადაყენებულია 13 საკრებულოს თავმჯდომარე, ხუთი გამგებელი, ერთი საკრებულოს თავმჯდომარისა და ერთი გამგებლის წინააღმდეგ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, ბევრ სხვას ემუქრება ჯალათი, ვინმე გიგა ახვლედიანი, რომელიც გამოყენებულია ადგილობრივი თვითმმართველობების დაშინების მიზნით. იგი, ხადურის მრავალი რაზმიდან, ფინანსური პოლიციის იმ რაზმის ხელმძღვანელია, რომელიც თანამდებობაზე დაშინების მიზნით დაინიშნა. მიმდინარეობს ფინანსური რევიზია და საქმეების შეთითხნა, თითქოს იყო დარღვევები. ამგვარ ქმედებებს დემოკრატიულ განვითარებასთან საერთო არაფერი აქვს. არჩევნები არ შეხებია ადგილობრივ თვითმმართველობას და თქვენ, როგორც პარლამენტის თავმჯდომარეს, მოგიწოდებთ, აიღოთ პასუხისმგებლობა იმ უკანონო ქმედებებზე, რაც განახორციელეს „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა – იგულისხმება ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის მუშაობის უფლების მოსპობა. თქვენ ხართ ერთ-ერთი გარანტი, რომ კანონი იყოს დაცული და ვადაზე ადრე არ შეუწყდეთ მანდატები არჩეულ თანამდებობის პირებს“.**

მისივე თქმით, მეორე პრობლემაა „უპრეცედენტო და მასობრივი დათხოვნები საჯარო სამსახურებიდან“: **„მახსოვს თქვენი კრიტიკა, როდესაც საჯარო სამსახურში იცვლებოდა პირები და ეს იყო თქვენთვის მიუღებელი. დღეს ეს ყველაფერი მისაღები გახდა?! მისაღებია ის, რომ 80 ადამიანი გაათავისუფლეს კანცელარიიდან, დაითხოვეს პოლიციის ყველა უბნის ინსპექტორი და განყოფილების უფროსი და თუ ეს ისევ მიუღებელია, მიიღეთ კონკრეტული ზომები, რომ შეწყდეს საჯარო მოხელეებისთვის განცხადებების დაწერინება და დაშინება მარტო იმიტომ, რომ დღეს ხელისუფლებაში „ქართული ოცნება“ მოვიდა“.**

დეპუტატ ირმა ნადირაშვილის შეფასებით, **„ის, რაც ხდება საქართველოში, არის „ქართული ოცნების“ მხრიდან სისტემური პოლიტიკური შეტევა „ნაციონალურ მოძრაობაზე“.** მისივე თქმით, ამ შეტევას აქვს თავისი მიმართულებები და უპირველეს ყოვლისა, ეს ადგილობრივ თვითმმართველობებს ეხება: **„თავად პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა გვითხრა, რომ ჩვენი რიტორიკის პირდაპირპროპორციული იქნება რიგები პროკურატურასთან. ამიტომ, ნება მომეცით, ჩავთვალო, რომ ეს არის პოლიტიკური ანგარიშსწორება“.**

თავის მხრივ, პოლონეთის სენატის მარშლის, ბოგდან ბორუსევიჩის განცხადებით, „საქართველოს ახალი მთავრობის მამოძრავებელი შურისძიება არ უნდა იყოს“: **„საქართველო არის დემოკრატიული სახელმწიფო და ეს ქვეყანაში გამართულმა ბოლო არჩევნებმაც დაადასტურა. საქართველო არის ქვეყანა, რომელშიც დაცულია კანონის უზენაესობა. არჩევნების შედეგად მოსულ მთავრობას უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრება. ამიერიდან, ისინი იქნებიან პასუხისმგებელნი იმაზე, თუ როგორ აღიქვამენ საქართველოს იმიჯს ევროპაში. გამარჯვებულმა ძალამ კანონის შესაბამისად უნდა იმოქმედოს. შურისძიება არ უნდა გახდეს მისი მამოძრავებელი, მით უმეტეს, იმ ძალის მიმართ, რომელმაც არჩევნებში დამარცხება აღიარა“.**

„ვერსიასთან“ საუბრისას **პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე** ადგილობრივ თვითმმართველობებში მიმდინარე პროცესებს „ანტიდემოკრატიულს და ანტიკონსტიტუციურს“ უწოდებს და ხელისუფლებას ამაზე დროულ რეაგირებას სთხოვს:

— სხვაგვარი შეფასება აქ შეუძლებელია. არ გამოვრიცხავ, რომ ყოფილი ხელმძღვანელობით მოსახლეობის უკმაყოფილება ადგილობრივ დონეზეც სამართლიანია, მაგრამ ნებისმიერი არჩეული თანამდებობის პირის შეცვლა, თუ მას სისხლის სამართლის დანაშაული ჩადენილი არ აქვს, შეიძლება მოხდეს მხოლოდ არჩევნების გზით. ეს ნებისმიერ საზოგადოებაში, დემოკრატიის მიმართულებით პირველი და აუცილებელი ნაბიჯია. თუ ამ გამგებლებს, საკრებულოს წევრებს ჩადენილი აქვთ დანაშაული, თანაც კოლექტიური, მათი დასჯა ლინჩის წესით კი არ უნდა მოხდეს, ამით სამართალდამცავი ორგანოები უნდა დაკავდნენ. შენ ცუდი გამგებელი იყავი, წადი და მე უნდა მოვიდეო — ეს დემოკრატია აღარ არის. აქედან მხოლოდ ერთი ნაბიჯია ანარქიამდე. მარტივი მათემატიკური ფორმულაა და შეფასებებიც ცალსახა — თანამდებობის პირების შეცვლა, მხოლოდ და მხოლოდ, კანონიერი გზით უნდა განხორციელდეს. რეალურად კი, მიუღებელ პროცესთან გვაქვს საქმე.

გასაგებია, რომ „ქართულ ოცნებას“ არ მოსწონდა „ნაციონალური“ ხელისუფლება. როგორც შემდგომ არჩევნებით დამტკიცდა, სამართლიანადაც, მაგრამ პოლიტიკაში მოსვლის დღიდან, ბატონი ივანიშვილი სულ იმეორებდა, ცვლილებები მხოლოდ არჩევნების გზით უნდა მოხდესო. მას ერთხელაც არ გადაუდგამს რაიმე არაკონსტიტუციური ნაბიჯი. ახლა კი, გაოცებას იწვევს, ზოგიერთი უმრავლესობის წევრი პარლამენტარის განცხადება, პროტესტის გამოთქმის უფლება ყველას აქვს და ამიტომ ისინი უნდა წავიდნენ და სხვები მოვიდნენო.

პროტესტს ბიძინა ივანიშვილიც აწყობდა, მაგრამ მისი მომხრეები არც ერთ სახელმწიფო დაწესებულებაში არ შევარდნილან, არც მთავრობის კაბინეტები დაუკავებიათ ძალადობით და არც მინისტრების სკამები გადმოუყრიათ ფანჯრებიდან. ისინი ხელისუფლებაში არჩევნების გზით, დამსახურებულად მოვიდნენ და თუ უმაღლეს ხელისუფლებაში მოსვლის ერთადერთი გზა კენჭისყრაა, დაბალ დონეზე ასეთი მრავალფეროვანი გზა ხელისუფლებაში მოსვლისთვის რატომ უნდა იყოს? ამ კითხვას პასუხი სჭირდება.

— „ნაციონალებმა“ „ქართულ ოცნებას“ მოუწოდეს, პასუხისმგებლობა აიღოს რეგიონებში განხორციელებულ „ზეწოლაზე“; თქვენ თუ ხედავთ ასეთი ღონისძიებების უკან საპარლამენტო უმრავლესობის როლს?

— რაიონებში ნაკლებად დავდივარ, მაგრამ ტელევიზორში, ერთ-ერთი გურული მომიტინგის საინტერესო არგუმენტი მოვისმინე. ზრდასრული ადამიანი ამბობდა — „ქართული ოცნების“ ინტერესებისთვის წვიმასა და სიცივეში ვიდექი, ჩემი სიცოცხლით ვრისკავდი, ახლა კიდევ ქუჩაში უნდა ვიდგე და ესენი კაბინეტებში უნდა იყვნენ? ახლა ჩემი რიგი მოვიდა და კაბინეტში მეც უნდა შევიდეო. მას ცოცხალი თავით არ უნდა, ერთი წელი ელოდოს არჩევნებს. ასეთ ვითარებაში, როდესაც ტელევიზიები აჩვენებენ შევარდნებს, საჩხუბრად გაწევებს, სკამების გადმოყრას, ამაზე დროული რეაგირებაა საჭირო. „ქართული ოცნების“ ზოგიერთი დეპუტატი კი გამოდის და ამბობს, ხალხი უბრალოდ, პროტესტს აცხადებსო; ეს, ცოტა არ იყოს, არაკორექტულია, მეტი რომ არ ვთქვათ. კანონით დაშვებული პროტესტის ფორმაა მიტინგი, თუნდაც შიმშილობა. როგორც ჩანს, ამათთვის პროტესტის ასევე კანონიერი ფორმაა შევარდნა, როდესაც ხალხი ბრბოს ემსგავსება. ნამდვილად არ მგონია, იმავე ჩვენს დასავლელ მეგობრებს ეს მოეწონოთ. აღნიშნული სცენები ხომ მთელ მსოფლიოში ელვის სისწრაფით ვრცელდება.

— იმოქმედებს თუ არა ასეთი პროცესები დასავლეთის დამოკიდებულებაზე ახალი ხელისუფლების მიმართ?

— ასეთი პროცესები, არცერთ ხელისუფლებას ღირსებას არ მატებს. წარმოიდგინეთ, ევროპის რომელიმე ქვეყნის, შტატების ადგილობრივ თვითმმართველობაში ასეთი პროცესები მიმდინარეობდეს. ადგილობრივი ხელისუფლება კი დემოკრატიული მმართველობის ფუნდამენტია. ნორმალური საზოგადოების მშენებლობა აქედან უნდა დაიწყოს და არა სახურავიდან. ჩემი აზრით, ეს უკანონობა უნდა შეწყდეს. ელემენტარულად, ამ ხალხს უნდა აუხსნას მან, ვისიც მათ სჯერათ. არჩევნების გზა ის პრინციპია, რომლითაც ხელისუფლებაში მოვიდა „ქართული ოცნება“. თუ ეს პრინციპი მუშაობს უმაღლეს დონეზე, დაბალ რგოლშიც უნდა იმუშაოს. აქ მესამე ვარიანტი გამორიცხულია.

ვერსიანიუსი

მედიკამენტების საცალო შეძენაზე პრობლემების შექმნის შემთხვევაში, მოქალაქეები ჯანდაცვის სამინისტროს ცხელ ხაზს უნდა დაუკავშირდნენ

შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს განცხადებით, იმ მოქალაქეებს, რომლებსაც მედიკამენტების საცალო შეძენაზე პრობლემები შეექმნებათ, შეუძლიათ, ჯანდაცვის სამინისტროს ცხელ ხაზს დაუკავშირდნენ. ამის შესახებ ჯანდაცვის სამინისტროს მიერ მედიკამენტების საცალო გაყიდვის შესახებ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი.

„შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო განმარტავს სააფთიაქო ქსელებში ბოლო ხანებში მედიკამენტების საცალო გაყიდვის შეფერხების არსს: არანაირი სახის ახალი რეგულაცია არ ყოფილა დაწესებული. ძალაშია მხოლოდ მოქმედი ნორმატივები, რომლის მიხედვითაც, საცალო გაყიდვაზე არ ვრცელდება არანაირი სახის შეზღუდვა მაშინ, როდესაც მედიკამენტი მოთავსებულია ფირფიტაში, ბლისტერში ან სხვა სახის კომპაქტურ დაფასოებაში. რაც შეეხება დიდი მოცულობის შეფუთვიდან აბების ან კაფსულების გადანაწილებას პოლიეთილენის პაკეტებში, შეზღუდვა ან რაიმე სახის აკრძალვა არც აქ ყოფილა დაწესებული. განსხვავება ის არის, რომ ამ სახის გადაფასოება (განსხვავებით ზემოთ აღწერილი განცალკევებისგან) მოითხოვს გარკვეული მარტივი პირობების დაცვას. ამ პირობების დაცვის შემთხვევაში, საცალო გაცემა შეუფერხებლად გახდება შესაძლებელი.

იმ მოქალაქეებს, რომლებსაც პრობლემები შეექმნებათ მედიკამენტების საცალო შეძენაზე, შეუძლიათ დაუკავშირდნენ ჯანდაცვის სამინისტროს ცხელ ხაზს ტელეფონზე: 15 05“, — ნათქვამია განცხადებაში.

„პირველი“

ერთი ლეგენდის თანახმად, ახმეტის დაარსება თამარ მეფესთან არის დაკავშირებული. მას ძალიან მოსწონებია წყლითა და ნოყიერი მიწებით მდიდარი კახეთის ეს კუთხე და უნატრია — ახ, ნეტავ, აქ ზვარი და ხეხილი გაშენდესო. აკი ვახუშტი ბატონიშვილიც გვეუბნება: „ახმეტის ღვინო კეთილი“.
იშვიათია ქალაქი, დაბა თუ სოფელი, სადაც იმდენი ისტორიული ძეგლი იყოს, რამდენიც ახმეტაშია. აქ 24 მარტო დიდი და მცირე ეკლესიაა, ცეხე-დარბაზებზე, კოშკებსა და მარნებზე აღარას ვამბობ. ძველად ეს დაბა კვეტერის ერისთავს ეკუთვნოდა, მოგვიანებით კი ჩოლოყაშვილებს.

ჟალურის „ღვთაების“ საერთო ხედი

გელა ქოქიაშვილი

ქვათა მატიანე

მამა ანტონი ჟალურში

ახმეტა

VI საუკუნის შუა ხანებში, სანამ აკრიანში (მარტყოფში) დამკვიდრდებოდა საბოლოოდ ღირსი ასურელი მამა ანტონი, იგი, იყალთოს, არტოზნისა და ლოპოტას პარალელურად, სწორედ ახმეტის მიდამოებში მოღვაწეობდა.

ახმეტაში ყოფნისას მამა ანტონის დროინდელი (და სავარაუდოდ, მის მიერ აშენებული) ტაძრის ნახვა ბოლოსთვის შემოვინახეთ, მანამდე კი სხვა უმთავრესი საყდრები შემოვიარეთ. ჩვენმა მეგზურმა, რაიონის ძეგლთა დაცვის მთავარმა სპეციალისტმა ელდარ ჭიჭიაშვილმა თავდაპირველად **უტოს** უბანში წაგვიყვანა.

დღევანდელ ქალაქში ოთხი ძველი უბანია: **საბერო, სათიანო, უტო და ჟალური.**

ტოპონიმი უტო უტოსხევიდან (ამჟამინდელი ილტოს ხეობა) ჩამოსულ ოჯახებს მოუტანიათ. ამ უბნის თავზე, ძველი სასაფლაოს მახლობლად ორი ეკლესია დგას გვერდიგვერდ. ერთი ეკლესია XVII-XVIII საუკუნეებისაა და ვისი სახელობისაა, უცნობია. მას წინ უდგას IX-X საუკუნეების სამების დარბაზული საყდარი, რომელზეც შირიმის თლილი კვადრებით ნაგები XIV საუკუნის ეგვტერია მიშენებული. მის ქვეშ საძვალეა.

ეგვტერის აშენების დროს ხუროთმოძღვარს განუზრახავს, რომ იგი უშუალოდ შიგა სივრცით გაეერთიანებინა ეკლესიასთან, ამიტომ ეგვტერი სამხრეთიდან ორთაღედით გაუხსნია, მაგრამ როცა საქმე ეკლესიის მომიჯნავე კედლის გარღვევაზე მიმდგარა, შეშინებია და განზრახვაზე ხელი აუღია. ეგვტერის თაღებს ახლა მხოლოდ დეკორის ფუნქცია აქვს. ეგვტერისგან განსხვავებით, ეკლესია მთლიანად აგებულია კარგად შერჩეული მართკუთხა ფორმის რიყის ქვით. შესასვლელი მასაც დასავლეთიდან აქვს. კამარა მთლიანად შენარჩუნებულია, კანკელიდან კი ქვათა ორი წყებაა მოღწეული. განცალკევებით დგას კანკელის ცალი სვეტი. კონქში და კარის თავზე შემონახულია გვიანი შუასაუკუნეების ფრესკათა აბრისები.

უტოდან **ჟალურის** მთისკენ მივემგზავრებით. **დაახლოებით XVII საუკუნის მიწურულს ამ ადგილებში ივრის ხეობიდან გადმოსული ოჯახები დასახლდნენ, რასაც თავისი წინაპირობა ჰქონდა.** მართალია, 1659 წელს, ბახტრიონის აჯანყების შედეგად, ყიზილბაშები უკუიქცნენ, მაგრამ მანამდე ლამის მთელი კახეთის მოსახლეობა მოსრეს. ამიტომაც იყო, რომ აჯანყებაში უმეტესად აღმოსავლეთ მთიანეთის მოლაშქრენი მონაწილეობდნენ და დაცლილი ტერიტორიაც,

ჟალურის „ლომისის წმ. გიორგის“ სამხრ. ეკლესია

გარკვეულწილად, მათ აითვისეს. ასე გამოჩნდნენ აქ ერწოელი ჟალეთის მკვიდრნიც.

...ავედით ტაძართან, რომელსაც **ლომისის წმინდა გიორგი** ჰქვია. **თავდაპირველად, X საუკუნეში ან უფრო ადრეც, ეკლესია 3-ნავიანი უნდა ყოფილიყო. მას დასავლეთიდან, მთელ გაყოლებაზე, დერეფანი ექნებოდა. დერეფნიდან ცალ-ცალკე შესასვლელებით მოვხვდებოდით გვერდითა ნავებში.** სამხრეთის ნავი დიდი კარით, ხოლო ჩრდილოეთისა ორთაღედით უკავშირდებოდა ცენტრალურ დარბაზს. ეს იმით დასტურდება, რომ ცენტრალურ ნავს (დარბაზს) დამოუკიდებელი შესასვლელი დასავლეთიდანაც კი არა აქვს. გვერდითი ნავები დანგრეულა და XIV საუკუნეში ეკლესიაზე მათ ნაცვლად შირიმის კვადრებით ნაგები სამლოცველოები მიუდგამთ, ხოლო ჩრდილოეთის ორთაღედი ამოუქოლავთ. დღეს ახალი ეკლესიებიდან მარცხენა ისეა დანგრეული, რომ მხოლოდ დასავლეთის კედელი აქვს შემორჩენილი. მისი კარის წირთხლებს ორმაგი ლილვის დეკორი დაუყვება, ხოლო ზედ შემოდგმულ არქიტრავზე, გრძელ წარბს ქვემოთ, ჯვარია გამოკვეთილი. მარჯვენა ეკლესია უკეთ არის შემონახული, მაგრამ მას დასავლეთის მხარე და შეისრული კამარის ნაწილი აქვს ჩამოშლილი. კამარის დანარჩენი ნაწილი მრუდეა. მთავარ დარბაზში სწორედ აქედან შეიძლება მოხვედრა. იგი ნაგებია რიყისა და კლდის ფლეთილი ქვით, საკმაოდ მაღალია და შემონახული აქვს როგორც გვიანი პერიოდის კანკელი, ისე ტრაპეზის ქვა. ამავე ხანებში ტაძარი, კანკელისა და ტრაპეზის ქვის ჩათვლით, სრულად მოუხატავთ.

ლომისის წმინდა გიორგის შემდეგ იმ საყდრის სანახავად მივდივართ, რომელიც ანტონ მარტყოფელის სახელს უკავშირდება. ეს ძეგლი ჟალურში ყველაზე ძველია, მაგრამ ყველაზე ცუდ მდგომარეობაშიცაა. იგი ქალაქის ცენტრალურ სასაფლაოზე დგას. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ხანებში ტაძარი ასე თუ ისე გაასუფთავეს, იგი მაინც ჯაგებშია და ერთიან სახეს ვერ წარმოგიჩენთ. **აქ რომ ეკლესიის აგებისთანავე დაარსებულა მონასტერი, ამას სხვა ნაგებობების უძველესი წყობის კედლების ნაშთები ცხადყოფს.**

მარტყოფისა არ იყოს, ახმეტის ამ ტაძარსაც ღვთაება ჰქვია და ეს შემთხვევითი არაა. ორთავე

ჟალურის „ღვთაების“ დას. კედელი

ჟალურის „ღვთაების“ დერეფანი

მონასტერი ანტონის მოღვაწეობას უკავშირდება. ამ პარალელის გავლების დროს სხვა მეტად მნიშვნელოვანი გარემოებაც არ უნდა გამოგვრჩეს: მაშინ, როცა ანტონის მიერ მარტყოფში აგებული „ღვთაებიდან“ დღეს აღარაფერია შემორჩენილი, ჟალურის „ღვთაება“ გაჭირვებით, მაგრამ სახიერად მაინც ფეხზე დგას. **ამდენად, სწორედ ჟალურის „ღვთაების“ მიხედვით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, როგორი იქნებოდა მარტყოფის „ღვთაება“.**

კიდევ ერთი საინტერესო პარალელი: თავის მხრივ, ჟალურის „ღვთაება“ ფორმითა და მოცულობით თითქმის უახლოვდება არტოზნის „წმინდა თევდორეს“, რომელიც ასევე ანტონ მარტყოფელის ამ კუთხეში ყოფნის დროსაა აგებული. არტოზნის ტაძარი 3-ეკლესიანია, ჟალურისა — 3-ნავიანი; არტოზნის ტაძრის ზომებია 12 X 11 მ, ჟალურისა — 12 X 12,8 მ. ორივე ტაძარი აგებულია ერთნაირი რიყის ქვის თარაზული წყობით და შირიმის კვადრებით. რა თქმა უნდა, არის მკაფიო განსხვავებაც, რაც, ალბათ, სხვადასხვა ხუროთმოძღვრის ხელწერაზე მიგვანიშნებს.

ჟალურის „ღვთაებას“ დასავლეთიდან, მთელ გაყოლებაზე, აქვს 3 მ. სიგანის დერეფანი. მისი შიდა კედელი, აღმოსავლეთ მონაკვეთში დანაწევრებულია ექვსი დეკორატიული, ყრუ თაღედით. ერთ-ერთ ცენტრალურ თაღში გაჭრილია კარი, რომელსაც ასევე ყრუ თაღებით გაფორმებულ ცენტრალურ ნავში — ტაძრის მთავარ დარბაზში შევყავართ. ეს დარბაზი ჩრდილოეთის ნავს ორი გახსნილი თაღით უკავშირდება, სამხრეთის ნავს კი კარით. მთავარი დარბაზი აღმოსავლეთ მხარეს რატომღაც არა ნალისებრი, არამედ ზუსტი ნახევარწრიული აბსიდით სრულდება, გვერდითი ნავები კი სწორკუთხა კედლით. სამხრეთის ნავი უფრო ლამაზი ყოფილა. მის აღმოსავლეთ მონაკვეთს ტრომპებზე დამჯდარი ცალკე კამარა ჰქონია, ხოლო დასავლეთ მონაკვეთს — გუმბათოვანი კამარა. ამავე ნავის ცენტრში გაჭრილი ყოფილა ორთაღიანი კარიბჭე, რომელიც ტაძრის მთავარ შესასვლელს წარმოადგენდა. გარდა ამისა, ნაგებობაში მოხვედრა შეიძლებოდა დერეფნიდან.

ამჟამად მორღვეულია მთავარი დარბაზის კამარა და კონქი, ასევე სამხრეთ ნავის ფასადური კედლის ცენტრალური ნაწილი კარიბჭის ჩათვლით, გადაქცევაზეა ამავე კედლის დარჩენილი ნაწილი.

ტაძარს სასწრაფოდ უნდა შველა. არ დაგვავიწყდეს, რომ წმ. ანტონის მიერ მარტყოფში აგებული „ღვთაება“ არ არსებობს და მას დიდი ალბათობით, სწორედ ჟალურის „ღვთაება“ იმეორებს.

ავტორის ფოტოები

ჟალურის „ლომისის წმ. გიორგის“ საყდრის დას. ხედი

უტოს „სამების“ აღმ. ხედი და ჩრდ. ეგვტერი



ჰოროსკოპი – 14 დეკემბერი

ვერძი – სასიკეთო ტენდენციების გავლენა ძლიან ძლიერი იქნება, ეს კი ნიშნავს, რომ მშვენიერ შედეგებს მიაღწევთ, პრაქტიკულად, ყველა საქმეში. მხოლოდ ერთი საშიშროება გელით – საკუთარი ემოციები. ამიტომ საერთო ენის გამონახვა გაგიჭირდებათ თქვენთვის მნიშვნელოვან პერსონასთან ან შესანიშნავი გეგმის განხორციელებას ვერ შეძლებთ. ამ დღეს მფლობელობისკენ ხართ მიდრეკილნი, რაც ქმნის საშიშროებას, რომ საერთოდ ნულზე დარჩეთ. თუმცა, მალე კვლავ გაჩნდება ფული.

კუნრო – დღეს ძლიან უბრალო და სასიამოვნო დღეა. თქვენთვის სრულიად გასაგებია, რა და რატომ ხდება. იმდენად დარწმუნებული ხართ საკუთარ გამარჯვებაში, რომ ყურადღებას არ აქცევთ იმ ადამიანების რეკომენდაციებს, ვინც თქვენთვის შეურყევი ავტორიტეტი იყო. ეს დღე უამრავ ინფორმაციას მოგიტანთ, თუმცა ყოველთვის სასია-მოვნოს – არა. ნუ დახუჭავთ თვალს იმაზე, რაც არ მოგწონთ. უკეთესია, დაფიქრდეთ იმაზე, როგორ გადალახოთ სირთულეები.

ტყუპები – ეს დღე წარმატებულია თქვენთვის, თუკი გამჭრიახობას გამოავლეთ. ნეგა-ტიური ტენდენციების გავლენა იმდენად ძლიერი იყო, რომ ჯერ კიდევ გახსენებთ თავს, თუმცა შეგიძლიათ, თავი დაიღწიოთ – საკმარისია, წამოინყოთ პრინციპულად ახალი საქმე. ამ დღეს შესაძლებლობა გეძლევათ, ახლობლებთან ურთიერთობა დაალაგოთ. ნუ შეგეშინდებათ, მეტად მკაცრი გამოჩნდეთ: ეს უკეთესია, ვიდრე თქვენი ნამდვილი განზ-რახვები და სურვილები დამალოთ.

კირჩხიბი – მოთმინებით აღიჭურვეთ. ეს დღე დაკავშირებულია ახალი იდეებისა და გეგმების გამოჩენასთან, თუმცა მათი რეალიზებისას, აჩქარება არ გმართებთ, ეს მხოლოდ უსიამოვნებას მოგიტანთ. კარგი იქნება, თუ ისეთ საქმეებს მიუბრუნდებით, რაც უურადღების კონცენტრაციას მოითხოვს. თუ თქვენი სამუშაო დაკავშირებულია გათვლებთან და დოკუმენტების გაფორმებასთან, ნუ დაგეზარებათ ყველაფერი კიდევ ერთხელ გადაამოწმოთ. ფრთხილად იყავით მგზავრობისას: დიდია ალბათობა ისეთი შემთხვევებისა, რომაც შესაძლოა, ფინანსური დანაკარგები გამოინვიოს.

ლომი – შესაფერისი დღეა არაფორმალური ურთიერთობებისთვის, ნებისმიერი არაოფი-ციალური შეხვედრისთვის. ბევრი ადამიანი თქვენს მიმართ სიმპათიას ავლენს, მაგრამ ყველა გულწრფელი არ არის. ინტუიცია გიკარნახებთ, ვის ენდოთ. ეს დღე კარგია სამუშაოს შეცვლისთვის, სწავლის დანყებისთვის. შესაძლოა, ასევე რომანტიკული ურთ-იერთობების დანყება ერუდირებულ ადამიანთან.

ქალწული – ეს დღე წარუმატებლად მიდის. გარშემომყოფები მაღალ მოთხოვნებს გიყენებენ, რისი შესრულებაც გიჭირთ. შესაძლოა, სერიოზული უთანხმოება ხელმძ-ღვანელობასთან და მოგინევთ აღიარება, რომ ვერ გაამართლეთ მათი იმედები. არ არის გამორიცხული ფინანსური დანაკარგებიც. გაგახარებთ ახლობელ ადამიანთან დაკავშირებული ახალი ამბები. შეიძლება, პირადი ცხოვრებაც უკეთესობისკენ შეიცვალოს და კიდევ ერთი – ნუ დაიჩქარებთ მოვლენებს, ეს აუცილებელია სიტუაციის ნორმალიზებისთვის.

სასწორი – ამ დღეს შეძლებთ, ბოლომდე მიიყვანოთ რთული საქმე, რომლის წარმატების იმედიც აღარ გქონდათ. შესაძლოა, მცირე უთანხმოება კოლეგებთან, თუმცა ეს ხელს არ შეგიშლით, გაიმტკიცოთ საკუთარი პროფესიული პოზიციები. მნიშვნელოვანია, თავი აარიდოთ გაუმართლებელ რისკს და არ აჰყვეთ ემოციებს. ამ დღეს გაჩენილი სურ-ვილები, მოგვიანებით, თავად ასრულდება, მთავარია მოთმინება გეყოთ. ეს დღე საუკეთესოა რომანტიკული პაემნისთვის ან საყვარელ ადამიანთან ერთად დასვენებისთვის.

ღრიანკალი – დღე საკმაოდ წარმატებით ჩაივლის. ამ ნიშნის წარმომადგენლების საქმიანი აქტიურობა ძალიან მაღალია, ღრიანკალი მარტივად იმარჯვებს კონკურენტე-ბზე. ეს დღე სასიკეთოა გარიგებების დასადებად ან საკუთარი საქმის წამონყებისთვის. ასევე ძლიერია სასიკეთო ტენდენციების გავლენა პირად ურთიერთობებშიც, ნებისმიერი უთანხმოება ადვილად მოგვარდება.

მშვილდოსანი – თქვენ ძალიან ზარმაცი ხართ და მხოლოდ ეს გიშლით ხელს, ბო-ლომდე გამოავლინოთ საკუთარი შესაძლებლობები. შესაძლოა, გარკვეული პრობლემები კოლეგებსა და საქმიან პარტნიორებთან. გაჩნდება შანსი, სწრაფად დაძლიოთ ოჯახური სირთულეები, თუმცა ახლობლებს, შესაძლოა, არ მოეწონოთ თქვენი, საკმაოდ მკაცრი და ცოტა აგრესიული მეთოდები. არის შესაძლებლობა, რომ ღირებული ნივთი გაგიფუჭდეთ ან დაკარგოთ.

თხის რქა – შესანიშნავი, ნაყოფიერი დღეა. დასახულ მიზანს თუ ვერ მიაღწევთ, მიუახლოვდებით მაინც. ნურაფრის შეგეშინდებათ, დაბრკოლებები იქნება, მაგრამ კარ-სკვლავები მათ გადალახვაში დაგეხმარებიან. შესაძლოა, მეტად ხელსაყრელი გარიგებაც გაფორმოთ. ძალიან ბევრს ფიქრობთ სამსახურზე, ცოტას კი – გარშემომყოფებზე. ამის გამო, შესაძლოა გაგინაწყენდნენ. ამიტომ, პრობლემების თავიდან ასაცილებლად, ახლობ-ლებსაც დაუთმეთ დრო.

მერწყული – ამ დღეს კარგია, თუ მონინააღმდეგეებთან ბრძოლას წამოიწყებთ – სწრაფად მიაღწევთ გამარჯვებას. შესაძლებლობა გექნებათ, ამბიციური ჩანაფიქრის რეალიზებისა. ყველაზე ვერაგი მერწყულები ხელმძღვანელობის შეკინროებას და მათი ადგილის დაკავებასაც კი შეძლებენ. შესაძლოა, ასევე ძვირფასი საჩუქრის მიღება ადამიანისგან, ვისთანაც ადრე ნაყოფიერად ითანამშრომლეთ. დღეს ვარსკვლავები გირჩევენ, თავი აარიდოთ ნებისმიერ რისკს, განსაკუთრებით – მგზავრობისას. შეეცადეთ ეკონომიურად ხარჯოთ და უარი თქვათ დაუგეგმავი ნივთის ყიდვაზე ან ძვირიან გართობაზე.

თევზები – თქვენ თავად მოგკავთ საკუთარი თავი ხაფანგისკენ, მტრებს კი მხოლოდ კმაყოფილების გრძნობას უტოვებთ. ეს ყველაფერი თქვენი მიდგომილობაა, რაც ყველა დასაშვებ ფარ-გლებს სცილდება. თევზების უმრავლესობა ამ დღეს რომანტიკულ ურთიერთობას დაინყებს, რაც უფრო პრობლემასა და საზრუნავს უფრო მოუტანს, ვიდრე – სიამოვნებას.

წინა ნომერში გასული სკანვორდის პასუხები



სუდოკუ

ადვილი

5		4		7			1	
		1			5	8	7	
								2
			7		6			
9			3		2			7
			1		9			
2								
	3	8	9			6		
	1			3		9		4

სტანდარტი

6	1			9				
				2	7		6	
8							7	4
			5		9	6		3
		8		6		2		
3		6	2		4			
2	7							1
	8		7	5				
				4			2	5

რთული

6	2	9			7			
	4		6					
	8				4	2		
						3		
8	6			3			7	4
		1						
		8	4				9	
					2		8	
			7			1	3	5

ექსპერტი

3	9			1			5	
		1	9		7			
	4	7		2	3			9
		5					7	1
				3				
7	2					4		
5			3	7		8	2	
			2		5	1		
	7			6			4	5

რომის პაპი „ტვიტერზე" დარეგისტრირდა

ვატიკანში რომის პაპის, ბენედიქტ XVI-ის სოციალურ ქსელ „ტვიტერში" დარეგისტრირების ოფიციალური ღონისძიება გაიმართა. კათოლიკური სამყაროს მეთაურის წარმომადგენლებმა პაპი მიკრობლოგზე @BenedictusPPXVI-ის ნიკით დაარეგისტრირეს. „ტვიტერზე ჯერჯერობით ბენედიქტის არც ერთი ჩანაწერი არ გამოჩენილა. პირველ შეტყობინებას საკუთარ გვერდზე პაპი ამ დღეებში თავად განათავსებს და როგორც ამბობენ, ჩანაწერების კეთებას ბენედიქტ XVI როგორც ყოველდღიურად, ასევე დიდი საეკლესიო დღესასწაულების დროს აპირებს. აღსანიშნავია, რომ „ტვიტერზე" რომის პაპის profiles უკვე 6 ათასამდე ხელმომწერი ჰყავს. ვატიკანი უკვე დიდი ხანია, აქტიურად იყენებს სხვადასხვა სოციალურ ქსელებს. ცოტა ხნის წინ საერთაშორისო პორტალიც შეიქმნა, რომელიც ყველა კათოლიკური ეკლესიის ვებ-გვერდს აერთიანებს. ვატიკანის ასეთი აქტიურობა სოციალურ ქსელებში ახალგაზრდა თაობის ეკლესიასთან დაახლოებას ემსახურება.

შაკიკს ახალი მეთოდით შეებრძოლებიან



ბრიტანელმა მეცნიერებმა ახალი აპარატი შექმნეს, რომელსაც დღეს უკვე გახშირებულ სენთან — შაკიკთან საბრძოლველად გამოიყენებენ. ეს სპეციალური მოწყობილობაა, რომელსაც ადამიანს ქირურგიული გზით ცხვირში ჩაუდგამენ. მისი ჩართვა და გამორთვა სპეციალური დისტანციური პულტის მეშვეობით მოხდება. ადამიანს, რომელსაც ეს მოწყობილობა აქვს ცხვირში, ძლიერი თავის ტკივილის დროს, აპარატის მეშვეობით შეეძლება უმნიშვნელო ელექტრული მუხტის გამოწვევა. მუხტი ყინავს ნერვულ დაბოლოებებს და ტკივილს აჩერებს. დღესდღეობით, სტატისტიკის თანახმად, მარტო დიდ ბრიტანეთში ხუთ მილიონამდე ადამიანს აწუხებს შაკიკი. უცნაურია, მაგრამ შაკიკის ზუსტი მიზეზები დღემდე დაუდგენელია. ცნობილია ის, რომ თავის ტკივილისას ორგანიზმში იკლებს სეროტონინის — „ბედნიერების" ჰორმონის დონე. არსებობს ვერსია, რომ ამ დროს თავში სისხლძარღვები ვიწროვდება და თავიც ტკივილს იწყებს, ასევე ადამიანს მკვეთრი შუქი თვალს ჭრის და აწუხებს, უარესდება მხედველობაც. სწავლულები მიიჩნევენ, რომ შაკიკის მკურნალობის ახალი მეთოდი ბევრ პაციენტს დაუამებს ტკივილს და აღარ დასჭირდებათ უამრავი აბის მიღება, რომელთაგან ზოგიერთს საკმაოდ ბევრი გვერდითი მოვლენა აქვს.

პატიმარი გაქცევისას ხვრელში გაიჭედა

ბრაზილიის სასჯელაღსრულების ერთ-ერთ კოლონიაში პატიმრის გაქცევის მცდელობა წარუმატებლად დასრულდა. მსჯავრდებული მისი თანამზრახველების მიერ კედელში გაკეთებულ ხვრელში გაიჭედა. პატიმარი რაფაელ ვალდაო მეგობრებს მიჰყვა, მაგრამ საკუთარი გაბარიტები არ გაითვალისწინა. პატარა ხვრელში ვალდაო წელს ზემოთ წარმატებით გაძვრა, მაგრამ მსხვილმა წელმა მას წინ წაწევის საშუალება აღარ მისცა. პატიმრის სასოწარკვეთილმა ყვირილმა დარაჯების ყურადღება მიიპყრო. ხვრელიდან მისი გამოთრევის მცდელობა უშედეგოდ დასრულდა, საბოლოოდ კი, ვალდაოს დასახმარებლად სახანძრო ჯგუფი გამოიძახეს, რომელთაც ხვრელი გააფართოვეს და პატიმარი გამოიყვანეს. ნეკნგატეხილი მსჯავრდებული სამკურნალო დაწესებულებაში გადაიყვანეს. შედარებით გამხდარმა პატიმრებმა კი გაქცევა მოახერხეს, ამჟამად მათ პოლიცია ეძებს.

„ისრაელზე გამარჯვების" სურნელი შექმნეს

ღაზას სექტორში, ადგილობრივმა პარფიუმერულმა კომპანიამ, რომელიც პალესტინელი მოსახლეობისთვის სხვადასხვა სახის კოსმეტიკას ამზადებს, ახალი პარფიუმი **M**-75 შექმნა, რომელსაც „ისრაელზე გამარჯვების სურნელი" უწოდეს. ბიზნესის მფლობელის, სადი ადუანის თქმით, ამ სახით გადაწყვიტა მან, აღენიშნა „8-დღიან ომში ისრაელზე დიდი გამარჯვება". **M**-75 კი „ჰამასის" მიერ კონსტრუირებული რაკეტის სახელია. ადუანი ასე ახასიათებს საკუთარ პროდუქტს: სურნელი ისეთი სასიამოვნო და მიმზიდველია, როგორც პალესტინის წინააღმდეგობის მიერ დამზადებული **M**-75 რაკეტები. ბიზნესმენის თქმით, მას სურს, ღაზას მცხოვრებლებს, სადაც უნდა იყვნენ ისინი, თუნდაც ჩინეთში, გამარჯვების ეს ტკბილი არომატი შეახსენოს.

№142(749) „ვერსიის" სუდოკუს პასუხები

ადვილი

4	6	5	2	3	1	9	7	8
3	9	2	7	8	6	1	5	4
1	8	7	5	9	4	2	6	3
2	5	9	1	7	3	8	4	6
8	7	4	9	6	5	3	2	1
6	3	1	8	4	2	7	9	5
9	1	6	4	2	8	5	3	7
7	4	8	3	5	9	6	1	2
5	2	3	6	1	7	4	8	9

სტანდარტი

6	5	1	2	7	8	4	3	9
9	8	4	3	6	5	7	2	1
3	7	2	4	1	9	8	6	5
2	6	5	1	9	7	3	4	8
1	4	3	8	2	6	5	9	7
8	9	7	5	4	3	2	1	6
7	3	6	9	8	4	1	5	2
5	1	9	7	3	2	6	8	4
4	2	8	6	5	1	9	7	3

რთული

4	1	3	9	2	6	5	8	7
2	9	8	7	1	5	6	4	3
5	7	6	8	3	4	2	1	9
3	2	7	6	5	1	4	9	8
1	8	5	4	9	7	3	6	2
6	4	9	3	8	2	1	7	5
9	6	4	5	7	3	8	2	1
8	5	1	2	6	9	7	3	4
7	3	2	1	4	8	9	5	6

ექსპერტი

5	2	3	1	7	9	4	8	6
1	9	8	5	6	4	7	3	2
7	6	4	3	8	2	1	9	5
6	4	5	2	1	3	9	7	8
9	1	7	8	5	6	3	2	4
3	8	2	4	9	7	6	5	1
4	3	1	7	2	8	5	6	9
8	7	9	6	4	5	2	1	3
2	5	6	9	3	1	8	4	7

ჰოროსკოპი 15 დეკემბერი

ვერძი – რთული დღეა ვერძებისთვის, შეუფერებელი, სერიოზული საქმისა და მნიშვნელოვანი შეხვედრებისთვის. გაღიზიანებული და მოუთმენელი ხართ, ძნელია თქვენთან ურთიერთობა. თუმცა, სასიცოცხლო ენერგია მეტ მომხიბვლელობას განიჭებთ. კონფლიქტი შეიძლება წარმოიშვას როგორც საამსახურში, ასევე ოჯახშიც. პირველს სწრაფად მოაგვარებთ, მეორემ კი, შესაძლოა, ქრონიკული ფორმა მიიღოს, თუ დათმობაზე არ ნახვალთ.

კურო – სასიცოცხლო პოტენციალი დაქვეითებულია, გრძნობთ, რომ ძალიან დაიღალეთ. ამ დღეს ადვილი არ არის, გამონახოთ საქმე, რომელიც გაგიტაცებთ. გახსოვდეთ, რომ დახმარებისთვის შეგიძლიათ მეგობრებს ან ახლობლებს მიმართოთ: დღეს ისინი საკუთარ თავზე აიღებენ თქვენი პრობლემების ნაწილის გადაწყვეტას.

ტყუპები – რთული და არაერთგვაროვანი დღეა. ახალ, გავლენიან და გამომგონებელ მტრებს გაიჩენთ. მათზე გამარჯვების მოპოვება, პრაქტიკულად, შეუძლებელია, ამიტომაც ეშმაკობა მოგიწევთ. თქვენი ინტრიგები საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდება. საკმაოდ დიდია ახალი რომანტიკული ურთიერთობების დაწყების ალბათობა, თუმცა თავიდანვე დარწმუნებული იქნებით, რომ ის ხანგრძლივი და სერიოზული არ იქნება.

კირჩხიბი – ამ დღეს ყველა საქმის გადადება და დროის გატარება მოგიწდებათ. შეგიძლიათ, თავს ამის უფლება მისცეთ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამბიციებს მოკლებული ხართ და არც რაიმე მნიშვნელოვანი პროფესიული ჩანაფიქრი გაგაჩნიათ. საქმე ის არის, რომ დღეს კირჩხიბები ძალიან ბევრს მიაღწევენ, თუ საქმეს ჩაუჯდებიან. კარგი დღეა როგორც საქმიანი, ასევე პირადი შეხვედრებისთვის.

ლომი – დღე ახალ შესაძლებლობებს გთავაზობთ – თქვენ მხოლოდ მოასწარით განხორციელება. საქმეც ბევრი იქნება. საბედნიეროდ, ენერგიაც გყოფნით, რომ ყველაფერს გაუმკლავდეთ. ამ დაცვირთული დღის ბოლოსაც კი ვერ იგრძნობთ დაღლილობას. სასიკეთო დღეა კომერციული საქმიანობისთვის, გარიგებისთვის. თქვენ საკმაოდ სერიოზულად ხართ განწყობილი და ეს გაძლევთ შანსს, მოაგვაროთ ბევრი პირადი და ოჯახური პრობლემა.

ქალწული – ეს დღე არა მხოლოდ მიზნის მიღწევაში გეხმარებათ, არამედ სასიამოვნო სიურპრიზებსაც გაპირდებათ. არის შანსი, რომ გავლენიანი ადამიანების მხარდაჭერა მოიპოვოთ. შესაძლოა, საქმიანი ურთიერთობების დაწყება, რაც მომავლში კარგ შემოსავალს მოგიტანთ. არ არის გამორიცხული, რაიმე ღირებული კორესპონდენცია, მნიშვნელოვანი საბუთები მიიღოთ, საქმე გქონდეთ სასამართლოსთან ან სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებთან.

სასწორი – სასწორები საკუთარი ნეგატიური ემოციების ტყვეობაში შეიძლება აღმოჩნდნენ, რაც მათ სასიკეთოს არაფერს მოუტანს. გადაწყვეტილებების მიღებისას ცოვსისხლიანი უნდა იყოთ როგორც პროფესიული, ასევე პირად სფეროშიც. გარდა ამისა, ვარსკვლავები გირჩევენ, მცოდნე ადამიანების რჩევებს დაუჯეროთ. სასურველია, გადადოთ რთული საქმეები – მათგან სწრაფად დაიღლებით, რამაც შესაძლოა, ჯანმრთელობა შეგირყიოთ.

ღრიანკალი – ამ დღეს სწორ გადაწყვეტილებებს იღებთ და ასევე სწორი დასკვნები გამოგაქვთ. წარმატება კი ნამდვილად გრანდიოზული იქნება. სამწუხაროდ, საქმეში მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა გქონდეთ: თანამოაზრეები მხოლოდ მაშინ შემოგიერთდებიან, როცა ყველა სიძნელეს გადალახავთ. შესაფერისი დღეა ძველი ურთიერთობების აღსადგენად. შესაძლოა, მოულოდნელად რაიმე ნინადადება ან მონვევა მიიღოთ: გაბედულად დათანხმდით, რადგან ნამდვილად არ ინანებთ.

მშვილდოსანი – ეს დღე ბევრ სანერვიულოს მოგიტანთ, პირველი ნახევარში ძალიან ძნელი იქნება სიმშვიდის შენარჩუნება. საქმე ის არის, რომ რთულ სიტუაციაში აღმოჩნდებით და როგორც ყოველთვის, მხოლოდ კუდზე ფიქრობთ. აღიჯურვეთ ოპტიმიზმით და ყველაფერი მოგვარდება. დიდია აღბათობა შეხვედრისა, რომელიც ნიშნის მარტოხელა წარმომადგენლების ბედს შეცვლის.

თხის რქა – მიუხედავად იმისა, რომ დღე მარტივი არ იქნება, ყველა სირთულეს თავს მშვენივრად ართმევთ. გარშემომყოფებთან რთული ურთიერთობის მიუხედავად, საერთო ენას გამონახავთ მათთან, ვინც ნამდვილად მნიშვნელოვანია თქვენთვის. დღის მეორე ნახევარი ასაკოვან ახლობელზე ზრუნვას დაუთმეთ, მათ თქვენი ყურადღება სჭირდებათ.

მერწყული – დღეს ცოტა რთული დღე გექნებათ, გარშემომყოფები თქვენგან კეთილგანწყობას, ოპტიმიზმს, მეგობრულ ურთიერთობას ელიან, თქვენ კი ყველაფრის განადგურება გსურთ, რაც კი თვალში მოგხვდებათ. სულიერ წონასწორობას მხოლოდ მას შემდეგ დაიბრუნებთ, რაც რომელიმე არაკეთილისმსურველს გაკიცხავთ. სასიკეთო დღეა ხანმოკლე მგზავრობისთვის, არ არის გამორიცხული, რომანი უცხოელთან ან შორიდან ჩამოსული ადამიანთან.

თევზები – დღე კარგად აენყობა თევზებისთვის. ენერგიულები, საქმიანები და იდეებით სავსე ხართ – ეს საკმარისია, რომ ყველა დანყებული საქმე წარმატებულ ფინალამდე მიიყვანოთ. დღეს არ ღირს, ენდოთ მიღებულ ინფორმაციას, რადგან ვიღაც სპეციალურად ცდილობს დაგაბნიოთ. სასიკეთო დღეა ნებისმიერი ლამაზი საგნის შესაძენად, თქვენი დახვენილი გემოვნება არ გიღალატებთ. კარგი დღეა რომანტიკული შეხვედრებისთვისაც – ის დაუვინყარი იქნება როგორც თქვენთვის, ასევე „მეორე ნახევრისთვისაც".

ამინდის პროგნოზი

პარასკევი	შაბათი	კვირა
+8	+3	+0
+8	+8	+7
+10	+10	+9
+10	+8	+7

თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, სოხუმი

შენდეგმა ყოველადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას" სასიელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის საკანე"

„ყოველთა დედოფალი პანტანასას" ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

ზარის ღირებულება 1 ლარი

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი" ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205 . გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი) . სს „სტანდარტ ბანკი" კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!

ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი" გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

იპოვეთ თქვენი www.versia.ge

ვერსია

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია, ნელი თორდია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი
დიზაინერი – ნათია მზექალაშვილი

ISSN 1987-8699

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
ტელ: 590 740999; 2942399
e-mail:dosie@caucasus.net;
dosieversia@caucasus.net
versiaprinti@yahoo.com

® ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით